განათლება მრავალეროვანი მოქალაქეობისთვის

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრის გამოცემა

№1(4), 2024



ISSN 2720-8605

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

№1(9), 2024

სარედაქციო კოლეგია:

ნათია გორგაძე
ბექა მინდიაშვილი
დავით წულაძე
ვლადიმერ სვანაძე
მაია ბლიაძე
ლევან სებისკვერაძე
ქეთევან ქობალია

მთავარი რედაქტორი
ნინო გვარამაძე

კორექტორი
ნინო უჩანეიშვილი

დიზაინერი
ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

ISSN 2720-8605

WWW.TPDC.GE

რედაქციისგან

ნინო გვარამაძე

წარმოგიდგენთ ჟურნალ „განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის“ მორიგ ნომერს. მასში თქვენ გაეცნობით საკითხებსა და ხედვებს, რომლებიც დღეს აქტუალურია მსოფლიოში.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი პრინციპებისა და ახალი აღთქმის მოძღვრებაში მათი შესაძლო წინაპირობების ურთიერთკავშირში გააზრების მცდელობის გაცნობა.

დღეს, როდესაც საქართველოში შემუშავდა ზოგადი განათლების ახალი ეროვნული მიზნები, მკითხველს ვთავაზობთ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, მათი დანერგვისა და განხორციელების თავისებურებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური რისკების 2024 წლის ანგარიშში ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ განიხილება კლიმატის ცვლილება. მნიშვნელოვანია ამ საფრთხის გააზრება ყველა დონეზე. კლიმატის ცვლილების შერბილება არაერთი თაობის გამოწვევა იქნება. ამიტომ არის კლიმატის ცვლილების დაძ-

ლევა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანი. ამაზე მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, შემუშავებულია სხვადასხვა პროგრამული დოკუმენტი. მკითხველი გაეცნობა ამ დოკუმენტებს, ორგანიზაციებს და მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

განუზომელია საინფორმაციო ტექნოლოგიების და, კერძოდ, ინტერნეტის როლი დღევანდელ მსოფლიოში. ინტერნეტის მდგრადობას, გამძლეობას, უსაფრთხოებას, სტაბილურობას და განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომხმარებლებისთვის. ინტერნეტი და, ზოგადად, კიბერსივრცე დადგა ახალი საფრთხის წინაშე, რაც უკავშირდება ცალკეული ავტოკრატულ იხელისუფლებების მხრიდან მასზე ტოტალური კონტროლის დაწესებას, გლობალურად არსებულ ეთნო-კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებებს. ვფიქრობთ, ეს საკითხები ბევრ მკითხველს დააინტერესებს.

ჟურნალში განთავსებულ სტატიაში მკითხველი გაეცნობა Chat-ზე დაფუძნებულ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს, მითითებებს მათი გამოყენებისთვის.

ციფრული ტექნოლოგიების რუბრიკის ქვეშ, აგრეთვე, მოცემულია ინფორმაცია NFT ტექნოლოგიასა და მის შესაძლებლობებზე.

ჯანმრთელობა ადამიანის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. დღეს, როდესაც ადამიანს უამრავი საფრთხე ელის, ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი სერიოზული საზრუნავია. ამას ემსახურება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის მხარდაჭერით შექმნილი ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლების ქსელი (SHE – Schools for Health in Europe Network Foundation). მკითხველი მიიღებს ინფორმაციას ამ სკოლების მუშაობის პრინციპებსა და გამოცდილებაზე. მკითხველი, ასევე, გაეცნობა დიდი სპორტული წარმატებების გავლენას მოზარდებზე.

ვიმედოვნებთ, ჟურნალის ეს ნომერი დააკმაყოფილებს სხვადასხვა ინტერესის მქონე მკითხველს.

შინაარსი

რედაქციისგან

ბექა მინდიაშვილი
2 ძალაუფლების სახარებისეული გაგება და ლიბერალური დემოკრატია

ზოგადი განათლება

ნათია გორგაძე
11 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, დანერგვისა და განხორციელების თავისებურებები და გავლენები

ეროვნული განვითარება

მაია ბლიაძე
22 როგორ შევარბილოთ კლიმატის ცვლილება?

ციფრული მოქალაქეობა

ვლადიმერ სვანაძე
32 ინტერნეტ ფრაგმენტაციის გავლენა გლობალური ინტერნეტის ერთიანობაზე, უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე

ნინო მარღიშვილი
39 CHAT -ზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტები

დავით წულაძე
46 NFT ტექნოლოგია და მისი შესაძლებლობები

ჯანსაღი ცხოვრების წესი

ქეთევან ქობალია
51 ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლები

ლევან სებისკვერაძე
58 მოზარდებზე ასახული დიდი სპორტული წარმატებები

ბექა მიწიშვილი
სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი

ძალაუფლების საზარბისული მაგება და ლიბერალური დემოკრატია

> ადამიანის ქმედებას ეთიკურთან შემთხვევაში ენიჭება ეთიკური და ჩვეულებრივი საზრისი — თუკი ის თავისუფლებაში, თავისუფალი არჩევანის შედეგად ხორციელდება.

შესაძლებელია თუ არა ქრისტიანობა ლიბერალური დემოკრატიის, ინდივიდუალიზმის, ადამიანის უფლებების, ტოლერანტობისა და პლურალიზმის უმთავრეს პოსტულატებთან იყოს დაკავშირებული? ესაა ბოლო წლებში, განსაკუთრებით საქართველოში, რელიგიურ კონტექსტში წამოჭრილი ერთ-ერთი ცენტრალური კითხვა. ცნობილია ამ კითხვაზე არაერთი პასუხი, თუმცა, ჩემი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი პრინციპებისა და ახალი აღთქმის მოძღვრებაში მათი შესაძლო წინაპირობების ურთიერთკავშირში გააზრების მცდელობაა.

ინდივიდი და პიროვნება

სახარების მოძღვრების თანახმად, ადამიანი აქტუალიზებულია, როგორც ერთი და განუმეორებელი, ამავდროულად, სხვისკენ – მეორისკენ, მოყვასისკენ, მტრისკენ, უცხოსკენ მიმართული პიროვნება. ამიტომ ამბობენ ხოლმე თეოლოგები, ადამიანი არ ექვემდებარება დათვლას, ის არ არის სერიული მოვლენა, მაგრამ მის პიროვნულობას, მის სახე-ხატს სხვასთან შეხვედრა განსაზღვრავს. შესაქმის ნარატივში, შემოქმედი ერთ და კონკრეტულ ადამიანს ქმნის და არა ადამიანთა მასებს, ადამიანთა სახეობას; ღმერთი დიალოგში კონკრეტულ ადამიანთან შედის; ამასთან, ყოველი ადამიანი, საბოლოოდ, მხოლოდ საკუთარი ქმედებისა და ცოდვის გამო აგებს ღვთის წინაშე პასუხს. ამ თვალსაზრისით, უარყოფილია კოლექტიური ცოდვა და პასუხისმგებლობა, – კოლექტიური ბრალეულობა.

ქრისტიანული რწმენა რეინკარნაციას არ აღიარებს, სხვადასხვა სხეულსა და არსების ფორმაში სულის მოგზაურობის შესახებ სწავლება მისთვის უცხოა. ამიტომ, ქრისტიანული ანთროპოლოგიის მიხედვით, ადამიანი უნიკალურია – სულიერი და ხორციელი საწყისის განუმეორებელი მთლიანობაა, მისი „მე“, მისი ცნობიერება, თუ ქრისტიანულ ენაზე ვიტყვით, მისი გონიერი სული, ერთ-ხელ და სამუდამოდ მყოფობს და ერთხელ და სამუდამოდ ემთხვევა საკუთარ სხეულს, არ ინაცვლებს სხვადასხვა არსებებში, არ იბადება ხელახლა, რაც ასე დამახასიათებელია ანტიკური სამყაროსა და აღმოსავლური რელიგიური წარ-მოდგენებისთვის მარადისობისა და რეინკარნაციის შესახებ. ეს არის კიდევ ერთი საფუძველი დასავლეთში ინდივიდუალიზმისა და პერსონის, პერსონალიზმის შესახებ წარმოდგენების განვითარებისა, რომელთაც დაეფუძნა ლიბერალური კონცეფციები ადამიანის ინდივიდუალობის შესახებ.

ამასთან, ადამიანი, მართალია, ბიოლოგიურად ინდივიდუუმია, მაგრამ მისი პერსონალურობა და ხსნის პერსპექტივა სხვასთან – ღმერთთან და მეორე ადა-მიანთან მიმართების მიხედვით იქმნება. მნიშვნელოვანია, რომ ქრისტიანული მოძღვრება აღიარებს ღმერთს, როგორც აბსოლუტურ და თვითკმარ პიროვნებას, აღიარებს ქრისტეს, როგორც ერთსა და განუმეორებელ ძეს ღმრთისას და ძეს კაცისას, მის კონკრეტულ ბიოლოგიურ ადამიანურობას, რომელიც ადამიანუ-რად ჭამს და სვამს და საბოლოოდ, წარმოგვიდგენს მას, როგორც ადამიანური ხელისუფლებების, ტრადიციების, რელიგიების, მასის, ისტორიის სამსჯავროს წინაშე სრულიად მარტოდ დარჩენილ ECCE HOMO-ს.

სწორედ პოლიტიკური და რელიგიური ძალაუფლების, უმრავლესობის ნების სამსჯავროზე გამოყვანილი ეული, გარიყული, უფლებააყრილი, გამასხარა-ვებული, ნაცემი, სამარცხვინოდ დასჯილი „ეს ადამიანი“ სწამს ქრისტიანობას, ძალაუფლებისგან განკერძოებული ეს ადამიანი არის მისი ანი და ჰოე, კარი, გზა, და ჭეშმარიტება, ქრისტიანული თეოლოგიის, ონტოლოგიის, ანთროპოლოგიის ცენტრი, ამიტომ, რწმენის ამ ქრისტოცენტრული ხასიათიდან გამომდინარე, ან ამ რწმენის საფუძველზე დაყრდნობით, ინდივიდუუმი, მისი საკრალიზაციისა და სოციალიზაციის ხარისხის მიხედვით, უფრო პიროვნული ხდება, ინდივიდის გაგება პერსონის გაგებაში გადაიზრდება. ეს არის ზოგადქრისტიანული და ამას-თან, მართლმადიდებლური ქრისტოლოგიისა და ანთროპოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი პოსტულატი.

ამ თვალსაზრისით გაგებული პერსონალურობა აახლოებს მას ადამიანის იმ ხატთან, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ადამიანის შესახებ ლიბერალური წარმოდგენა, მისი გაგება არა რომელიმე კოლექტიურ სხეულში, სიმრავლეში, რომელიმე იდენტობაში ან საძალაუფლებო იერარქიის კონტექსტში, არამედ, მისი როგორც დამოუკიდებელი, თვითკმარი, კერძო, ძალაუფლებისგან გან-კერძოებული და თავისთავადი არსებისა.

> ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲘᲙᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲓᲝᲑᲘᲗ ᲩᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲔᲓᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲩᲐ — ᲒᲩᲐᲕᲓᲝᲑᲘᲗᲘ, ᲘᲗᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲩᲝᲛᲝᲩᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲔᲚᲘ.

მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი თეოლოგები ტრადიციულად ერთმანეთს უპირისპირებენ ინდივიდსა და პერსონას, სინამდვილეში, ქრისტეს ამ მარტო დარჩენაში, ამ ეულობის ცენტრალურ მნიშვნელობაში შეიძლება გაიდოს ხიდი ლიბერალურ ინდივიდსა და ქრისტიანულ პიროვნებას შორის. ამ აზრით ადამიანი არის საკუთარი თავისუფლების მესაკუთრე, მესაკუთრე საკუთარი ნებისა და სურვილისა, საკუთარი ცნობიერებისა, საკუთარი სხეულისა, რომელთანაც კონფლიქტშია არა პერსონის, არამედ კოლექტივის ფენომენი.

თავისუფლება

ბიბლიური რწმენის მიხედვით, ადამიანი არის ღმრთის ხატება და მსგავსება. მართალია, ადამიანი ღმერთი არ არის, ის არ იგივდება ღმერთთან, მის ნებას არ განსაზღვრავს ღმრთის ნება, მაგრამ მასში, როგორც სარკმელში, შეიძლება მოჩანდეს ღვთაებრივი. ღვთისმეტყველთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ადამიანის ხატობრიობა მისი ღვთაებრივი მოცემულობაა, ხოლო მსგავსება—ღვთაებრიობის პოტენციალი, შესაძლებლობა, განვითარების პერსპექტივა, რომელიც ღვთისგან აქვს მიმადლებული.

ადამიანი ხატია ღვთისა, რამდენადაც ის შემოქმედი, მოაზროვნე და თავისუფალია, ანუ მას ბოძებული აქვს ნების თავისუფლება. ადამიანის ქმედებას ერთადერთ შემთხვევაში ენიჭება ეთიკური და რელიგიური საზრისი - თუკი ის თავისუფლებაში, თავისუფალი არჩევანის შედეგად ხორციელდება: რწმენის აქტი მხოლოდ თავისუფლების განხორციელების შედეგი შეიძლება იყოს. სახარების მიხედვით, ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი ყოველი წამი და წუთი თავისუფლებითაა გასაზრისებული, ძე კაცისა თავად ირჩევს ჯვარცმას, მოციქულები თავად ირჩევენ ამა თუ იმ გზას.

ერთი ფრანგი ფილოსოფოსის თქმით, ადამიანი განწირულია თავისუფლებისთვის, მისი ნებისმიერი სახით დასაზღვრულობა იმთავითვე მისი ნებისმიერი სახით განხორციელებულ თავისუფლებას, ნების გამოვლინების თავისუფლებას ემთხვევა. ედემის ბიბლიური ნარატივი მკაფიოდ გვეუბნება, რომ ადამიანს შეუძლია არ დაეთანხმოს შემოქმედს, სხვა გზით წავიდეს, სხვა (ხშირად საზიანო, დამღუპველი) არჩევანი გააკეთოს, მაგრამ სწორედ ამ არჩევანს, ამ არდათანხმების თავისუფლებას აქვს მორალური და რელიგიური ფასი და საზრისი.

ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, — ამბობს მოციქული პავლე, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე ვერაფერი დამიმონებს. (1. კორ. 6:12). ბიბლიური ადამიანი არ არის ფატუმის სათამაშო, რომლის მიზანი შეიძლება მხოლოდ ბედისწერის ნიშნების ამოცნობა და მათი მიყოლა იყოს; ადამიანი არ არის მანქანა, ავტომატურად რომ ასრულებდეს რაღაც ზნეობრივ მითითებებს, ავტომატურად ექვემდებარებოდეს ჰეტერონომიული, ბიბლიური მორალის მცნებებს. მის ქცევას, მის სიტყვასა და საქმეს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ის თავისუფლებაში ვლინდება და საზრისდება. ამიტომ არის, რელიგიური თვალსაზრისით, ფასეული ადამიანის დაცემაც და მით უფრო—ადამიანის წამოდგომაც, მის მიერ ჩადენილი ბოროტებაც და სიკეთეც, რადგან სწორედ თავისუფლებაში ჩადენილი ცოდვა-მადლის გამო არის ადამიანი პასუხისმგებელი არსება, ანუ არსება, რომელიც მიმართულია სხვისადმი, სხვა ყოფიერებისადმი, არსება, რომელიც შეიძლება შეხვდეს ღმერთს, შეიცნოს იგი.

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებათა კონცეფცია საფუძვლად უდევს ლიბერალურ დემოკრატიებს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება და გამოხატავს ადამიანის ინდივიდუალობას, უნიკალურობასა და თავისუფლებას. ადამიანის უფლებების კონცეფციაც ადამიანს მხოლობით რიცხვში ხედავს და არა – მრავლობითში, იგი აღიარებს თავისუფლებას, როგორც ადამიანის უმთავრეს მახასიათებელს, ადამიანის ბუნებითი მდგომარეობის მთავარ კანონს, მის თანშობილ უფლებას, ურომლისოდ კონკრეტული ადამიანი დაკარგავდა ადამიანად ყოფნის – საკუთარი თავის წარმართვისა და სიცოცხლის შესაძლებლობას, ან განზავდებოდა უმრავლესობის ნების საფუძველზე მოქმედი შეუზღუდავი ძალაუფლების ნებაში. ამდენად, ღვთივბოძებული თავისუფლებები: გამოხატვის, აღმსარებლობის, გადაადგილებისა თუ შეკრების უფლებები, არის ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციების საფუძველი. ჯონ ლოკი, ლიბერალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი, მათ ღვთივბოძებულ უფლებებად, ან სეკულარულ ენაზე თუ ვიტყვით, თანდაყოლილ, ბუნებით უფლებებად მიიჩნევს, რაკი მათ სახელმწიფო კი არ ანიჭებს ვინმეს, არამედ სიცოცხლისა და თავისუფლების წყარო – ღმერთი, ამდიდრებს ადამიანს საკუთარი თავის მესაკუთრის თვითშეგნებით. საკუთრების ლოკისეული გაგება ინდივიდისთვის ბოძებული სიცოცხლისა და თავისუფლების ჯამია, ხოლო, თავის მხრივ, სიცოცხლე და თავისუფლება ბიბლიური ანთროპოლოგიის მიხედვით, არის ადამიანის ღვთაებრივი ღირსების სინონიმი. ამდენად, შესაძლებელია ღირსების თეოლოგიურ გაგებას და საკუთრების ლიბერალურ გაგებას შორის პარალელის გავლება. ადამიანის უფლებათა კანონმდებლობით, სწორედ ამ უზენაესი და უნივერსალური ღირსების, შეგვიძლია ვთქვათ, ამ მესაკუთრეობის გამო, რაც ზედმიწევნით ზუსტადაა ქართული სიტყვის – „თავის-უფლების“ სემანტიკით გაცხადებული, არის აბსოლუტურად აკრძალული, ანუ ნებისმიერ შემთხვევასა და ყველა სიტუაციაში დაუშვებელი, ერთი მხრივ ადამიანის წამება, მეორე მხრივ, – მისი დამონება, მისთვის თავისუფლების უკანონო წართმევა. პავლე მოციქულის მიხედვით, ქრისტეში აღარ არის მონა და ბატონი, მასში ბუნებითი ადამი მეორედ იშვება ქრისტესთან ერთად, – ადამიანის კოლექტიური იდენტობების, იერარქიული პოლიტიკური და რელიგიური სისტემების მიღმა.

ინუსალიზმი და თოლუსანიზმი

როგორც უკვე ითქვა, ჯონ ლოკის მიხედვით, ღვთივბოძებული თავისუფლების შედეგია აზრის, გამოხატვის, რწმენისა და შეკრების თავისუფლებები, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს რელიგიურ და კულტურულ მრავალფეროვნებას.

> **შესაძლოა, თოლუსანიზულად განწყობილი იყო იმის მიმპირ, ვისი ჩნშენისა და შესაძლებლობების ნინააღმდეგ გამოხატავდე შენს პოზიციას, სასიკეთოდ ღაუშვებლად მიმაჩნდეს მასზე ძალადობრივი თავდასხმა, ან უკანონო შეზღუდვა.**

ბიბლიის თანახმად, თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ადამიანისთვის ღმერთის ძღვენია. ამიტომ, ამ საჩუქრის, ანუ პლურალიზმის ფენომენის ძალადობრივი წაშლა და შეზღუდვა, ვინმესთვის მუქარითა და კანონების უსწორო გამოყენებით აზრისა და აღმსარებლობის წართმევა, სინამდვილეში, ღმრთის განგებულების წინააღმდეგ ამხედრებას ნიშნავს. სავსებით შესაძლებელია, ხშირად მორალურად და პოლიტიკურად აუცილებელია, მიუღებელი ან უკიდურესად აუტანელი იყოს თავისუფლების განხორციელების ესა თუ ის ფორმა და შედეგი, მიუღებელი იყოს ესა თუ ის განსხვავებული აზრი და აღმსარებლობა, მიუღებელი იყოს განსხვავებული კულტურა და ტრადიცია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს უფლება, ძალით შეზღუდოს და წაშალოს ეს განსხვავებები, თუ ეს უკანასკნელნი სხვის თავისუფლებებსა და უფლებებს არ ლახავს, ანუ თავის მხრივ, ფიზიკურად არ ზღუდავს სხვას, სხვის სიცოცხლეს.

> ეკლესია თანამედროვე მართლმადიდებელი თეოლოგი მიიჩნევს, რომ ლეკიურობაში ჯოზეფისა და მამონეველზე მეტად, ღვთის ნაყოფად შეიძლება მივიჩნიოთ ეკლესიისთვის.

ტოლერანტობა, როგორც ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი, არის ის ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევიწყნაროთ ისეთი რამ, რაც თავისი არსითა თუ ფორმით შეუწყნარებლად შეიძლება მიგაჩნდეს. ტოლერანტობა არ გულისხმობს სხვის ჭკუასა და ნებაზე სიარულს, სხვისი შეხედულების ან რწმენის აღიარებასა და გათავისებას, არამედ გულისხმობს ძალადობასა და უკანონობაზე უარის თქმას. შესაძლოა, ტოლერანტულად განწყობილი იყო იმის მიმართ, ვისი რწმენისა და შეხედულებების წინააღმდეგ გამოხატავდე შენს პოზიციას, სრულიად დაუშვებლად მიგაჩნდეს მასზე ძალადობრივი თავდასხმა, ან უკანონო შეზღუდვა. შესაძლებელია აღიარებდე სხვის პიროვნებას, როგორც, მაგალითად, აღიარებულია კეთილი სამარიტელი, მაგრამ არ აღიარებდე სამარიტელების რელიგიურ სწავლებას. ლიბერალური გარემო სადისკუსიო სივრცეა, სადაც სხვადასხვა შეხედულება და იდეა ხშირად მწვავედ, მაგრამ არაძალადობრივად უპირისპირდება ერთმანეთს. ისევ გავიხსენოთ, რას ამბობს მოციქული პავლე: აზრთა სხვაობაც უნდა იყოს თქვენში, რათა გამოჩნდნენ გამოცდილნი თქვენ შორის (I კორ. 11: 19). რწმენასა და აზრზე, ცხოვრების მრავალფეროვნებაზე ძალადობა ღმრთის ნებისა და განგებულების წინააღმდეგ, ქრისტეს ჯვრის წინააღმდეგ ამბოხია,—სწორედ ქრისტეს ჯვარცმა არის ყველაზე მკაფიო ნიშანი, რა შეიძლება ჩაიდინოს საზოგადოებამ, რელიგიურმა ინსტიტუციამ, სახელმწიფომ თუ იგი განსხვავებულისადმი შეუწყნარებელია. პლურალიზმის აღქმა და დასაბუთება ასევე შესაძლებელია თავად ახალი აღთქმის წიგნების შემადგენლობის მიხედვით,—მათეს, მარკოზის, ლუკას, იოანეს, პეტრეს თუ პავლეს ადრესატები განსხვავებული არიან, ტექსტების ენა და აზრობრივი წყობა განსხვავებულია, განსხვავებულია სხვადასხვა აუდიტორიისადმი შეთავაზებული გზები, რაც, თავის მხრივ, პლურალისტული ენისა და მიდგომის აუცილებლობის იმპლიციტური აღიარებაა.

თანასწორუფლებიანობა

ადამიანები იბადებიან მრავალფეროვნებაში და მრავალფეროვანი შესაძლებლობებით, იბადებიან განსხვავებული მატერიალური და ინტელექტუალური, ფიზიკური მონაცემებით, მაგრამ ბიბლიური რწმენის თანახმად, ყოველი ადამიანი ღმრთის ძე და ასულია, ღმრთის შემოქმედების გვირგვინია, ამავდროულად ყოველი კონკრეტული ადამიანისადმი დამოკიდებულება ნიშნავს შენს მიმართებას ღმრთისადმი, – ამ თვალსაზრისით, ღვთის წინაშე თანასწორია უკლებლივ ყველა ადამიანი, ხოლო ღმერთი არა თვალღებით სჯის – ანუ მიუკერძოებელი მსაჯულია. ახალი აღთქმის მიხედვით, ადამიანის აღქმისა და საბოლოო შეფასების ღვთაებრივი საზომი მისი ადამიანური, სიკეთისა და ბოროტებისკენ მიმართული ბუნებაა და არა მისი ესა თუ ის იდენტობა. მათე მოციქულის სახარების თანახმად, დიდებით მოსული უფლის წინაშე პიროვნება განისჯება სწორედ მეორე ადამიანისადმი ზრუნვის აქტებით: უმართავდა თუ არა ხელს მშიერსა და უქონელს, ზრუნავდა თუ არა პატიმარსა და სნეულზე, იწყნარებდა თუ არა უცხოს (მთ. 25: 10). გარდა ამისა, სახარების მოძღვრების მიხედვით ყოველი მცირე ძმათაგანი, ვისაც თანადგომა ესაჭიროება, სწორედ სამყაროს შემოქმედს, სამყაროს საზრისს, ღმრთის ძეს გვიცხადებს. უკლებლივ ყველა ადამიანშია ღმერთის განხორციელების პოტენციალი და ამ თვალსაზრისით, ადამიანის მსახურება იმთავითვე ღმრთის მსახურებასაც გულისხმობს. ღმრთის წინაშე ყოველი ადამიანი თავისი ღმრთაებრივი ღირსების მიხედვით, თანასწორია. მისი რელიგიური შეხედულებების სისტემა, მისი ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება, მისი კანის ფერი, სოციალური წარმომავლობა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, მისი მიკუთვნებულობა „ჩვენ“ თუ „ისინი“ ჯგუფისადმი თანასწორობის ბიბლიურ გაგებას უკანა პლანზე გადააქვს. როგორც პავლე მოციქული ამბობს, ყველანი ერთნი ვართ ქრისტეში (გალ.3:28) თანასწორობის შესახებ ეს წარმოდგენა კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე უკლებლივ ყველა ადამიანის თანასწორობის ლიბერალური დემოკრატიებისათვის ფუძემდებლურ პრინციპებს ეხმიანება.

ეკლესია და სახელმწიფოს მამისჯანა

სახარებისეული ნარატივის მიხედვით სამყაროს შემოქმედი ღმერთი არა პოლიტიკური ან ნაციონალური ძალაუფლებით აღჭურვილი მოევლინა კაცობრიობას, არამედ როგორც, ალექსანდრე შმემანი აღნიშნავს, – პოლიტიკური, ნაციონალური, რელიგიური ძალაუფლების მიერ დევნილი ბავშვის სახით. მას არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდა, თავად ახალშობილის ძალაუფლების გარდა, რაც ყველაზე სახიფათო გამოდგა პოლიტიკური ძალაუფლებისთვის. იესო ქრისტემ გამოყო ინდივიდუალური რწმენა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რელიგიისგან, საკუთრივ პოლიტიკური მიზნებისგან და ინდივიდუალური გზის არჩევანს მიანიჭა უპირატესობა. სეკულარულობის ცნობილი სახარებისეული მანიფესტაციაა ეპიზოდი, რომელშიც იესოს ჰკითხავენ, უნდა გადაიხადონ თუ არა გადასახადი, ის იმპერატორის გამოსახულებიან მონეტას უჩვენებს და იტყვის: მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა (მთ. 22.21).

ჯონ ლოკის ლიბერალური სეკულარიზმი ეფუძნება წარმოდგენას, რომ პოლიტიკური ძალაუფლება სოციალური კონტრაქტის შედეგია, მას არ აქვს, და შეუძლებელია ჰქონდეს, უშუალოდ ღვთაებრივი წარ-

მომავლობა, ის არ არის ღმრთაებრივი დაწესებულება, მხოლოდ გაშუალებულად, იმდენად, რამდენადაც ადამიანის ბუნებითი, ღვთივბოძებული უფლებების საფუძველზე შექმნილი კონტრაქტის შედეგია, რომლის მიზანს სწორედ ამ ღვთივბოძებული უფლებების დაცვის პასუხისმგებლობა წარმოადგენს. ამდენად სახელმწიფოს შეუძლებელია ჰქონდეს რწმენის, სარწმუნოების, რელიგიის შეფასების შესაძლებლობა; მისი მიზანი სულ სხვა ხასიათისაა და უფლებების, მშვიდობის, წესრიგის, კანონის უზენაესობის დაცვასთანაა დაკავშირებული. ასე რომ, კლასიკური ლიბერალიზმის მთავარი თეორეტიკოსი, ჯონ ლოკი, ჰყოფს საერო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სფეროს საკრალურისგან, ღმრთაებრივისგან, ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფის რელიგიური ორგანიზაციისგან. არაერთი თანამედროვე მართლმადიდებელი თეოლოგი მიიჩნევს, რომ სეკულარიზმი პრობლემასა და გამოწვევაზე მეტად, ღვთის წყალობად შეიძლება მივიჩნიოთ ეკლესიისთვის, - თავისუფლებაში, ბუნებრიობაში, პოლიტიკურ-კულტურული კონიუნქტურის გარეშე არსებობა, ეკლესიისთვის უსაფრთხო, არაძალადობრივი, არაიდეოლოგიზებული მყოფობის კონტექსტს ქმნის, რომელშიც მორწმუნე ქრისტიანი ღმრთისა და ადამიანისთვის ცხოვრობს და არ უწევს ბრძოლა ღმრთისა და ეკლესიის დასაცავად, მით უფრო, რომ არც ღმერთს და არც ეკლესიას, სახარების თანახმად, ადამიანის დაცვა არ სჭირდება, – უმალ პირიქით. ეკლესია საუკუნეების განმავლობაში სწორედ პოლიტიკური ძალაუფლების უღელქვეშ იჩაგრებოდა, ხოლო სეკულარულ გარემოში, მას, ბევრი გამოწვევის მიუხედავად, აქვს შესაძლებლობა, უარი განაცხადოს პოლიტიკური ძალაუფლების პრეტენზიაზე, ამ თვალისმომჭრელ საცდურზე და ადამიანისთვის რეალურ ზნეობრივ და მისტიკურ ორიენტირად იქცეს. დასავლეთში, აღმოსავლეთისგან განსხვავებით, გამიჯვნის ეს აქტი, ასე თუ ისე, განხორციელდა და რელიგიურობა, უმეტესწილად, ადამიანის პერსონალურ საქმედ, პიროვნული თავისუფლების სფეროდ მოიაზრება, ხოლო რელიგიური ცხოვრება სოციალური მსახურების შესანიშნავ, თავდადებულ მაგალითებს გვთავაზობს.

ხელისუფლება, სოფლის მსახური

ლიბერალური დემოკრატია, როგორც სახელმწიფო მმართველობის სისტემა, არსებული პოლიტიკური რეჟიმებიდან ერთადერთია, რომელიც ადამიანის ცოდვით დაცემას, ანუ ადამიანის დასაზღვრულობას, როგორც უნივერსალურ ანთროპოლოგიურ მახასიათებელს, იმპლიციტურად არამარტო აღიარებს, არამედ ითვალისწინებს. ლიბერალურ დემოკრატიაში დაუშვებელია ხელისუფლება უზურპირებული იყოს ერთი ადამიანის, ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ იმიტომ, რომ ადამიანს არ აქვს აბსოლუტური მსჯელობის, აბსოლუტურად ჭეშმარიტი აზრის გამოთქმის, ჭეშმარიტი და უნაკლო ქმედების, აბსოლუტური სიკეთის განხორციელების შესაძლებლობა. ადამიანის ბუნება, მისი ნება და ცნობიერება დაზიანებულია ცოდვით დაცემის შედეგად.

ლიბერალური დემოკრატიის თეორეტიკოსებმა ხელისუფლების აუცილებელი დასაზღვრის პრინციპი შემოიღეს - ხელისუფლება შეზღუდული უნდა იყოს დროში - არჩევნების გზით და ასევე სივრცეში, თავისი გადაწყვეტილებებისა და კანონების აღსრულებაში. საამისოდ ხელისუფლება უნდა იყოს დანაწილებული და გამჭვირვალე. აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა აკონტროლებდეს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება და პირიქით. მთელი სახელისუფლებო სისტემა მუდმივი მონიტორინგისა და შემოწმების ქვეშ უნდა იყოს მოქცეული, რათა მას ძალაუფლების უზურპაციისა და ავტორიტარულ-ტოტალიტარული

მართვის ცდუნება არ გაუჩნდეს. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს როლს უნდა ასრულებდეს სამოქალაქო საზოგადოება და მედია. ლიბერალურ დემოკრატიულ მოდელში, ხელისუფლება ძალაუფლების იერარქიაში განიხილება ხალხის, ადამიანების, მოქალაქეების მსახურად და არანაირად – პირიქით. მოქალაქე კი არ უნდა იჩოქებდეს მეფის წინაშე, როგორც ეს შუა საუკუნეებში იყო დამკვიდრებული, ან როგორც ხდება ეს დღეს ავტორიტარულ რეჟიმებში, არამედ მოქალაქეს უნდა „უჩოქებდეს“, ემსახურებოდეს ხელისუფლება. ამ მოდელში მოქალაქე არ არის ქვეშევრდომი, არამედ ისაა სწორედ ხელისუფლების წყარო და გამაკონტროლებელი, მისი დამქირავებელი. მის ხელთაა ხელისუფლებაში ამა თუ იმ პარტიისა და მინისტრის ყოფნის ბედი. ამ თვალსაზრისით, მმართველობის ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემა ყველაზე ახლოა ძალაუფლების განხორციელების იმ მოდელთან, რომელსაც უშუალოდ იესო ქრისტე ქადაგებდა:

„ხოლო იესომ მიიხმო ისინი და უთხრა მათ: თქვენ იცით, რომ ხალხთა მთავრებად მიჩნეულნი მბრძანებლობენ მათზე და დიდებულნი ძალადობით განაგებენ მათ. ხოლო თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, ის იყოს თქვენი მსახური. და ვინც თქვენში მოისურვებს პირველობას, ის იყოს ყველას მონა. რადგან ძე კაცისა იმისთვის კი არ მოვიდა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ რათა სხვებს ემსახუროს, და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსახსნელად“(მარკ. 10:42 -45).

ლიბერალური დემოკრატიის მიხედვით, ყველა სხვა პოლიტიკური სისტემის მაგალითებისგან ძალა ერთეულივე, კლასი, ეს ან ჯგუფია, თავისი საჯარიზებული მეფეებით, ბელადებით, ფიუჰრერებით და ალიმპიური ღმერთებით, ხოლო მათი მიზანი ყოველთვის ერნჯარეული ადამიანის მიღება — ოფეიდე ღიადი იდეის ან სარეალური ჯოგმარების ჩაელიზება, საკუთარ ხანა, საფოთხე ეფექტიანზე, ომის მანიპულირებას ყოფილი, მეხინჯი, სუსტი, ჯარელ, ძლიერი, ეგოცენტრი, ინდივიდუალური, ღარიბი, უბარელად მანსაკუთარი ადამიანი უფლის ხელს.

საბჭოების ევროპული ნაკითხვა და ხალისუფლების ღვთიმეტა

მიტროპოლიტი გიორგი ხოდრი, საღმრთო წერილის გასაგებად, „კენოტური“ წაკითხვის მეთოდს გვთავაზობს. ეს იდეა პავლე მოციქულის ფილიპელთა მიმართ ეპისტოლედანაა ნასესხები (ფპ. 2. 6-8). ქრისტემ „რომელიც ღვთის ხატება იყო და მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას, წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება... დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე...“ ამ ნებაყოფლობით თვითდამცრობაში, ამ თვითგამოცარიელებაში ძე ღმრთისა კვლავ ღმერთად რჩება, მაგრამ მისი ღვთაებრიობა თავს აშკარად არ ავლენს. ქრისტეს კენოზისი გულისხმობს ძის გაადამიანურებას და ადამიანად მოვლენილი ღმერთის მიერ ადამიანისადმი მისი ძალაუფლების თანმიმდევრულ დათმობას, როგორც მისი მსახურებისა და ხსნის პერსპექტივას. კენოზისი პეტრეს წინაშე მუხლმოყრილი ქრისტეს დისპოზიციაში ვლინდება. ამ დისპოზიციის ტრაგიკული მხარეა იუდა ისკარიოტელი, რომელიც შეიარაღებულ რაზმს

მოუძღვება ქრისტეს შესაპყრობად, სინედრიონი, რომელიც ერთზე წინ მრავალს აყენებს, სამხედროები, რომლებიც ამცირებენ და შეურაცხყოფენ ქრისტეს, მარიონეტი მეფე ჰეროდე, იმპერია, პილატეს სახით და ხალხი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას ითხოვს და თავად ჯვარცმა, როგორც ფერისცვალების სარკისებური, ჯოჯოხეთური ანარეკლი. ღმერთის ძალაუფლების სახარებისეული გაგება უძალობაში ვლინდება, როგორც მოციქული პავლე ამბობს, ჩემს ძალას ჩემი უძლურება ავლენს. სახარებისეული პერსპექტივის მიხედვით, იესო ქრისტე, ყოვლის შემოქმედი ღმერთი ნებაყოფლობით თმობს ადამიანის წინაშე ძალაუფლების ყველანაირ ფორმას: რელიგიურს, ეკონომიკურს, სამხედროს, სოციალურს და სრულიად უძლური ხდება ობიექტური ძალაუფლების მიერ გამოვლენილი ადამიანური ნების წინაშე. უძლურების ამ აქტით, ძალაუფ-ლებათა სისტემების წინაშე ამ კენოზისით სახარებისეული ქრისტე ააშკარავებს კონფლიქტს ღვთის სიტყვასა და ბატონისა და მონის, მღვდელმთავრისა და მრევლის, მრავლისა და ერთის, მდიდრისა და ღარიბის, ძლი-ერისა და უძლურის, შეიარაღებულისა და უიარაღოს, უფროსისა და უმცროსის ტრადიციულ დისპოზიციას შორის, ესაა კონფლიქტი ერთი მხრივ, ინდივიდსა და მეორე მხრივ, ბატონობაზე, მართვაზე დაფუძნებულ ძალაუფლების ეფემერულ, წუთისოფლისეულ ხატებს შორის, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ჩანს უდაბნოს ქრისტეს გამოცდის ეპიზოდში.

შეჯამება

ლიბერალური დემოკრატიის გარდა, ყველა სხვა პოლიტიკური სისტემის მამოძრავებელი ძალა კო-ლექტივი, კლასი, ერი ან მრევლია, თავისი საკრალიზებული მეფეებით, ბელადებით, ფიურერებით და რელიგიური ლიდერებით, ხოლო მათი მიზანი ყოველთვის კონკრეტული ადამიანის მიღმაა - რომელიმე დიადი იდეის ან სრულყოფილი პროგრამის რეალიზება, სამყაროს ხსნა, სამოთხე დედამიწაზე, რომლის განხორციელებას ცოდვილი, მახინჯი, სუსტი, ურჯულო, მდიდარი, ამორალური, ინდივიდუალური, ღარიბი, უბრალოდ განსხვავებული ადამიანი უშლის ხელს. ამიტომ, მიზნისკენ გზაზე ეს ხელისშემშლელი ფაქტორი, უნდა მოიხსნას — განსხვავებული ადამიანი — უნდა განიდევნოს, შეიზღუდოს, დამცირდეს, ან განადგურდეს. საბოლოო ჯამში, სწორედ ამის გამო ჩაიძირა უკლებლივ ყველა ეს „კეთილშობილი" დიადი იდეა ტოტალურ სიძულვილში, ტერორსა და რეპრესიებში. როგორც ბევრი მიიჩნევს, ტოტალიტარული მართვის პირველი ფილოსოფოსი პლატონი იყო. პლატონისთვის იდეა უფრო მნიშვნელოვანი, უფრო დიდი იყო ადამიანზე, იესო ქრისტეში კი ლოგოსი და ადამიანი ერთ კონკრეტულ პიროვნებაში, უნიკალურ პერსონაში გამთლიან-და. ლიბერალურმა წესრიგმა შესაძლებელი გახადა ამ კონკრეტული, ერთი, არასერიული, დაუთვლადი ადამიანის, მისი სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების, თუნდაც მისი უძლურების, სისუსტისა და ნაკლის, მისი არასრულყოფილების დასაცავად დროისა და სივრცის, კანონისა და სახელმწიფოს აგება. სამომავლოდ პოლიტიკური და არამარტო პოლიტიკური ძალაუფლებების გასაანალიზებლად სახარების თითოეულ ამ პარადიგმატულ ხატს რომ მივმართოთ, ძალაუფლებათა სახარებისეული, კენოტური კითხვა არსებობის უფრო ფართო და სიღრმისეული შრეების საკვლევ მეთოდად რომ ვაქციოთ, შესაძლოა კიდევ უფრო დამაჯერებლად დავასაბუთოთ, რომ ღმერთის, როგორც მსახურისა და ადამიანის, როგორც მსახु-რის სახარებისეული ხატი, პოლიტიკოსის, ხელისუფლების, როგორც მსახურისა და ადამიანის, როგორც მსახურების ობიექტის ლიბერალურ ხატს ენათესავება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, დანერგვისა და განხორციელების თავისებურებები და გვიანები

ნათია მოსაძეკე
განათლების საკითხების მკვლევარი

განათლების ეროვნული მიზნების ზოგადი მნიშვნელობა და ხედვები

> **განათლების ეროვნული მიზნები ინტეგრირებულია იმ ხედვებსა და განათლების კონკრეტულ მიმართულებებში, რომელსაც თითოეული ქვეყანა ჯერჯერობით ელოდება.**

განათლების ეროვნული მიზნები გულისხმობს ღირებულებით ხედვებს, რომელზეც სახელმწიფო საკუთარ ზრახვებსა და მისწრაფებებს აფუძნებს და რომელთა მიღწევა განათლების საშუალებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, განათლების ეროვნული მიზნები ყოვლისმომცველ და ფართო სწრაფვებს განსაზღვრავს, რომელსაც ქვეყანა განათლების გრძელვადიანი პერსპექტივიდან უყურებს. განათლების ეროვნული მიზნები ჩაშლილია უფრო მკაფიო მიზნებად სწავლის საფეხურების მიხედვით, რომელიც უმეტესწილად, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საფეხურების სახით არის განსაზღვრული.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ განათლების ეროვნული მიზნები წარმოადგენს საყრდენს, ფუნდამენტს განათლების პოლიტიკის, სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განვითარებისა და სწავლების პრაქტიკების დასაფუძნებლად. ამრიგად, უდავოა, რომ განათლების აღიარებულ ეროვნულ მიზნებს უდიდესი როლი ენიჭება ქვეყნის განათლების სისტემურ ჩამოყალიბებაში.

ამ სტატიაში გვინდა აქცენტი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე (ზგემი) შევაჩეროთ. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე. 2024 წელს დღის წესრიგში დადგა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გადახედვა და რევიზია. დოკუმენტში ცვლილებების გატარების განზრახვის შესახებ საუბარი 2023 წელს აქტიურად

დაიწყო და 2024 წლის 26 თებერვალს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების პროექტის განხილვის დაწყება დაანონსდა.

განხილვების დაწყებამდე კი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა – გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ *„ამ [ზგემის] პროექტში აქცენტი გაკეთებულია ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაზე გლობალურ სამყაროში, რაც გულისხმობს ეროვნული ღირებულებების პრიორიტიზირებას მოსწავლეებში, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი, პატრიოტი მოქალაქის აღზრდასა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობების ჩამოყალიბებას. ამასთან, ჩვენ გვსურს, რომ ყველა ეთნოსმა საქართველოში, შეინარჩუნოს თავისი ავთენტურობა, ერთი მხრივ ჩვენ არ გვინდა მათ თავიანთი კუთვნილება დავუკარგოთ, მეორე მხრივ კი გვინდა ქართულ იდენტობასთანაც ჰქონდეთ კავშირი*[1] “.

მანამდე, სანამ უშუალოდ ზგემის გავლენებისა და პრაქტიკაში ასახვის საკითხებზე გადავალთ, პირველ რიგში, ყურადღება გავამახვილოთ ეროვნული მიზნების ფორმირების თეორიებსა და არსებულ პრაქტიკებზე, ასახვის თავისებურებებზე და შესაბამის არგუმენტაციებზე. ასევე განვიხილოთ გავლენის ის პოტენციალი, რომელიც ამ ხედვებს შეუძლიათ განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებსა და სტრატეგიულ ხედვებზე იქონიოს წარმოდგენის ფორმისა და კონტექსტის მიხედვით.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, როგორც წესი, მითითებულია ქვეყნის მთავრობების ან შესაბამისი განათლების ორგანოების მიერ დამტკიცებულ სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებსა და პოლიტიკაში. თავად ეროვნული მიზნების გამოხატვის კონკრეტული ფორმები, ისევე, როგორც განმარტება, განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. რიგ შემთხვევებში, განათლების ეროვნული მიზნები არ არის მკაფიოდ გამოყოფილი განათლების პოლიტიკის დოკუმენტებიდან და ექსპლიციტურად არის წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტების, კანონების ქოლგის ქვეშ. მეორე მხრივ, თავად მიზნები ერთიანდება რამდენიმე ძირითად მიმართულებაში, როგორც ქვემოთ არის დაკონკრეტებული:

1. ბევრ ქვეყანას აქვს ყოვლისმომცველი ეროვნული განათლების პოლიტიკა ან კანონი, რომლებიც ასახავს მათი განათლების სისტემის საერთო ხედვას, ამოცანებსა და მიზნებს, რომელიც ასევე მოიცავს ზოგად განათლებასაც. ეს პოლიტიკა წარმოადგენს სახელმძღვანელო ჩარჩოსა და ორიენტირს განათლების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში ზგემი ეროვნული განათლების პოლიტიკის დოკუმენტებსა ან კანონებშია ინტეგრირებული.
2. ეროვნული ან სახელმწიფო დონის სასწავლო გეგმის ჩარჩოები და სტანდარტების დოკუმენტები ხშირად ცალსახად ასახავს ზოგადი განათლების მიზნებსა და ამოცანებს. ეს დოკუმენტები განსაზღვრავს იმ სასურველ ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და კომპეტენციებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ საგანმანათლებლო გზაზე.
3. ეროვნული განათლების გეგმები ან სტრატეგიები წარმოადგენს ზგემის განსაზღვრის იმ ფორმას, რომლითაც მრავალი ქვეყანა სახავს გრძელვადიან საგანმანათლებლო გეგმებს და რომლებიც ასახავს მათი განათლების სისტემის მიზნებსა და ამოცანებს, სადაც ზოგადი განათლება ყოვლისმომცველი გეგმებისა და სტრატეგიის სპეციფიკურ ნაწილს წარმოადგენს. ეს გეგმები, როგორც წესი, რამდენიმე წელიწადს მოიცავს და წარმოადგენს ნავიგაციას, გზამკვლევს განათლების რეფორმებისა და გაუმჯობესებისთვის.
4. ე.წ. „თეთრი ქაღალდები“ ან პოლიტიკური განცხადებები / მოხსენებები, რომლებსაც მთავრობები გამოსცემენ და რომლებიც ასახავს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ეს დოკუმენტები ხშირად

შემუშავებულია საკონსულტაციო პროცესების შედეგად, რომელშიც მონაწილეობენ განათლების სფეროს დაინტერესებული მხარეები და ექსპერტები.

5. ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში, სხვადასხვა საგნის ან სწავლის საფეხურებისთვის არის შემუშავებული, ცალსახად ასახავს ზოგადი განათლების მთავარ მიზნებს. ეს დოკუმენტები წარმოადგენს გზამკვლევს სასწავლო მასალების, სწავლების მეთოდოლოგიებისა და შეფასების პრაქტიკის შემუშავებისათვის.
6. ქვეყნების ნაწილმა ჩამოაყალიბა საგანმანათლებლო ფილოსოფიები ან პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სახელმწიფო მიდგომები ზოგადი განათლების მიმართ. ეს სახელმძღვანელო პრინციპები შეიძლება იყოს ჩაწერილი პოლიტიკის დოკუმენტებში ან წარმოადგენდეს საფუძველს საგანმანათლებლო მიზნებისა და ამოცანების შემუშავებისთვის.

განათლების ეროვნული მიზნების უნიფიცირებულ ფორმას ნაკმოაყენებს სოციალური დისკუსიებისა და კრიტიკის ელემენტები.

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ დოკუმენტებთან მიმართებით გამოყენებული ტერმინოლოგია შეიძლება განსხვავებული იყოს ქვეყნების მიხედვით და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განსაზღვრის კონკრეტული ფორმებიც შეიძლება იყოს განსხვავებული თითოეული ერის საგანმანათლებლო სისტემებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესების მიხედვით.

ზოგადი განათლების მიზნების აბსტრაქტული დოკუმენტები ქვეყნების დონეზე

თუ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითს უფრო კონკრეტულად გადავხედავთ, მკაფიოდ დავინახავთ იმ განსხვავებებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ასახვის ფორმისა და აქცენტების სახით ისახება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აისახება ისეთ საკანონმდებლო დოკუმენტებში, როგორიცაა „არცერთი ჩამორჩენილი ბავშვი“ (No Child Left Behind (NCLB)), რომელიც 2001 წელს დამტკიცდა და ისევე, როგორც 2015 წელს, ობამას მიერ დამტკიცებული კანონი „ყველა მოსწავლე მიაღწევს წარმატებას (Every Student Succeeds Act (ESSA)). ორივე კანონი ასახავს მოსწავლეთა მიღწევების სტანდარტებს ძირითად საგნებში, როგორიცაა მათემატიკა და ლიტერატურა, და ხაზს უსვამს სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფს შორის მიღწევების ხარვეზების შემცირების აუცილებლობასა და მნიშვნელობას. თუმცა, ამასთანავე, თითოეული შტატის დონეზე შემუშავდება სასწავლო გეგმის ჩარჩო, რომლებიც თავსებადია ფედერალურ მანდატებთან და დეტალურად აღწერს შტატის სასწავლო მიზნებსა და სტანდარტებს. მაგალითად, კალიფორნიას აქვს კალიფორნიის საერთო ძირითადი სახელმწიფო სტანდარტები (California Common Core State Standards (CCSS)) 12 კლასის განათლებისთვის.

მიზნების განსაზღვრისა და ერთიანობის პრაქტიკა ეფუძნება ნაყოფიერებენლობითი და თანამშრომლობითი მიდგომების ერთობის პოლიტიკის შეფუფვების ჭრილში, რაც მრავალფეროვანი ერინტერესების ფართო ჩართულობით და კონსულტაციებით მიიღწევა.

დიდ ბრიტანეთში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტით, რომელიც განსაზღვრავს იმ საგნებს, მათ შინაარსს და სტანდარტებს, რომლებიც ინგლისის სკოლებისათვის აუცილებელია. ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შემავალ თითოეულ ქვეყანას (ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია) გააჩნია საკუთარი განათლების სისტემა და შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოები. მაგალითად, შოტლანდიაში, სრულყოფის სასწავლო პროგრამა (Curriculum for Excellence) აერთიანებს განათლების ეროვნულ მიზნებსა და სტანდარტებს.

ავსტრალიაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ასახულია ავსტრალიის სასწავლო გეგმის, შეფასების და ანგარიშგების ორგანოში (Australian Curriculum, Assessment, and Reporting Authority (ACARA)), რომელიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეისწავლონ პირველიდან მეათე კლასამდე მოსწავლეებმა თითოეულ საგანში. გარდა ამისა, თითოეულ შტატსა და ტერიტორიას აქვს სასწავლო გეგმის საკუთარი დოკუმენტები, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ მიზნებს, თუმცა, ასევე შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის სპეციფიკურ პრიორიტეტებს.

ჩინეთის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ასახულია საშუალო და გრძელვადიანი განათლების რეფორმისა და განვითარების ეროვნულ გეგმაში, რომელიც მიმართულია განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგანმანათლებლო თანასწორობის უზრუნველყოფასა და ინოვაციების ხელშეწყობაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები კი იძლევა განსაზღვრებას, თუ რა უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა თითოეულ საფეხურზე. სტანდარტებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ძირითად საგნებზე, როგორიცაა ჩინური ენა, მათემატიკა და მორალური განათლება.

იაპონიაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აისახება ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა „განათლების კურსი“ (Gakushū Shidō Yōryō), რომელიც განსაზღვრავს განათლების შინაარსს და ამოცანებს თითოეული კლასის საფეხურისთვის. განათლების კურსი მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა იაპონური ენა, მათემატიკა, მეცნიერება, სოციალური კვლევები და მორალური განათლება. გარდა ამისა, ძირითადი კანონი განათლების შესახებ ასახავს განათლების ფუნდამენტურ პრინციპებსა და მიზნებს იაპონიაში.

ფინეთში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აისახება დოკუმენტში „განათლების ეროვნული ძირითადი სასწავლო გეგმა“ (Perusopetuksen opetussuunnitelman perusteet), რომელიც აყალიბებს სახელმძღვანელო პრინციპებს საბაზისო განათლების შინაარსის, მიზნებისა და ორგანიზაციის შესახებ. სასწავლო გეგმა ხაზს უსვამს სწავლისადმი ჰოლისტური მიდგომის მნიშვნელობას,

განსაკუთრებით გამოყოფს სტუდენტის კეთილდღეობის როლს პროცესში და ხაზს უსვამს თანასწორობისა და ინდივიდუალურ სასწავლო მიმართულებების საკითხებს. გარდა ამისა, ფინეთის განათლების ეროვნული სააგენტო (Opetushallitus) პასუხისმგებელია კურიკულუმის ადგილობრივ დონეზე განხორციელების მხარდაჭერასა და რეკომენდაციების გაცემაზე.

ესტონეთში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აისახება ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა „საბაზო და უმაღლესი საშუალო სკოლების ეროვნული სასწავლო გეგმა“ (Põhikooli ja gümnaaiumi riiklik õppekava), რომელიც ასახავს მიზნებს, შინაარსს და შეფასების კრიტერიუმებს საბაზო და საშუალო სკოლებისთვის. სასწავლო გეგმა ხაზს უსვამს ძირითადი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა კომუნიკაცია, ციფრული წიგნიერება და კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, განათლებისა და კვლევის სამინისტრო (Haridus-ja Teadusministeerium) ზედამხედველობას უწევს სასწავლო გეგმის განხორციელებას და მხარდაჭერას უცხადებს სკოლებსა და პედაგოგებს.

საფრანგეთში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აისახება დოკუმენტში „Code de l'éducation“ (განათლების კოდექსი), რომელიც ასახავს განათლების სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ორგანიზაციას. სასწავლო პროგრამა ეფუძნება “Programmes de l'Éducation nationale” (ეროვნული განათლების პროგრამები) და განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს და შინაარსს თითოეული საგნისთვის სასკოლო განათლების ყველა საფეხურისათვის.

გერმანიაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აისახება დოკუმენტში „Bildungsplan“ (განათლების გეგმა) თითოეულ ფედერალური მიწისათვის (Bundesland). დოკუმენტი წარმოადგენს საგანმანათლებლო გეგმას და განათლების მიზნებს, შინაარსის სტანდარტებს და შეფასების კრიტერიუმებს სხვადასხვა საგნებისათვის კლასის დონეზე.

შვედეთში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ასახულია „სავალდებულო სკოლის, სკოლამდელი კლასის და რეკრეაციული ცენტრის სასწავლო გეგმაში“ (Lgr 11), რომელიც ადგენს მიზნებს, შინაარსს და შეფასების კრიტერიუმებს სავალდებულო განათლების ფარგლებში. სასწავლო პროგრამა ხაზს უსვამს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარების მიმართულებებს, რომლებიც აუცილებელია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და აქტიური მოქალაქეობისთვის.

ესპანეთი: ესპანეთში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აისახება დოკუმენტში „Ley Orgánica de Educación“ (განათლების ორგანული კანონი), რომელიც აყალიბებს განათლების სისტემის სამართლებრივ ჩარჩოს. სასწავლო პროგრამა ეფუძნება „Currículo Básico“-ს (საბაზისო სასწავლო გეგმას), რომელიც განსაზღვრავს ძირითად კომპეტენციებს, ცოდნას და უნარებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ განათლების თითოეულ საფეხურზე.

ნიდერლანდებში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აისახება ძირითადი მიზნების – “Kerndoelen” და დონეების ეტალონების “Referentieniveaus” დოკუნტებში. ეს დოკუმენტები აღწერენ რა უნდა იცოდნენ და შეძლონ მოსწავლეებმა განათლების სხვადასხვა საფეხურზე. სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნულ დონეზე, თუმცა ადაპტირებას ცალკეული სკოლები და მასწავლებლები ახდენენ და შესაბამისად ახორციელებენ.

ამგვარად, რეალურად, განათლების ეროვნული მიზნები ინტეგრირებულია იმ ხედვებსა და განათლების კონკრეტულ მიმართულებებში, რომელსაც თითოეული ქვეყანა პრიორიტეტულად აღიქვამს.

განათლების ეროვნული მიზნების ჩამოყალიბების საფუძვლები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველში არსებული ფილოსოფიური ხედვა ასახავს ქვეყნის ფუნდამენტურ რწმენას მისი საგანმანათლებლო სისტემის მიზნისა და მიმართულების შესახებ. ეს ხედვები ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორებითა და მოსაზრებების გათვალისწინებით, რომელთა ანალიზი საშუალებას იძლევა კონკრეტული ქვეყნის შორსმხედველი პერსპექტივები დავინახოთ.

განათლების გაცხადებული ეროვნული მიზნების ანალიზი ადასტურებს, რომ ზოგიერთი ქვეყანა ხაზს უსვამს ცოდნის, მორალური განვითარებისა და ხასიათის ჩამოყალიბების მნიშვნელობას. შესაბამისად, განათლების მიზნები სათავეს იღებს იდეალიზმის ფილოსოფიური ხედვებიდან გამომდინარე. თუმცა, მეორე მხრივ, ქვეყნების ნაწილი პრაგმატიზმის პრიზმიდან განიხილავს ამ მიზნებს და აქცენტს აკეთებს ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარების მნიშვნელობაზე, როგორიცაა პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება და მოსწავლეების მომზადება სამუშაო ძალისთვის. შესაბამისად, პრაგმატული ხედვის მიზნები ხაზს უსვამს განათლების სარგებლიანობას და შესაბამისობას.

განათლების ეროვნული მიზნების ფუნდამენტურ ღერძს წარმოადგენს სოციალური ღირებულებებისა და კულტურის ელემენტები, შესაბამისად, კულტურული კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ეროვნულ მიზნებზე გავლენას ახდენს კულტურული ნორმები, ისტორიული კონტექსტი და სოციალური ღირებულებები, ასახვას ჰპოვებს მიზნების დებულებებში. ასე მაგალითად, ქვეყნებმა, რომლებშიც მნიშვნელოვანია კოლექტივისტური კულტურა, შეიძლება პრიორიტეტულად მიიჩნიოს სოციალური ჰარმონია და საზოგადოების კეთილდღეობა.

კიდევ ერთი ფუნდამენტური ღერძი, რომელსაც ეროვნული მიზნები ეფუძნება, ეთიკური საფუძვლებია. შესაბამისად, ფილოსოფიური პერსპექტივები ეთიკის, სამართლიანობისა და თანასწორობის შესახებ აყალიბებს საგანმანათლებლო მიზნებს. ქვეყნების დიდი ნაწილი მიზნად ისახავს პასუხისმგებელი მოქალაქეების აღზრდას, რომლებიც პოზიტიურ წვლილს შეიტანენ საზოგადოებაში.

ეროვნული მიზნების შემუშავებაზე დიდ მნიშვნელობას ახდენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებიც; ეკონომიკური განვითარება ხაზგასმულია, როგორც განათლების მიზანი და შესაბამისად, დებულებები ფოკუსირებულია კვალიფიციური სამუშაო ძალის ზრდასა და ინოვაციების ხელშეწყობაზე.

ასეთივე მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც განათლების ეროვნული მიზნები შეიძლება ითვალისწინებდეს, პოლიტიკური სტაბილურობისკენ სწრაფვის, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და სოციალურ ერთიანობის იდეებს შეიძლება მოიცავდეს. ამგვარად, განათლების ეროვნულ მიზნებში, განათლება განხილულია, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და ერთიანობის შენარჩუნების იარაღი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განათლების ეროვნული მიზნები პერიოდულად ცვლილებას განიცდის, რომ უკეთ ასახოს კონკრეტული ქვეყნის რეალობა, სწრაფვები და პოზიციონირება გლობალური განვითარების კონტექსტში. სწორედ ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი ასპექტი განათლების ეროვნული მიზნების განსაზღვრებისას ქვეყნის ისტორიული კონტექსტი და სოციალური მოძრაობებია. შესაბამისად, ისტორიული ტრაექტორიები აისახება ეროვნულ მიზნებში და იცვლება ისტორიული მოვლენების, სოციალური მოძრაობებისა და საგანმანათლებლო რეფორმების მთავარი ეტაპების შესაბამისად.

გარდა იმისა, რომ ქვეყნები მაქსიმალურად ითვალისწინებენ ეროვნული ნიშნების, მისწრაფებების, ხედვებისა და ტენდენციების ასახვას, ეროვნულ მიზნებში ასევე ინტეგრირდება გლობალური ტენდენციებიც და უნივერსალური ღირებულებებიც, რაც ხაზს უსვამს ქვეყნების სწრაფვას, რომ განათლების ეროვნული მიზნები მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ ტენდენციებთან დააახლოონ. ამისი ნათელი მაგალითია მიზნების განაცხადში ტექნოლოგიური წინსვლის, გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების წამოწევა.

ეროვნული მიზნების ჩამოყალიბების პოზიციური ჰაქტიკები

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განაცხადი ბევრ ქვეყანაში იმეორებს საყოველთაო პრიორიტეტებს, მიზნების ანალიზი წარმოაჩენს იმ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყნების ეროვნული მიზნებისათვის. ამ ტიპის თვისებაა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მონაწილეობითი ფორმულირება, რაშიც სახელმწიფო უწყებები, განათლების სამინისტრო, პოლიტიკის შემქმნელები, განათლების ექსპერტები, საზოგადოების წარმომადგენლები და, შესაძლოა, რელიგიური ლიდერები ურთიერთთანამშრომლობენ ეროვნული მიზნების მაქსიმალურად ეფექტურად განსაზღვრისათვის. პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან წამოსული ინიციატივები.

> **განათლების ეროვნული მიზნები ხშირად მოიცავს მოსაღლურ და ღიაგებულებით განათლებასთან დაკავშირებულ ამოცანებს.**

კიდევ ერთი თვისება, რომელიც დამახასიათებელია წარმატებული განათლების სისტემების მქონე ქვეყნების მიზნების განსაზღვრებისათვის, არის კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნება; როდესაც ეროვნული მიზნები აღიარებს და ემყარება ქვეყანასა და მსოფლიოში არსებულ კვლევებს, მონაცემებს და ემპირიულ, მეცნიერულ და სისტემურ მტკიცებულებებს ეფექტური საგანმანათლებლო პრაქტიკების შესახებ.

ასეთივე მნიშვნელოვანი თვისებაა მრავალშრიანი მიზნების დაბალანსება, რაც ჰოლისტიკური მიდგომის პრიორიტეტიზაციით არის მიღწეული და როდესაც ქვეყნები ცდილობენ დააბალანსონ სხვადასხვა საკვანძო მნიშვნელობის მიზანი, როგორებიცაა: კოგნიტური განვითარება, სოციალურ-ემოციური სწავლა, შემოქმედებითობა და მოქალაქეობა. ამავდროულად, პრიორიტეტების დადგენა გულისხმობს კომპრომისებსაც. მაგალითად, ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ხაზგასმამ შესაძლოა ჩრდილი მიაყენოს ისეთ საკითხს, როგორიცაა გარემოს მდგრადობა. შესაბამისად, მნიშვნელოვან ამოსავალ წერტილს განათლების ეროვნული მიზნების ჩამოყალიბების პროცესში ამ მიზნების შესაძლო ზეგავლენის განჭვრეტა და შესაბამისი კომპრომისების დაშვება წარმოადგენს.

როდესაც საქმე ეხება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღებისა და განხორციელების საუკეთესო რეალურ პრაქტიკას, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი უნიკალური კონტექსტი, გამოწვევები და საგანმანათლებლო პრიორიტეტები. თუმცა, საგანმანათლებლო პრიორიტეტები, თავისთავად, შესაძლოა, ნაკარნახევი იყოს მსოფლიოში მიმდინარე საგანმანათლებლო ხედვების რეფორმირების აუცილებლობით.

კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც განათლების ეროვნული მიზნების დანერგვისათვის არის დამახასიათებელი ქვეყნების მიხედვით, მის არათანაზომიერ გავლენას გულისხმობს განათლების პოლიტიკის სხვადასხვა კომპონენტზე. უფრო კონკრეტულად კი, ზოგადი განათლების ეროვნულმა მიზნებმა ასახვა შეიძლება უფრო მეტად ჰპოვოს მასწავლებელთა განათლების პოლიტიკის ან ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტების შემუშავებასა და განხორციელებაზე. ასე მაგალითად, თურქეთის სასწავლო გეგმების რეფორმირება სწავლა-სწავლების ორ ურთიერთდაკავშირებულ თეორიას ეფუძნებოდა, რომელიც, შესაბამისად, ქვეყნის ხედვაში აისახა. პირველი, შეიცვალა ცოდნაზე დაფუძნებული სწავლის ხედვა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლის შედეგების ხედვით. ამ ცვლილების ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა თანამედროვეობის, ე.წ. 21-ე საუკუნის, ტრანსვერსიული კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობაზე. მეორე არის კონსტრუქტივისტული პედაგოგიური მიდგომების პოპულარიზაცია და მოსწავლეთა აქტიური როლის აღიარება სასწავლო პროცესში. სწავლებისა და სწავლის ეს ორი ახალი მიდგომა პირველად დაინერგა 2006 წლის სასწავლო გეგმის საეტაპო რეფორმების ფარგლებში და გარდაისახა შესაბამის განათლების პოლიტიკაში. 2017 წელს, ათი წლის თავზე კი, მომდევნო, მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, რომელმაც სასკოლო სასწავლო გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია.

ქვეყნების ნაწილმა შეძლო ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიკებისა და ინიციატივების განხორციელება, რომლებიც პრაქტიკულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ და რომლებიც შეიძლება კარგად ერგებოდეს სხვადასხვა კონკრეტულ გარემოებას. აქ მოცემულია საუკეთესო რეალური პრაქტიკის რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა ქვეყნიდან:

ფინეთის განათლების ეროვნული მიზნების ამოსავალი წერტილია სამართლიანობა და ინკლუზიურობა, შესაბამისად, ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა ცნობილია თავისი ვალდებულებით, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება ყველა მოსწავლისათვის, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობისა და გეოგრაფიული მდებარეობისა. მიზნებზე დაფუძნებით პრიორიტეტულ მიმართულებად ასევე არის განხილული მასწავლებელთა პროფესიონალიზმი. ფინელი მასწავლებლები არიან ძალიან პატივცემული, საზოგადოებაში დაფასებული პროფესიონალები, რომელთა ყოვლისმომცველი მომზადების შემდგომ მათ ენიჭებათ მნიშვნელოვანი ავტონომია სასწავლო გეგმებისა და სასწავლო მეთოდების შემუშავებაში. სწორედ სამართლიანობისა და ინკლუზიურობის მიზნებიდან გამომდინარე, ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა ახორციელებს განათლებას, რომელიც „მთლიანი ბავშვის“ ხედვაზეა დაფუძნებული. ფინეთის საგანმანათლებლო მიზნები ფოკუსირებულია ბავშვის ყოველმხრივ განვითარებაზე და მოიცავს კოგნიტურ, სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვას.

განათლების ეროვნული მიზნების წარმატებულ გარდასახვას პრაქტიკაში წარმოადგენს სინგაპურში არსებული ორენოვანი განათლების პოლიტიკა, რომელიც მოსწავლეებს აძლევს სრულ წვდომას ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლაზე მშობლიური ენების პარალელურად. ამგვარად, სინგაპურის განათლების სისტემა ეფუძნება ეროვნულ მიზნებს, რომელთა მნიშვნელოვანი აქცენტია კულტურული მრავალფეროვნების

ხელშეწყობა და გლობალური კონკურენტუნარიანობისთვის მომზადება. მნიშვნელოვან ფოკუსს წარმოადგენს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) განათლების პრიორიტეტიზაცია; სინგაპურის განათლების ეროვნული მიზანი ტრანსფორმირდება STEM-ის გაძლიერების საშუალებით ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის აღორძინება კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარებისთვის. მესამე, მნიშვნელოვანი მახასიათებელია კურიკულუმის უწყვეტი მიმოხილვა და განახლება ეროვნულ მიზნებსა და გლობალურ ტენდენციებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის.

ასევე საინტერესო მაგალითი იმისა, თუ როგორ გარდაიქმნება განათლების ეროვნული მიზნები პრაქტიკაში, კანადაშია წარმოდგენილი. განათლების ეროვნული მიზნები ხაზს უსვამს ადგილობრივი თემების ტრადიციებისადმი ერთგულებას, არსებული კულტურული პერსპექტივების საგანმანათლებლო პროგრამების შედეგად ცოდნად გარდასახვას და, შესაბამისად, კულტურული ცნობიერების განვითარებას და მის მიმართ პატივისცემის გაძლიერების ხელშეწყობას ეფუძნება. მეორე მხრივ, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გარემოსდაცვითი განათლების განვითარებაზე, რომელიც კანადის არაერთ პროვინციაში ჰარმონიულად არის ინტეგრირებული სასწავლო გეგმებში და ხელს უწყობს მდგრადი ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გულისხმობს თანამშრომლობის უნარების გაძლიერებას. სწორედ ამ პრინციპების დანერგვით შემუშავდება განათლების პოლიტიკაც ქვეყანაში, სადაც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, პროვინციული და ტერიტორიული მთავრობების ჩათვლით, საშუალება ეძლევათ საკუთარი წვლილი შეიტანონ ეროვნული საგანმანათლებლო მიზნებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების გზების განსაზღვრაში.

სამხრეთ კორეის საგანმანათლებლო სისტემა ეფუძნება ხარისხიანი განათლების მიწოდების ძირითად პრინციპს ადრეული ასაკიდან, რისთვისაც ქვეყანამ უზარმაზარი ინვესტიცია განახორციელა და ადრეული ასაკის განათლება საგანმანათლებლო ციკლის სერიოზულ საფუძვლად წარმოადგინა შემდგომი ნაბიჯების განხორციელებისათვის. ამასთანავე, ქვეყნის საგანმანათლებლო ხედვები, ეფუძნება ტექნოლოგიების ინტეგრაციის მიზანსაც; სწორედ ამ ხედვის კვალდაკვალ სამხრეთ კორეა მნიშვნელოვანი ლიდერია ტექნოლოგიების განათლებაში ინტეგრირების, ციფრული წიგნიერების და სწავლების ინოვაციური მეთოდების ხელშეწყობის მიმართულებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი ამ მიმართულებით წარმოდგენილია უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის სახით და ითარგმნება სამხრეთ კორეელი მასწავლებლებისათვის მუდმივი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მინიჭებაში, რაც მათ საშუალებას აძლევს მუდმივად გააუმჯობესონ საკუთარი პროფესიული უნარები და, შესაბამისად, მუდამ მომზადებულები იყვნენ თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციების სწავლებაში დანერგვისათვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა ეროვნული მიზნების მკაფიოობისა და წარმატებით დანერგვის კუთხით არის ახალი ზელანდია, რომელიც სისტემის მომზადებას კულტურულად პასუხისმგებელი სასწავლო გეგმის შემუშავებასა და დანერგვაში ხედავს. ახალი ზელანდიის სასწავლო გეგმის ნაწილია ადგილობრივი მაორის ენა, კულტურა და პერსპექტივები, რაც ხელს უწყობს კულტურულ მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას და ხაზს უსვამს იმ ხიდის მნიშვნელობას ქვეყნისათვის, რომელიც მის ისტორიასა და თანამედროვე განვითარების პერსპექტივებს უკავშირდება. ახალი ზელანდიის განათლების მნიშვნელოვან მიზანს ასევე წარმოადგენს მოსწავლის კეთილდღეობა, რომელიც მოსწავლეების ფიზიკურ, გონებრივ და ემოციურ ჯანმრთელობაში უნდა გამოვლინდეს. და კვლავაც, მიზნების განსაზღვრისა და დანერგვის პრაქტიკა ეფუძნება წარმომადგენლობითი და თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვას პოლიტიკის

შემუშავების პროცესში, რაც მრავალფეროვანი დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით და კონსულტაციებით მიიღწევა.

ეროვნული განათლების მიზნების, სომბრუს პოლიტიკური მკვლევნის ინსტიტუტის წინაპირობები

განათლების ეროვნული მიზნები შესაძლებელია გახდეს სერიოზული ინსტრუმენტი საგანმანათლებლო სისტემების ინდოქტრინაციის ან კონკრეტული პოლიტიკური მხარის გავლენის თვალსაზრისით. ამის განსაკუთრებული საფრთხე ჩნდება მაშინ, თუ განათლების მიზნებს ხელისუფლება ხედავს, როგორც კონკრეტული იდეოლოგიის ან პოლიტიკური დღის წესრიგის წახალისების ინსტრუმენტს. ამ ტიპის გავლენებს გარკვეული წინაპირობები იმთავითვე გააჩნია და ეს წინაპირობები იკვეთება მთლიანად სისტემის ისეთ განმსაზღვრელებში, როგორებიცაა:

ცენტრალიზებული კონტროლი, რომელიც საგანმანათლებლო სისტემების უაღრესი ცენტრალიზებულობით და მთავრობის ყველა დონეზე კონტროლით ვლინდება, ზრდის ინდოქტრინაციის ან პოლიტიკური გავლენის რისკს. მაგალითად, ავტორიტარულ რეჟიმებში განათლების ეროვნული მიზნები შეიძლება გამოყენებულ იქნას მმართველი პარტიის იდეოლოგიის პროპაგანდასა და განსხვავებული შეხედულებების დასათრგუნად. ამის წინაპირობაა დემოკრატიული ინსტიტუტების ნაკლებობა, გამოხატვის შეზღუდული თავისუფლება და დომინანტური პოლიტიკური იდეოლოგია.

ეროვნული სასწავლო გეგმების შინაარსი შეიძლება ასახავდეს კონკრეტულ იდეოლოგიურ ან პოლიტიკურ პერსპექტივებს. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ისტორიის სახელმძღვანელოებმა შეიძლება წარმოადგინონ მიკერძოებული ან დამახინჯებული ხედვა ისტორიულ მოვლენებისა, რათა შეესაბამებოდეს მთავრობის ნარატივს. წინაპირობები მოიცავს მთავრობის კონტროლს სასწავლო გეგმის შემუშავებაზე, შესაბამისად, მასწავლებლებისა და მეცნიერების შეზღუდულ წვლილს და ალტერნატიული შეხედულებების ცენზურას.

განათლების ეროვნული მიზნები ხშირად მოიცავს მორალურ და ღირებულებით განათლებასთან დაკავშირებულ ამოცანებს. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური ქცევისა და მოქალაქეობის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, არსებობს ინდოქტრინაციის რისკი, როდესაც კონკრეტული მორალური ფასეულობები დაწესებულია კრიტიკული აზროვნების ან მრავალფეროვანი პერსპექტივის გარეშე. წინაპირობები მოიცავს ჰომოგენურ საზოგადოებას, დომინანტურ კულტურულ ან რელიგიურ იდეოლოგიას და განსხვავებული შეხედულებების მიმართ შეზღუდულ ტოლერანტობას.

მასწავლებელთა მომზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს განათლების ეროვნულმა მიზნებმა. ზოგიერთ შემთხვევაში, მასწავლებლებს შეიძლება მოეთხოვოს თავად გაიარონ იდეოლოგიური ან პოლიტიკური ინდოქტრინაცია ან კლასში კონკრეტული შეხედულებების გავრცელება. წინაპირობები მოიცავს მთავრობის კონტროლს მასწავლებელთა მომზადების პროგრამებზე, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვასა და სადამსჯელო ზომებს პედაგოგებისთვის, რომლებიც გადაუხვევენ ოფიციალურ მითითებებს.

კიდევ ერთი მიმართულებაა მოსწავლეთა სწავლებისა და სკოლების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები, რომლებიც შეიძლება ასახავდეს პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და ღირებულებებს. მაგალითად, სტანდარტიზებულ ტესტებს შეუძლიათ პრიორიტეტი მიანიჭონ დამახსოვრებას და არა კრიტიკულ აზროვნებასა და შემოქმედებითობას, რაც აძლიერებს ვიწრო იდეოლოგიურ დღის წესრიგს. წინაპირობები მოიცავს

შეფასების პოლიტიკაზე მთავრობის კონტროლს, მასწავლებლებისა და ექსპერტებისათვის შეზღუდული ინფორმაციის გაცემას, რაოდენობრივ შედეგებზე ფოკუსირებას და არა ყოვლისმომცველი განვითარების პრიორიტეტიზებას.

ცხადია, ტოტალიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნებში, როგორიცაა, ჩრდილოეთ კორეა, ირანი, საუდის არაბეთი, რუსეთი, განათლების ეროვნული მიზნების პოლიტიკური ან რელიგიური მიზნებით გამოყენების იდენტიფიცირება მარტივად არის შესაძლებელი. თუმცა, ინდოქტრინაციის ელემენტები განათლების ეროვ-ნული მიზნებში არა მხოლოდ ცალსახად და სისტემატურად შეიძლება ვლინდებოდეს, არამედ პოლიტიკური იდეოლოგიები, კულტურული ღირებულებები და სოციალური ნორმები გარკვეული ხარისხით ახდენდეს ნეგატიურ გავლენას განათლების პოლიტიკის, კურიკულუმის თუ საკლასო პრაქტიკების ხასიათზე, რაც გრძელვადიანი და განსაკუთრებით საშიში ნაღმის როლს იძენს იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რომ ეს მახასიათებლები ახალგაზრდა, განსაკუთრებით ფაქიზ და სენსიტიურ თაობებთან ინტერესში იკვეთება.

შენიშვნა

[1] https://edu.aris.ge/news/istoria-mnishvnelovani-instrumentia-moswavlis-identobis-chamoyalibebis-processhi.html

ბიბლიოგრაფია

1. Asia Society & CCSSO. (2008). Putting the World into World-Class Education: State Innovations and Opportunities.
2. Bray, M., & Steiner-Khamsi, G. (Eds.). (2014). The global politics of educational borrowing and lending. Routledge.
3. Cole, P. (2010), Aligning national curriculum and the national goals of schooling, https://ptrconsulting.com.au/wp-content/uploads/2018/03/National_Curriculum_paper_2010.pdf, (retrieved on 17 april 2024)
4. Council of Chief State School Officers. (2014). Knowledge, Skills, and Dispositions: The Innovation Lab Network State Framework for College, Career, and Citizenship Readiness, and Implications for State Policy.
5. European Commission (2006), Lifelong Learning – Key Competencies, http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:c11090 (accessed on 15 april 2024).
6. Guo, L. (2014). Preparing teachers to educate for 21st century global citizenship: Envisioning and enacting. Journal of Global Citizenship & Equity Education, 4(1), 1-23.
7. Here are some key references that provide information about national goals of general education:
   Kitchen, H., et al. (2019), OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education: Student Assessment in Turkey, OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/5edc0abe-en.
8. Misco, T. (2018). Controversial issues in the curriculum: Transferring democratic education from theory to practice. Journal of Curriculum Studies, 50(6), 786-803.
   OECD. (2018). The Future of Education and Skills: Education 2030.
9. Ontario Public Service (2016), Towards Defining 21st Century Competencies for Ontario, http://www.edugains.ca/resources21CL/About21stCentury/21CL_21stCenturyCompetencies.pdf.
10. Ornstein, A. C., & Hunkins, F. P. (2017). Curriculum: Foundations, Principles, and Issues (7th ed.). Pearson.
11. Parliament of Australia, National Goal of Australi, The Adelaide Declaration on National Goals for Schooling in the Twenty-first Century
12. Rychen, D. and L. Salganik (2000), Definition and Selection of Key Competencies, OECD, http://deseco.ch/bfs/deseco/en/index/02.parsys.69356.downloadList.26477.DownloadFile.tmp/2000.desecocontrib.inesg.a.pdf.
13. Sadovnik, A. R., Cookson, P. W., & Semel, S. F. (Eds.). (2018). Exploring Education: An Introduction to the Foundations of Education (5th ed.). Routledge.
14. Schleicher, A. (2015), Schools for 21st-Century Learners: Strong Leaders, Confident Teachers, Innovative Approaches, International Summit on the Teaching Profession, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/9789264231191-en.
15. Sinnema, C., & Aitken, G. (2013). Emerging international trends in curriculum. In Trends in International Mathematics and Science Study (TIMSS) (pp. 141-164). Springer.
16. UNESCO International Bureau of Education (1980), Studies and surveys in comparative education, https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000046829 (retrieved on 19 april 2024)
17. UNESCO. (2016). Education 2030: Incheon Declaration and Framework for Action for the implementation of Sustainable Development Goal 4.
18. Westheimer, J. (2015). What kind of citizen? Addressing the student citizenship question. PS: Political Science & Politics, 48(1), 156-159.
19. Wikieducator.org, Relationship between National Goals of Education and Educational Objectives, (accessed on 17 april 2024)
20. World Bank. (2018). World Development Report 2018: Learning to Realize Education's Promise.

მაია ბლიაძე
გეოგრაფიის დოქტორი, მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

რომის შეუძლებელთ კლიმატის ცვლილება?

რატომ აღარაა საჭირო ბლიცფიული ეკონომიკა და რა შეიცვალა იმი?

კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის უდიდესი გამოწვევაა. ექსპერტთა აზრით, მოსალოდნელია, რომ პროცესი კვლავაც გაგრძელდება, რაც პირდაპირ გავლენას მოახდენს მომავალ თაობებზე. სწორედ ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნები და საზოგადოება უკეთ მოემზადოს მოსალოდნელი ცვლილებებისათვის.

კლიმატის ცვლილების დაძლევა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანი და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მდგრადი განვითარების მე-13 მიზანი მრავალწახნაგოვან საკითხს წარმოადგენს, რომელიც ზემოქმედებს ყველა დანარჩენ მიზანზე და, შესაბამისად, მისი შესრულება მდგრადი განვითარების სხვა მიზნების შესრულების წინაპირობას წარმოადგენს. მიზნის მე-3 ამოცანა გულისხმობს კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის, მისი ზემოქმედების შემცირებისა და ადრეული გაფრთხილების შესახებ განათლების, ცნობადობისა და მასთან დაკავშირებული ადამიანისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

როგორი საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობენ კლიმატის ცვლილების შერბილებაზე?

კლიმატის კრიზისის შერბილებისთვის საჭირო პოლიტიკური ინსტიტუტები და ინსტრუმენტები უკვე არსებობს. მათი ძირითადი მიზანია გააერთიანონ და

გააძლიერონ ძალისხმევა სათბურის აირების ემისიების შემცირებისა და კლიმატის კრიზისის მოსალოდნელ შედეგებთან შეგუებისთვის.

კლიმატის ცვლილების შეჩერების ძირითადი ორგანიზაციები და ინსტრუმენტები



მეჩარჩო კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენცია (UNFCCC)

1992 წლის ნოემბერში, ორწლიანი მოლაპარაკებების შედეგად, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ შექმნილმა მთავრობათაშორისმა მომლაპარაკებელმა კომიტეტმა გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენცია (UNFCCC) მიიღო. კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 1992 წლის 4 ივნისს, რიო დე ჟანეიროში, გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე, რომელიც ცნობილია როგორც „დედამიწის სამიტი“, („The Earth Summit“). კონვენცია ძალაში 1994 წლის 21 მარტიდან შევიდა. ამჟამად, კონვენციას 197 მონაწილე მხარე ჰყავს.

UNFCCC საერთაშორისო კლიმატის ცვლილების რეჟიმის პირველი საერთაშორისო (სამართლებრივი) ხელშეკრულებაა. კონვენციის უმაღლესი ორგანო „მხარეთა კონფერენციაა“ (COP), რომელიც რეგულარულად განიხილავს კონვენციის განხორციელების საკითხებს და კონვენციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სამართლებრივ დოკუმენტს.

მხარეთა კონფერენციის სტრუქტურა

UNFCCC საერთაშორისო კლიმატის ცვლილების ჩარჩოს პირველი საერთაშორისო (სამართლებრივი) ხელშეკრულებაა.

კონვენციის მიზანია, მხარეებმა მიაღწიონ ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის სტაბილიზაციას იმ დონეზე, რაც კლიმატის სისტემაზე საშიშ ანთროპოგენურ ზემოქმედებას შეაჩერებს. ასეთი დონე, მიღწეული უნდა იქნეს ეკოსისტემების კლიმატის ცვლილებასთან ბუნებრივი ადაპტაციისათვის საკმარის ვადებში, რაც, ასევე, იძლევა იმის საშუალებას, რომ საფრთხის ქვეშ არ დადგეს სურსათის წარმოება და მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) საერთაშორისო რეჟიმი მოლაპარაკებების გზით ვითარდება და გადაწყვეტილებას კონსენსუსით იღებს. რეჟიმის ხერხემალს სამართლებრივი ძალის მქონე კლიმატის ცვლილების სამი საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს. ესენია: გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, კიოტოს პროტოკოლი (ან ოქმი) და პარიზის შეთანხმება.

1994 წელს, საქართველო შეუერთდა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას, როგორც დანართ I-ში არ შესული ქვეყანა.

United Nations
Framework Convention on
Climate Change

ᲛᲔᲢᲘᲠᲘᲡ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲐᲠᲩᲝ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲝᲢᲝᲡ ᲝᲥᲛᲘ (ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲝᲚᲘ)

1997 წლის 11 ნოემბერს, UNFCCC-ის მხარეთა მესამე კონფერენციამ (COP) კლიმატის ცვლილების საერთაშორისო რეჟიმის მეორე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი – კიოტოს ოქმი (პროტოკოლი) მიიღო. თუმცა, ძალაში შესვლის კომპლექსური პროცედურის გამო, ოქმი მხოლოდ 2005 წლის 16 თებერვლიდან ამოქმედდა. ამჟამად, ოქმს 192 მონაწილე მხარე ჰყავს.

1999 ᲬᲚᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲙᲘᲝᲢᲝᲡ ᲝᲥᲛᲘᲡ.

UNFCCC-ის მხარეთა კონფერენცია უმაღლესი ორგანოს, კიოტოს ოქმის მხარეთა სხდომის ფუნქციას ასრულებს. ოქმის მიზანია, სათბურის აირების შემცირება და UNFCCC-ის მხოლოდ დანართ I-ში შესული სახელმწიფოებისათვის სათბურის აირების შემცირების ვალდებულების განსაზღვრა ოქმის დანართ „ბ“-თი დადგენილი ლიმიტების შესაბამისად. ოქმი ადგენს ლიმიტებს „საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობის“ პრინციპზე დაყრდნობით.

ᲙᲘᲝᲢᲝᲡ ᲝᲥᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ



- დანართი B მხარეები სავალდებულო მიზნებით მეორე პერიოდში
- დანართი B მხარეები სავალდებულო მიზნებით პირველ პერიოდში, მაგრამ არა მეორეში
- არა დანართი B მხარეები სავალდებულო მიზნების გარეშე
- დანართი B მხარეები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო მიზნები პირველ პერიოდში, მაგრამ გამოვიდნენ პროტოკოლიდან
- ოქმის ხელმომწერები, მაგრამ რომლებსაც არ აქვთ იგი რატიფიცირებული
- გაეროს სხვა წევრი ქვეყნები და დამკვირვებლები, რომლებიც არ არიან პროტოკოლის მხარეები

თავდაპირველად, ოქმის მიზანი სათბურის აირების 2008-2012 წლებისათვის 1990 წლის დონის სრული ემისიების არანაკლებ 5%-ით შემცირება იყო. მეორე პერიოდი 2012 წელს, მხარეთა მე-18 კონფერენციაზე დოჰაში (კატარი) განისაზღვრა. ოქმის მხარეებმა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმში შეიტანეს ცვლილება. მეორე პერიოდისათვის, ოქმის მიზანი, 2013-2020 წლებში, 1990 წლის დონის სრული ემისიების არანაკლებ 18%-ით შემცირება წარმოადგენდა.

(ოჰკ შესწორება)



სახელმწიფოები, რომლებმაც მოახდინეს რატიფიცირება

კიოტოს პროტოკოლის მხარეები, რომლებმაც არ მოახდინეს რატიფიცირება

კიოტოს პროტოკოლის არამონაწილე მხარეები

1999 წელს, საქართველო შეუერთდა კიოტოს ოქმს, როგორც დანართ I-ში არშესული ქვეყანა, ხოლო 2020 წელს, „გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმის დოჰას ცვლილებას“.

ქოპენჰაგენის შეთანხმება

საერთაშორისო საზოგადოების მაღალი მოლოდინის მიუხედავად, 2009 წლის მხარეთა მე-15 კონფერენციაზე ვერ მოხდა კლიმატის ცვლილებს საერთაშორისო რეჟიმის მესამე საერთაშორისო (სამართლებრივი) ხელშეკრულების მიღება, თუმცა რიგმა განვითარებულმა ქვეყნებმა მოახერხეს პოლიტიკური შეთანხმების, ე.წ. „კოპენჰაგენის შეთანხმების“ გაფორმება. შეთანხმების მიზანი, სამართლიანობის საფუძველზე და გლობალური ტემპერატურის 2°C დონემდე ზრდის შეზღუდვის მიზნით, გლობალური ემისიების მკვეთრი შემცირება იყო.

2010 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ „ᲙᲝ�პᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ“ ᲛᲘᲔᲠᲗᲓᲐ.

კოპენჰაგენის შეთანხმების მთავარი ელემენტები შემდეგი წლის მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილებაში აისახა, რომელიც ცნობილია როგორც „კანკუნის შეთანხმებები“. ამ ელემენტებიდან გამორჩეულია, „ქვემოდან-ზემოთ“ მიდგომა და 2° C ტემპერატურის მიზანი. თუმცა, მსგავსად მხარეთა კონფერენციის ძირითადი გადაწყვეტილებებისა, ეს გადაწყვეტილებაც არ არის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის.

2010 წელს საქართველო „კოპენჰაგენის შეთანხმებას“ შეუერთდა, როგორც განვითარებადი ქვეყანა და ეროვნულად მისაღები სათბურის აირების შემცირების ღონისძიებები (NAMA) წარადგინა.

პარიზის შეთანხმება

2015 წლის 12 დეკემბერს, UNFCCC-ის მხარეთა 21-ე კონფერენციამ პარიზის შეთანხმება – კლიმატის ცვლილების საერთაშორისო რეჟიმის მესამე საერთაშორისო (სამართლებრივ) ხელშეკრულება მიიღო. ხელშეკრულება ძალაში 2016 წლის 4 ნოემბრიდან შევიდა. ამჟამად, ხელშეკრულებას 189 მხარე ჰყავს.

შეთანხმების მიზნებია:

- გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2°C შეზღუდვა, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით და ტემპერატურის ზრდის 1.5°C შეზღუდვის მცდელობა, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით;
- კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის უნარის გაზრდა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის და სათბურის აირების დაბალემისიიანი განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ფინანსური ნაკადების შესაბამისობის უზრუნველყოფა სათბურის აირების დაბალემისიიანი და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი განვითარების გზებთან.

2017 წლის 21 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა პარიზის შეთანხმება, ხოლო საქართველოსთვის შეთანხმება ძალაშია 2017 წლის 7 ივნისიდან. 2015 წელს, პარიზის მხარეთა 21-ე კონფერენციამდე, საქართველომ UNFCCC-ის სამდივნოში წარადგინა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი (INDC), ხოლო 2021 წლის მაისში, საქართველომ წარადგინა განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC)

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციისა (WMO) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის

2007 წელს, IPCC-ს ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში.

მიერ (UNEP) 1988 წელს შეიქმნა. პანელი ამჟამად, 195 წევრ ქვეყანას აერთიანებს. ორგანიზაციის მთავარი მიზანია მთავრობებს მიაწოდოს კლიმატის ცვლილების შესახებ მეცნიერული ინფორმაცია, რაც მათ კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ფორმულირებაში დაეხმარება. IPCC-ის ანგარიშები განსაკუთრებულ როლს თამაშობს კლიმატის ცვლილების საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

ამჟამად, IPCC სამი სამუშაო და ერთი სპეციალური ჯგუფისგან შედგება. სამუშაო ჯგუფებია:

I – კლიმატის ცვლილების საფუძველი – ფიზიკური მეცნიერებები;
II – კლიმატის ცვლილების გავლენა, ადაპტაცია და მოწყვლადობა;
III – კლიმატის ცვლილების შერბილება.

სპეციალური ჯგუფის მთავარი ამოცანა ეროვნული ინვენტარიზაციის, სათბურის აირების დათვლისა და ანგარიშგებისთვის საჭირო მეთოდოლოგიის დადგენა და განახლებაა. IPCC თავად არ ატარებს კვლევებს, არამედ ახდენს კლიმატის ცვლილების შესახებ სხვადასხვა ავტორიტეტული ექსპერტების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების, კვლევებისა და ცოდნის შეგროვებას, შეფასებას და დამუშავებას. იგი აქვეყნებს ინვენტარიზაციისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიას, შეფასების, სინთეზურ და სპეციალურ ანგარიშებს.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC) რეგულარულად აფასებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ცოდნასა და პროცესებს, ასევე კლიმატის ცვლილების ამჟამინდელ შედეგებსა და პროგნოზებს. მისი კვლევის შედეგები დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კლიმატის ცვლილების გლობალურ საპასუხო მოქმედებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას.

2007 წელს, IPCC-ს ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში, ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებებისათვის საჭირო საფუძვლების დადგენაში შეტანილი წვლილისთვის.

საქართველო კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის წევრი ქვეყანაა.

ipcc
INTERGOVERNMENTAL PANEL ON climate change

WMO UNEP

რა შეიძლება მაკეთოდეს?

ითვლებოდა, რომ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული და შესაბამისად ძვირი ჯდებოდა, რითაც შეიძლება აიხსნას მოსახლეობის უმოქმედობა. თუმცა, ეს დანახარჯები არაფერია გლობალური დათბობით გამოწვეულ ეკონომიკურ შედეგებთან შედარებით. კლიმატის ცვლილება ყველასთვის წამგებიანი მდგომარეობაა და ამიტომ ჩვენს ინტერესებშია მისი პრევენცია, მის შესარბილებლად ბრძოლა.

კაცობრიობას ჯერ კიდევ გვაქვს შანსი შეცვალოს არსებული მდგომარეობა და თავიდან აიცილოს კლიმატის ცვლილების დამანგრეველი შედეგები. თუ ჩვენ ვგეგმავთ ტემპერატურის მატების შემცირებას 1,5°C-მდე პრეინდუსტრიულ დონემდე, ადამიანის მიერ წარმოებული სათბურის აირების ემისიები, IPCC-ის (კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი) მიხედვით 2030 წლისთვის, 50%-ით უნდა შემცირდეს. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს კლიმატის კრიზისის შედეგების შესაძლო პრევენციის ზომების გატარება.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) სპეციალური ანგარიში გლობალური დათბობის შესახებ 10 წელზე ნაკლებ დროს გვიტოვებს, რათა შევზღუდოთ საშუალო ტემპერატურის ზრდა 1.5°C-მდე. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ დღეიდან სათბურის გაზების გამონაბოლქვი მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს!

საბედნიეროდ, ამის გაკეთების მრავალი გზა არსებობს. მთავარი პრობლემა ჩვენი არამდგრადი ცხოვრებაა. ჩვენ ძალიან მაღალი ნახშირბადის ნაკვალევი გვაქვს, ამიტომ, სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ადამიანებმა უნდა შეცვალონ თავიანთი ჩვევები და ცხოვრების უფრო მდგრად და მწვანე წესზე გადავიდნენ.

პირველი მარტივი ნაბიჯი მწვანე ენერგიაზე გადასვლაა. დღეისათვის სათბურის აირების 31% სითბოსა და ელექტროენერგიის წარმოებისა და ენერგიის წარმოებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა სექტორების საქმიანობის შედეგია. სუფთა ენერგიის გამოყენება ჩვენს სახლსა და ბიზნესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქაღალდის გზა მდგრადი ეკოსისტემისკენ ძნელია ულესპეციალისტზე მაღლის

ასევე აუცილებელია ადამიანის ნახშირბადის ნაკვალევის მნიშვნელოვნად შემცირება. ნახშირბადის ნაკვალევი სათბურის აირების ის საერთო რაოდენობაა, რომელიც ატმოსფეროში ადამიანის ზემოქმედების, კომპანიების საქმიანობის, ღონისძიებების ან ნებისმიერი პირის შესაბამისი მოქმედების გამო გაიფრქვევა.

> ეკოლოგიის ცვლილება ყველასთვის ნამგებიანი მდგომარეობაა და ამიტომ ჩვენს ინტერესებშია მისი ჩაკეტვა, მის შესაჩერებლად ბრძოლა.

ნახშირბადის ნაკვალევი თითოეული ინდივიდის მიერ წარმოებული ნახშირბადის ემისიის ეკვივალენტია. ჩვენ ირგვლივ ყველაფერს, დაწყებული მობილური ტელეფონიდან და კომპიუტერიდან, რომელსაც ვიყენებთ დამთავრებული მაისურამდე, რომელსაც ჩვენ ვიცვამთ, ნახშირბადის ნაკვალევი გააჩნია. ჩვენი ყოველწლიური გადაფრენებისა და მანქანით მგზავრობის რაოდენობა, ჩვენ მიერ გამოყენებული ხორცი და რძის პროდუქტები, ასევე ტოვებს ნახშირბადის ნაკვალევს გარემოზე.

ნახშირბადის ნაკვალევი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. განვითარებული წარმოებისა და მრეწველობის მქონე ქვეყნებში საკმაოდ მაღალია ნახშირბადისა და სათბურის აირების ემისიები. ნახშირბადის ემისიების ყველაზე დიდი წყაროა ენერგიის წარმოება, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა.

ნახშირბადის ნაკვალევის ამოსავალი წერტილები

თითოეულ თქვენგანს შეუძლია საკუთარი ნახშირბადის ნაკვალევის შემცირება. ამისთვის საჭიროა:

- მხარი დაუჭიროთ თქვენს ადგილობრივ გარემოსდაცვით ორგანიზაციებსა და მწვანე აქტივისტებს.
- მაქსიმალურად გაზარდოთ ენერგოეფექტურობა.
- იფიქროთ იმაზე, თუ როგორ მზადდებოდა ის საკვები, რომელსაც ყოველდღიურად მიირთმევთ. სცადეთ გამოიყენოთ ვეგანური და ვეგეტარიანული საკვების ვარიანტები და ეკო-ეტიკეტირებული პროდუქტები.
- თვითმფრინავით მგზავრობის თავიდან ასაცილებლად, შვებულება და არდადეგები საცხოვრებელ ადგილთან ახლოს გაატაროთ.
- მოერიდოთ ერთჯერად საგნებს და ისეთი მასალები შეარჩიოთ, რომელთა ხელახლა გამოყენება შესაძლებელია. იმ შემთხვევაში თუ მათი ხელახალი გამოყენება შეუძლებელია, გადაამუშაოთ თქვენი ნარჩენები.
- მაქსიმალურად ისარგებლოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, დაქირავებული ავტომობილით (carsharing) ან ველოსიპედით.
- იფიქროთ იმაზე, თუ როგორ დამზადდა თქვენი ტანსაცმელი, უარი თქვათ სწრაფ მოდაზე და უპირატესობა მიანიჭოთ მდგრადობაზე ფოკუსირებულ ბრენდებს.

- შეუერთდით ადგილობრივ გარემოსდამცველ აქტივისტთა საზოგადოებებს, თუ არ არსებობს ასეთი ჯგუფები, თავად შექმენით და თანამოაზრეებთან ერთად დაიწყეთ მოქმედება,

და რაც მთავარია, იყავით აქტიური ყველგან, სადაც შესაძლებელია ბევრი ისაუბრეთ კლიმატის ცვლილებაზე და გააზიარეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეგიძლიათ იცხოვროთ მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

1. მაია ბლიაძე, მდგრადი განვითარების მიზნები, https://shorturl.at/r3m1n
2. მაია ბლიაძე, თეონა შუბლაძე და სხვები, „მდგრადი განვითარების კონცეფცია“, https://elibrary.mepa.gov.ge/Ge/Library/Details/6010
3. მაია ბლიაძე, თეონა შუბლაძე და სხვ. „კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების შემცირება“, https://elibrary.mepa.gov.ge/Ge/Library/Details/6009
4. მაია ბლიაძე, მაია ზიბზიბაძე, „კლიმატის ცვლილება“, https://shorturl.at/TaxwK
5. მაია ბლიაძე, შორენა ტყემალაძე, „კლიმატის ცვლილების მიზეზები და ძირითადი გეოგრაფიული შედეგები საქართველოში“, https://ojs.publisher.agency/index.php/WSR/article/view/1830
6. მაია ბლიაძე, „კიოტოს ოქმი – ვინ გადაიხდის ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაბინძურებისთვის?“ https://mastsavlebeli.ge/?p=1254
7. https://www.un.org/sustainabledevelopment/climate-action/
8. https://www.un.org/sustainabledevelopment/takeaction/
9. https://shorturl.at/FyBrq
10. https://shorturl.at/Mytda
11. https://www.ourplanet.com/en/
12. https://www.universityofcalifornia.edu/for-california/climate-leadership
13. https://cnidashboard.ucop.edu/
14. https://www.overshootday.org/
15. https://sdgs.un.org/

ᲕᲔᲯᲔᲜᲘᲐᲜ ᲡᲕᲐᲜᲐᲫᲔ
საჯარო მმართველობის დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲤᲠᲐᲜᲩᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ, ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐᲖᲔ

ᲙᲘᲑᲔᲠᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲖᲔ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲐᲡ, ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲖᲠᲗᲐ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ, ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠ, ᲘᲡᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲡ წინ უსწრებდა 2005 წელს საინფორმაციო საზოგადოებისთვის[2] ტუნისის დღის წესრიგის მიღება[3]. ეს მოიცავდა ტერმინის ინტერნეტის მმართველობის განმარტებასა და იმის აღიარებას, რომ ინტერნეტის მართვის პროცესი მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას სხვადასხვა როლში. კერძოდ, საინფორმაციო საზოგადოებისთვის ტუნისის დღის წესრიგში ვკითხულობთ, რომ „ინტერნეტის მმართველობა არის მთავრობების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ თავიანთი როლების შემუშავება

ᲙᲘᲑᲔᲠᲣᲠᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲨᲘᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲩᲐᲚ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲩᲐᲢᲣᲚᲘ ᲜᲔᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲗᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲐᲡ, ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲩᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

როცა ვსაუბრობთ გლობალური ინტერნეტ ქსელის ერთიანობაზე, უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ მოწვეული ინტერნეტ მმართველობის ყოველწლიური ფორუმი[1], რომლის მუშაობაში ჩართული არის ყველა დაინტერესებული მხარე – საჯარო და კერძო სექტორები, სამოქალაქო საზოგადოება და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. ეს არის საუკეთესო პლატფორმა, სადაც ხდება ინტერნეტ სივრცეში მიმდინარე პროცესების შესახებ აზრთა გაცვლა, დისკუსია და გამოცდილებების გაზიარება დაინტერესებულ მხარეთა შორის, როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.

და გამოყენება საერთო პრინციპების, ნორმების, წესების, გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა და პროგრამების, რომლებიც აყალიბებენ ინტერნეტის ევოლუციას და გამოყენებას“ (Tunis Agenda for the Information Society).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტუნისის დღის წესრიგის 72-ე პარაგრაფი ადგენს ინტერნეტ მმართველობის ფორუმის მანდატს[4], სადაც ვკითხულობთ, რომ ფორუმზე უნდა ხდებოდეს:

1. „ინტერნეტის მართვის ძირითად ელემენტებთან დაკავშირებული საჯარო პოლიტიკის საკითხების განხილვა, რათა ხელი შეუწყოს **ინტერნეტის მდგრადობას, გამძლეობას, უსაფრთხოებას, სტაბილურობას და განვითარებას;**“

ფაქტობრივად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეა აღიარებს ფორუმის მნიშვნელობას ინტერნეტის მდგრადობის, გამძლეობის, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობაში.

სწორედ ინტერნეტ და ინტერნეტ ტექნოლოგიების სულ უფრო აქტიურმა გამოყენებამ კიდევ უფრო გაზარდა მისი მნიშვნელობა და მასზე დამოკიდებულება. გარდა ამისა, ინტერნეტი და ზოგადად, კიბერსივრცე დადგა ახალი საფრთხის წინაშე, რაც უკავშირდება ცალკეული ავტოკრატული ხელისუფლებების მხრიდან მასზე ტოტალური კონტროლის დაწესებას, გლობალურად არსებულ ეთნოკონფლიქტებსა და საომარ მოქმედებებს, გაზრდილ კიბერდანაშაულებს. ყოველივე ეს კი არღვევს ინტერნეტის ერთიანობასა და მდგრადობას, საფრთხეს უქმნის მის სტაბილურ და უსაფრთხო განვითარების პროცესს. მოცემული პროცესი ასევე ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მიერ თავის დროზე მიღებულ ტუნისის დღის წესრიგს.

ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად გამოითქმის შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ინტერნეტს ემუქრება დაშლის საფრთხე ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებულ ცალკეულ ფრაგმენტებად. მთელი რიგი შემაშფოთებელი ტენდენციები, რაც უკავშირდება ტექნოლოგიურ განვითარებას, სახელმწიფოების ინტერნეტ პოლიტიკასა და კომერციულ საქმიანობას, ასევე არსებულ საერთაშორისო ვითარებას, ვრცელდება ინტერნეტ ქსელში, მის ცალკეულ ფენებში, რაც გავლენას ახდენს პროცესზე, რასაც უწოდეს ინტერნეტ ფრაგმენტაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ფართო გაგება იმისა თუ რა არის და რა არ არის „ფრაგმენტაცია“, ან რა რისკებს უქმნის ის ინტერნეტის, იგივე კიბერსივრცის ერთიანობას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

აქ ჩნდება კითხვა რა არის „ინტერნეტ ფრაგმენტაცია“ და როგორ შეიძლება ეს ტერმინი თუ ქმედება განისაზღვროს?

ინტერნეტ ფრაგმენტაცია, იგივე Splinternet, ეს არის ინტერნეტის საწინააღმდეგო მოვლენა, მისი საპირისპირო, რომლის მიხედვით ღია, უსაფრთხო და სტაბილური გლობალურად ერთიანი ინტერნეტი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, იყოფა ცალკეულ ერთმანეთისგან იზოლირებულ ქსელებად, რომლებიც კონტროლდება სახელმწიფოებისა და კორპორაციების მიერ. გარდა ამისა, „ინტერნეტ ფრაგმენტაციის“ მსგავს განსაზღვრებას, ბოლო დროს განვითარებული გლობალური მოვლენების გათვალისწინებით, შეიძლება დავუმატოთ ასევე საომარი მოქმედებები და ეთნოკონფლიქტები, რომლებიც უკვე ფიზიკურად აზიანებს კიბერსივრცის ერთიანობას.

არსებობს ინტერნეტ ფრაგმენტაციის ყველასთვის ნაცნობი სამი ფორმა:

1. ტექნიკური ფრაგმენტაცია – ეს არის საბაზისო ინფრასტრუქტურის პირობები, რომლებიც აფერხებენ სისტემების სრულყოფილ და თანხვედრილ ურთიერთობას, მონაცემთა პაკეტების გაცვლასა და ინტერნეტის ნორმალურ ფუნქციონირებას;
2. სახელმწიფო ფრაგმენტაცია – ცალკეული ქვეყნების მთავრობების ინტერნეტ პოლიტიკა და ქმედებები, რომლებიც ზღუდავს ან ხელს უშლის ინტერნეტის გარკვეულ გამოყენებას საინფორმაციო რესურსების შესაქმნელად, მათი გავრცელების ან წვდომისათვის;
3. კომერციული ფრაგმენტაცია – ბიზნეს პრაქტიკა, რომელიც ზღუდავს ან ხელს უშლის ინტერნეტის გარკვეულ გამოყენებას საინფორმაციო რესურსების შესაქმნელად, მათი გავრცელების ან წვდომისათვის.

აქვე, ინტერნეტ ფრაგმენტაციის მეოთხე ტიპად შეიძლება დავამატოთ – **ინტერნეტ ფრაგმენტაცია**, რომელიც მივიღეთ ამა თუ იმ მთავრობების როგორც შიდა, ისე საგარეო ინტერნეტ პოლიტიკის, საომარი მოქმედებებისა და ზოგადად, გლობალურად თუ რეგიონულად არსებული არამდგრადი ვითარების შედეგად, რაც ზიანს აყენებს ინტერნეტის ერთიანობას, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

ამ მეოთხე ტიპს უწოდებენ **პოლიტიკურ ფრაგმენტაციას**, რომელსაც ზოგი მოიხსენიებს სახელმწიფო ფრაგმენტაციასთან ერთად.

აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომ ინტერნეტ ფრაგმენტაციის თითოეული ტიპი შეიძლება ძალზედ განსხვავდებოდეს მთელი რიგი განზომილებების მიხედვით. ამ შემთხვევაში გამოვყოთ ოთხი ძირითადი მახასიათებელი, კერძოდ:

1. ნებაყოფლობა – ანუ არსებობს თუ არა ფრაგმენტაციის ესა თუ ის ფორმა და რა პოტენციური საფრთხის შემცველია ფრაგმენტაციის კონკრეტული ფორმა;
2. მიზანმიმართულობა – ფრაგმენტაცია ეს არის მიზანმიმართული მოქმედების შედეგი თუ გაუთვალისწინებელი, სპონტანური შედეგი;
3. მკაცრება – არის ფრაგმენტაცია ღრმა, სტრუქტურული და კონფიგურაციული, თუ უფრო ზედაპირული, ვიწრო და შეზღუდული პროცესების ერთობლიობა;
4. ნასიამოვნი – ზოგადად, არის თუ არა ფრაგმენტაცია დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური.

როცა პოლიტიკური ფორმის ფრაგმენტაციაზე ვსაუბრობთ, მსჯელობა იწყება უკრაინა-რუსეთის ომით, რაც დიდ გავლენას ახდენს სწორედ კიბერსივრცეზე. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ გაჩნდა საფრთხე, რომ რუსეთი გამოეყოფოდა გლობალურ ინტერნეტს, რაც მართალია არ მოხდა, მაგრამ ჩვენ შეიძლება გავხდეთ გლობალური ინტერნეტის უფრო ფუნდამენტური ფრაგმენტაციის დაწყების პროცესის მოწმენი.

რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაავალა რუსეთის ვებგვერდის ოპერატორებს, რომ 2022 წლის 11 მარტისთვის გამხდარიყვნენ დამოუკიდებელნი გლობალური ქსელისგან. თუმცა, მართალია, რომ გლობალური ქსელისგან გამოიყოფა მხოლოდ სახელმწიფო ვებგვერდი და სერვერები, მაგრამ რუსეთის გამოყოფა გლობალური ინტერნეტ ქსელისგან ისევ განიხილება და წარმოადგენს მსჯელობის საგანს. უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსეთმა მართლაც გადადგა ქმედითი ნაბიჯები, კერძოდ, რუსეთის ხელისუფლებამ დაბლოკა მრავალი საინფორმაციო საიტი, აკრძალა მრავალი პოპულარული დასავლური ინტერნეტ სერ-

ვისი და სოციალური პლატფორმა, მათ შორის Facebook, Instagram და Twitter, შემოიღო ახალი კანონი ე. წ. „fake news“ და დეზინფორმაცია – პროპაგანდის გავრცელების შესახებ. მიუხედავად მსგავსი რეპრესიული ქმედებებისა, რუსეთმა არ გაწყვიტა კავშირი გლობალურ ინტერნეტთან. 2019 წელს მიღებული რუსეთის კანონი „ინტერნეტის სუვერენიტეტის“ შესახებ ინტერნეტის მიმწოდებელი ოპერატორებისგან[5] ითხოვს ტრაფიკის მარშრუტიზაცია განახორციელონ იმ გაცვლითი წერტილების საშუალებით, რომლებიც დამტკიცებულია Роскомнадзор -ის ფედერალური სააგენტოს მიერ. გარდა ამისა, კანონი Роскомнадзор-ს უფლებას აძლევს აიძულოს ინტერნეტის მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები განახორციელონ ტრაფიკის მარშრუტიზაცია ბლოკირების სპეციალური სისტემებით, რომელთა გამოყენება ხელისუფლებას შეუძლია ტრაფიკის ფილტრაციისა და მათთვის სასურველი მარშრუტიზაციისთვის. უფრო მეტიც, 2021 წლიდან რუსეთის ინტერნეტ მიმწოდებელ კომპანიებს უნდა შეეძლოთ დაამუშაონ მოთხოვნები დომენური სახელების სისტემებზე[6], სერვერებზე, რომლებიც განლაგებულია ქვეყნის შიგნით და გლობალური ინტერნეტ ქსელიდან გათიშვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ინტერნეტ რესურსების მოძებნა. ძნელი სათქმელია თუ როგორ იმუშავებს ეს სისტემები რეალურ სიტუაციაში, თუმცა ფაქტია, რომ ავტონომიური სეგმენტი, რომელიც იმეორებს გლობალური ინტერნეტის ფუნქციების დიდ ნაწილს, უფრო რთულად რეალიზდება ტექნიკური კუთხით, ვიდრე პოლიტიკურად. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის შესაძლებლობა შეწყვიტოს მონაცემთა გადაცემა არ წარმოადგენს რაღაც შეუძლებელს და ეს არ გამოიწვევს მომსახურების ხარისხის გაუარესებას.

> როდა პოლიტიკური ფორმის ფრაგმენტაციაზე ვსაუბრობთ, მსჯელობა იწყება უკრაინა-რუსეთის ომით, რაც დიდ გავლენას ახდენს სწორედ ციბერსივრცეზე.

და მაინც, ომმა უკრაინაში შესაძლოა მისცეს უფრო დიდი ბიძგი გლობალური ციფრული კავშირის ფუნდამენტურ ფრაგმენტაციას. ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს ინტერნეტის ტექნიკური მართვის პოლიტიზება, და ამასთან ერთად, ინტერნეტის ფრაგმენტაციის გრძელვადიანი რისკი, რაც იძლევა გარანტიას, რომ მონაცემები შეიძლება გადაეცეს მრავალი ქსელის საშუალებით, რომლებიც ერთად შეადგენს ინტერნეტს, როგორც ერთიან მთლიანობას.

რუსეთის აგრესიის საპასუხოდ, უკრაინა შეეცადა გაეწყვიტა რუსეთის კავშირები გლობალურ ინტერნეტთან და ამით შეეზღუდა მისი შესაძლებლობები გადაეჭრა მოთხოვნები ქვეყნის შიგნით. ამ მიზნით, უკრაინამ გააგზავნა წერილი ICANN[7]-თან, რომელიც კოორდინაციას უწევს დომენური სახელების სისტემებს, და მიმართა თხოვნით, გააუქმოს რუსეთის ფედერაციაში გამოშვებული უმაღლესი დონის დომენები (მაგ., „.ru“, „.рф“ და „.su“) და გაეთიშა რუსეთში მდებარე DNS root სერვერები. უკრაინის ხელისუფლებამ ასევე სთხოვა RIPE-ს, რეგიონულ ინტერნეტ რეესტრს ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ნაწილისთვის, გაეუქმებინა რუსული IP მისამართები. თუმცა, ორივე ორგანიზაციამ, ICANN-მა და RIPE-მა უარყვეს უკრაინის მოთხოვნა და ხაზი გაუსვეს მათი

ნეიტრალიტეტის მნიშვნელობას ტექნიკური ინტერნეტის მართვაში, გლობალური და თავსებადი ინტერნეტის შენარჩუნების მიზნით. ფაქტობრივად, უკრაინის მოთხოვნა იქნებოდა საგარეო პოლიტიკისა და ტექნიკური ადმინისტრაციის შერწყმის პრეცედენტი, რაც, თავის მხრივ, ძირს უთხრის ამ ინსტიტუტების, როგორც საყოველთაოდ ლეგიტიმური მმართველობის ორგანოების როლს. თუ ინტერნეტის ტექნიკური მართვის შესახებ გლობალური კონსენსუსი გაქრება, კონკურენტი ინსტიტუტების გაჩენა იქნება ახალი გამოწვევა და მწვავე რისკი ინტერნეტის ერთიანობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველობითი ინსტიტუტები ეწინააღმდეგებოდნენ პოლიტიკურ დაკვეთებს, ციფრულ ინფრასტრუქტურაზე კონტროლის გაძლიერება, თავის მხრივ, გამოიწვევს ინტერნეტ ფრაგმენტაციის პროცესის კიდევ უფრო მეტ გაძლიერებას.

ფაქტობრივად, რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან ერთი წლის შემდეგ, რუსეთის გლობალური ინტერნეტიდან გათიშვა ჯერ კიდევ არ მომხდარა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ომი ხაზს უსვამს სახელმწიფოების დიდ ცდუნებას, ინტერნეტზე ტექნიკური კონტროლი და ინტერნეტის მთლიანი ინფრასტრუქტურა გამოიყენონ როგორც იარაღი. მიუხედავად იმისა, რომ დროულად აღიკვეთა მცდელობები კიბერსივრცის სრული კონტროლი გამოყენებული ყოფილიყო როგორც იარაღი, ომის გარშემო ფართო გეოპოლიტიკური დაპირისპირება ამძაფრებს გლობალური ციფრული კავშირის ღრმა ფრაგმენტაციას, ხდის მას უფრო ფუნდამენტურს.

როცა ვსაუბრობთ ინტერნეტის ინფრასტრუქტურაზე კონტროლის დაწესებაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ირანისა და ჩინეთის ხელისუფლებების მიდგომები მოცემულ საკითხთან, რაც ძირითადად არის პოლიტიკური გადაწყვეტილებები და, რაც გარკვეულ ზიანს აყენებს გლობალური ინტერნეტის ერთიანობას, მდგრადობას, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და ხელს უწყობს ინტერნეტ ფრაგმენტაციის პროცესს.

2005 წლიდან მოყოლებული დღემდე ბევრად უფრო გამკაცრდა ირანში კიბერსივრცის კონტროლი, როცა საპრეზიდენტო არჩევნების დროს მკვეთრად გაიზარდა ცენზურის წესები, კერძოდ, დაიბლოკა მრავალი ვებგვერდი, ასევე ხელისუფლების მხრიდან დაიწყო ბლოგერების მკაცრი კონტროლი და მათი საქმიანობის მუდმივი შევიწროება. დაახლოებით ამ პერიოდს უკავშირდება ეროვნული ინტერნეტის შექმნის იდეის წარმოშობა, რაც კიდევ უფრო გამყარდა ირანის ენერგოსისტემაზე განხორციელებული კიბერშეტევის შემდეგ[8]. მიყენებულმა ზიანმა ირანის ხელისუფლება კიდევ ერთხელ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ეროვნული ინტერნეტის შექმნა და საკუთარი კიბერსივრცის გაძლიერება. პროცესი დაიწყო 2013 წელს საბანკო და საფინანსო ტრანზაქციების შიდა ინფრასტრუქტურის განვითარებითა და გაძლიერებით. გარდა ამისა, ხელისუფლებამ დაიწყო საერთაშორისო სოციალური ქსელების ალტერნატიული შიდა მოხმარების სოციალური ქსელების განვითარების პროცესის დაფინანსება, რაც ხელს უწყობს საკუთარ მოსახლეობაზე ვირტუალურ სივრცეში კონტროლის დაწესებას. შედეგად, ირანში დღეს მივიღეთ სურათი, რომლის მიხედვით ქვეყანაში მაქსიმალურად შეზღუდეს საერთაშორისო სოციალური ქსელები და გზა გაუხსნეს მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლების ხელშეწყობით შექმნილ ეროვნულ ალტერნატიულ ონლაინ პლატფორმების ფუნქციონირებას.

2015 წელს ჩინეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა ახალი გეგმა ინტერნეტ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ზრდას კიბერსივრცის მეშვეობით. ფაქტობრივად, ჩინეთის ხელისუფლების ინტერნეტ პოლიტიკა მიმართულია გლობალური ინტერნეტ სივრციდან ნაწილობრივ გამოყოფაზე და მისი პოლიტიკა ცნობილია, როგორც “Great Firewall“. იმავე წელს



შემოღებულ იქნა ახალი კანონი, რომლის თანახმად, ყველა მომხმარებელი ვალდებული იყო ონლაინ პლატფორმაზე სარეგისტრაციო ფორმაში შეეყვანა თავისი მონაცემები. ამ კანონის თანახმად, კომპანიებს (საუბარია ISP კომპანიებზე), რომელთა გვერდზეც რეგისტრირდებოდნენ მომხმარებლები, ევალებოდათ მყისიერად გადაემოწმებინათ მიწოდებული ინფორმაცია და მხოლოდ ამის შემდეგ დაეშვათ მომხმარებლისთვის ვებგვერდზე წვდომა, მათ უნდა ეკონტროლებინათ ყველა საჯარო ანგარიში და დაეხარისხებინათ ისინი ინფორმაციის მიხედვით. გარდა ამისა, ჩინეთმა დაიწყო კონტროლის განხორციელება არა მარტო საკუთარ მოქალაქეებზე, არამედ მათ შეუზღუდეს ინტერნეტ პლატფორმებზე წვდომა უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც. ამჟამად, მხოლოდ ჩინური ტელეფონის ნომრით არის შესაძლებელი ონლაინ აპლიკაციაზე წვდომა და ვებგვერდები გამოსაყენებლად მიუწვდომელია ჩინეთის ტერიტორიის ფარგლებს გარედან. უცხოელი მოქალაქეებისათვის საგრძნობლად გართულებულია ჩინურ ვებგვერდებზე და აპლიკაციებზე წვდომა. მათ უნდა გაიარონ საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი რეგისტრაციისთვის, რისთვისაც მოეთხოვებათ წარმოადგინონ თავისი პერსონალური ინფორმაცია. ქვეყანას გააჩნია დიდი ამბიციები და თუ გადავხედავთ მის აქტიურობას საერთაშორისო დონეზე, მაშინ ვნახავთ, რომ დღევანდელ მსოფლიოში არსებობს დიდი რაოდენობით ჩინური ინვესტიცია, რომელიც ინტერნეტ სივრცისკენ არის მიმართული. ფაქტია, რომ ჩინეთი აშენებს საკუთარ, ეროვნულ ინტერნეტს, რაც უკვე ნიშნავს ინტერნეტ ფრაგმენტაციას. ჩინეთის იდეოლოგიაში წარმოდგენილი ინტერნეტი სულაც არ არის ღია, თავსებადი და თავისუფალი. შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთს არ აქვს მიზანი მსოფლიო ინტერნეტი კიბერშეტევებისგან გახადოს უფრო უსაფრთხო, არამედ ცდილობს შექმნას კიბერსივრცის სრულიად განსხვავებული არქიტექტურა, რომელიც

მორგებული იქნება არა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე არამედ ჩინეთის ეროვნულ ინტერესებზე. ჩინეთი ქმნის ფრაგმენტულ კიბერლანდშაფტს და მისი მთავარი მიზანი გახლავთ გახდეს დომინანტი მსოფლიო საზოგადოებაზე ინტერნეტის გავლით.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გლობალურ ციფრულ ხელშეკრულებაზე მუშაობის ფარგლებში, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს 2024 წლის სექტემბერში, გრძელდება გლობალური და ინკლუზიური პროცესი ციფრული სივრცის ერთიანი პრინციპების შემუშავების კუთხით. ეს არის შესაძლებლობა, რომლის მიხედვით მოხდება გლობალური ინტერნეტის აღიარება, როგორც საერთო პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტის ფრაგმენტაციის პროცესის შეჩერება რთული ამოცანაა, მაგრამ ეს შესაძლებელია სახელმწიფოთა შორისი მაღალი დონის შეხვედრებით, ფოკუსირებული დიალოგებითა და ძალისხმევით იმ ძირითად ფრაგმენტულ ფაქტორებზე, როგორიცაა კიბერჯაშუშობა, ინტერნეტის ინფრასტრუქტურაზე კონტროლის დაწესების მცდელობა და ინტერნეტისა და ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებაზე, როგორც იარაღის ქვეყნებისა და ადამიანთა წინააღმდეგ.

შენიშვნები

1 https://www.intgovforum.org/en/about#about-us

2 საინფორმაციო საზოგადოება - საზოგადოება, სადაც ინფორმაციის გამოყენება, შექმნა, გავრცელება, მანიპულირება და ინტეგრაცია მნიშვნელოვანი საქმიანობაა. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რამაც გამოიწვია ინფორმაციის სხვადასხვა ფორმის სწრაფი ზრდა

3 https://www.itu.int/net/wsis/docs2/tunis/off/6rev1.html

4 https://www.iisd.org/system/files/publications/igf_mandate_review.pdf

5 Internet Services Provide (ISP)

6 the Domain Name System (DNS)

7 The Internet Corporation for Assigned Names and Numbers https://www.icann.org/

8 საუბარია "StuxNet"-ზე, რაც არის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ერთობლივი კიბეროპერაცია და, რომელიც უკვე აღიარებულია კიბერიარაღად.

ბიბლიოგრაფია

1. Svanadze, Vladimer. 2024. "Cybersecurity Policy, Strategy of Management and Recommendations." ISBN 978-9941-8-4455-3, Business and Technology University;
2. Svanadze, Vladimer; Iavich, Maksim and Gnatyuk, Sergiy. 2024. "Challenges and Solutions for Cybersecurity and Information Security Management in Organizations." Cybersecurity Providing in Information and Telecommunication Systems (CPITS 2024) Vol – 3654, ISNN 1613 – 0073, February 2024;
3. Svanadze, Vladimer and Iavich, Maksim. 2024. " Impact of Internet Fragmentation on the Unity, Security, and Stability of Global Internet." Cybersecurity Providing in Information and Telecommunication Systems (CPITS 2024) Vol – 3654, ISNN 1613 – 0073, February 2024;
4. Svanadze, Vladimer. 2023. "Challenges of Internet Fragmentation and Global Cyberspace." Scientific and practical cyber security journal – SPCSJ № 4 vol. 07, December 2023;
5. Svanadze, Vladimer. 2023. "Cyber Security and the Academic Sector." Scientific and practical cyber security journal – SPCSJ №4 vol. 07, December 2023;
6. Svanadze, Vladimer. 2023. "Cybersecurity Policy and Strategy of Management." PhD diss., Georgian Technical University (GTU), Tbilisi;
7. Svanadze, Vladimer. 2022. "New Challenges of Cyberspace and Georgia." ISBN 978-9941-9708-1-8, University of Georgia Press;
8. Svanadze, Vladimer. 2021. "The importance of education in the development of cyber security." Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 5(2), June 2021;
9. Svanadze, Vladimer. 2021. "International Indexes of Cybersecurity and Georgia." Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 5(3), October 2021;
10. Svanadze, Vladimer and Odishvili, Neli. 2021. "Artificial Intelligence in Cybersecurity." Global Foundation for Cyber Studies and Research, January 2021;
11. Leladze, David and Svanadze, Vladimer. 2021. "Challenges and Solutions for Cyber Security and Information Security Management in Organizations." Authority and Society #2(58), 2021;
12. Svanadze, Vladimer. 2020. "The Impact of COVID-19 on the Future Development of Cybersecurity." Global Foundation for Cyber Studies and Research, July 2020;
13. Svanadze, Vladimer. 2020. "Cybersecurity in the Civil Aviation and Existing Challenges." Юридичний вісник 4 (57), 2020;
14. Svanadze, Vladimer. 2020. "Near Future of Cybersecurity and New Trends in Cyberspace." Global Foundation for Cyber Studies and Research, December 2020;
15. Svanadze, Vladimer and Gotsiridze, Andro. 2015. "Cyber Defence: Main Players of Cyberspace. Police, Strategy and new Challenges of Cybersecurity." The Defence of Ministry, 2015.

CHAT-ᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ (AI) ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲮᲠᲘᲫᲔᲘᲚᲘ
კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტ-კონსულტანტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

თანამედროვე ციფრულ სამყაროში ხელოვნური ინტელექტი დინამიკურად ვითარდება. მუდმივად იქმნება ახალი AI (Artificial Intelligence) პროგრამები და ციფრული ხელსაწყოები, რომლებითაც მომხმარებელი სწრაფად იღებს შედეგებს.

> ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲬᲐᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ.

დღევანდელი მსოფლიო ხელოვნური ინტელექტის გარეშე წარმოუდგენელია. ამ სტატიაში განვიხილავთ Chat -ზე დაფუძნებულ AI ინსტრუმენტებს, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ თქვენთაგანს შეუძლია:

- Google Gemini AI
- ChatGPT
- Microsoft Bing Chat -Copilot

GEMINI — CHAT-ᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ AI ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲘ GOOGLE-ᲘᲡᲒᲐᲜ

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ GEMINI ᲓᲐ ᲠᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡ?

Gemini

Gemini არის Chat -ზე დაფუძნებული AI ინსტრუმენტი Google-ისგან. ეს არის სასაუბრო ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტი, რომელიც იყენებს PaLM 2-ს, დიდ ენობრივ მოდელს, რომელიც Google-მა გამოაქვეყნა 2023 წელს (განახლება მისი წინა ვერსიების, რომლებიც უფრო დიდი ხანია არსებობს). ის ძირითადად აგენერირებს პასუხებს თქვენს შეკითხვებზე და მოთხოვნებზე. ფაქტობრივად, მას შეუძლია მოგაწოდოთ რამდენიმე განსხვავებული პასუხი, რომლებიც ნაჩვენებია როგორც მონახაზები, რომლებიც შეგიძლიათ თავად თქვენ დახვეწოთ ან გამოიყენოთ. ეს არ არის საძიებო სისტემა, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია ზოგადი კითხვების დასმისთვის და იდეების გენერირებისთვის.

ფაქტობრივად, Gemini შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთელი რიგი მიზნებისთვის, მათ შორის გარკვეული მონახაზების შექმნისთვის, იდეების გენერირებისთვის, ზოგადი თემების შესახებ საუბრისთვის და სხვა. საჭიროების შემთხვევაში, Gemini უზრუნველყოფს რესურსების ბმულებს თემის შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაწოდებლად. თქვენ ასევე შეგიძლიათ ნახოთ Google-ის შემოთავაზებული ძიება, რომელსაც გამოიყენებთ პასუხის შესამოწმებლად.

Gemini-ს, ასევე შეუძლია, უპასუხოს კოდირების შეკითხვებს სხვადასხვა ენაზე, რაც ხსნის ახალ შესაძლებლობებს. Google-მა ასევე, გამოაცხადა, რომ მალე შეძლებს სურათების გენერირებას Adobe's Firefly პროგრამული უზრუნველყოფის დანამატის გამოყენებით.

სოფოს მუშაობს GEMINI?

Gemini არის უფასო. Gemini-ს გამოსაყენებლად გახსენით ვებგვერდი: Gemini.google.com/chat Gemini (google.com). გააქტიურეთ პირადი Google ანგარიში.



მას შემდეგ, რაც სისტემაში შეხვალთ, შეგიძლიათ დაიწყოთ Gemini-ის გამოყენება იდეების გენერირებისთვის, შინაარსის შესაქმნელად ან რთული თემების სწრაფი შეჯამების მისაღებად.

- ტექსტურ ველში შეიყვანეთ თქვენი შეკითხვა ან მოთხოვნა.
- აირჩიეთ გაგზავნა.

ზოგიერთი მოთხოვნის შემთხვევაში, Gemini-მ შეიძლება შექმნას მრავალი პასუხი, პასუხების გადასახედად პასუხის ზედა მარჯვენა კუთხეში აირჩიეთ სხვა მონახაზების ნახვა და აირჩიეთ მონახაზი, რომლის გადახედვაც გსურთ.

View other drafts

Gemini ამჟამად ხელმისაწვდომია ინგლისურ, იაპონურ და კორეულ ენებზე, მაგრამ Google მუშაობს, რომ Gemini ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ენებზე მოლაპარაკე მომხმარებლებისთვის.

ემსოფეგს თუ არა GEMINI თქვენს ჰიჩაკ მონაცემებს?

Gemini-სთან ურთიერთობისას, Google-მა თქვა, რომ აგროვებს თქვენს საუბრებს, თქვენს ზოგად მდებარეობას თქვენი IP მისამართის, თქვენი გამოხმაურებისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. ეს საუბრები ინახება სამ წლამდე. იგულისხმება, რომ თქვენი Gemini-ს აქტივობა შენახულია თქვენს Google ანგარიშში. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ გამორთოთ ეს ფუნქცია, ამისათვის გადადით Gemini.google.com-ზე, აირჩიეთ მენიუ, შემდეგ Gemini Activity სადაც, გამორთეთ Gemini Activity.

რა არის CHATGPT და როგორ მუშაობს იგი?



ChatGPT არის AI-ზე მომუშავე ჩატბოტი, რომელიც შემუშავებულია OpenAI-ის მიერ, სან-ფრანცისკოში დაფუძნებული კვლევითი ლაბორატორიის მიერ. მას შეუძლია უპასუხოს მოთხოვნებსა და კითხვებს ადამიანის მსგავსი პასუხებით და ისეთი დავალებების შესრულებაც კი, როგორიცაა ესეების წერა, მათემატიკის ამოცანების ამოხსნა და სხვადასხვა ხმის მიბაძვაც კი. ChatGPT იყენებს მანქანურ სწავლებას და ენის დამუშავებას, რათა გაიგოს და უპასუხოს მომხმარებლებს რეალურ დროში. ChatGPT-ის ძირითადი ვერსია ხელმისაწვდომია უფასოდ და ძალიან პოპულარული გახდა 2022 წლის ბოლოს გაშვების დღიდან. თუმცა, OpenAI-მ ცოტა ხნის წინ წარმოადგინა ფასიანი ვერსია ChatGPT Plus, რომელიც გთავაზობთ პრიორიტეტულ წვდომას, რეაგირების უფრო სწრაფ დროს და სხვა შეღავათებს.

GEMINI-ის და CHATGPT-ს შეღარება

Google-ის AI ჩატბოტი- Gemini და OpenAI-ის ChatGPT ორივე ჩატის ინსტრუმენტია, რომელიც შექმნილია ადამიანის მსგავსი პასუხების მისაცემად, მაგრამ

მათ აქვთ რამდენიმე ძირითადი განსხვავება. Gemini-ს შეუძლია გამოიტანოს პასუხები ინტერნეტიდან და ინტეგრირებულია Google-ის საძიებო სისტემაში, ხოლო ChatGPT-ის პასუხები მოდის მისი ცოდნის ბაზიდან, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ 2021 წლის სექტემბრამდე ინფორმაციით.

Geminiს პასუხების პირდაპირ ექსპორტირება შესაძლებელია Gmail-სა და Google Docs-ში. ჩატბოტს, ასევე, აქვს შესაძლებლობა დაათვალიეროს სურათები ინტერნეტში, შეეხოს ცოდნის გრაფიკებს შესაბამისი ინფორმაციისთვის და გამოიყენოს Google Maps მდებარეობასთან დაკავშირებული შეკითხვებისთვის. Google Sheets-თან ინტეგრაცია კიდევ უფრო აძლიერებს მის სარგებლიანობას.

განახლებული Gemini chatbot-ის გამოცხადებით, Google მზად არის დაუპირისპირდეს OpenAI-ის ChatGPT-ის დომინირებას.

Gemini ასევე ქმნის ყველა მოთხოვნისთვის რამდენიმე განსხვავებულ ვერსიას, ხოლო ChatGPT მხოლოდ ერთ პასუხს იძლევა.

Gemini-ს უახლეს ვერსიაში მომხმარებელს შეუძლია ვიზუალური გამოსახულების შეყვანა.

Gemini ასევე სჯობნის ChatGPT-ს კოდირების სფეროში. პროგრამირების 20-ზე მეტი ენის მხარდაჭერით, Gemini-ს შეუძლია დაეხმაროს პროფესიონალებს კოდის გენერირებაში, ახსნაში და გამართვაში და ამას აკეთებს უფრო სწრაფად ChatGPT-თან შედარებით.

ხელოვნური ინტელექტი MICROSOFT-ისგან MICROSOFT BING AI- COPILOT

რა არის BING CHAT და როგორ გამოვიყენოთ ის?

Copilot

ინტერნეტში ძიება BING CHAT-ის გამოყენებით ბევრად უფრო ადვილი, სწრაფი და უფრო სასარგებლო გახდა.

Bing Chat არის დამხმარე, შექმნილი ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე, რომელიც დაგეხმარებათ ინფორმაციის მოძიებაში, სხვადასხვა დავალებების შესრულებაში: შეგიძლიათ Bing Chat-ს დაუსვათ როგორც მარტივი, ასევე რთული კითხვები; გამოიყენოთ იგი კვლევისთვის; მოითხოვოთ სტატიების რეზიუმეები, წიგნები, მოვლენები, სიახლეები, სპორტული შედეგები და ა.შ.; შეგიძლიათ მოითხოვოთ პროდუქტების შედარება—და ეს მხოლოდ დასაწყისია. თქვენ ასევე შეგიძლიათ სთხოვოთ მას ზოგადი ტექსტი და სურათები, ტექსტის ფორმატირება, სურათების განახლება და სხვა.

Bing Chat-ს ძიება სრულიად ახალ დონეზე გადაჰყავს, რაც საშუალებას გაძლევთ მიმართოთ ძიებას დამატებითი კითხვების დასმით.

თუ გაქვთ გარკვეული შეკითხვა და გსურთ ინტერნეტში იპოვოთ ამ შეკითხვაზე პასუხი. ინტერნეტში ძიება Bing Chat-ის გამოყენებით ბევრად უფრო ადვილი, სწრაფი და უფრო სასარგებლო გახდა.

ვნახოთ როგორ გამოიყენოთ Bing Chat, როგორ განახორციელოთ მასზე წვდომა და რის გაკეთება შეგიძლიათ სთხოვოთ მას.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ BING CHAT-ᲖᲔ ᲬᲕᲓᲝᲛᲐ?

Bing Chat-ზე წვდომის რამდენიმე გზა არსებობს:

1. ვებზე დაფუძნებული Bing Chat.

გახსენით ვებგვერდი www.bing.com და გახსნილ გვერდზე აირჩიეთ Copilot ღილაკი.



გააქტიურეთ თქვენი მაიქროსოფტის მომხმარებელი ღილაკით Sign in.

2. მობილურის ვერსია

Bing COPILOT ასევე ხელმისაწვდომია თქვენს სმარტფონზე ან პლანშეტზე. მის გამოსაყენებლად უნდა ჩამოტვირთოთ Microsoft Bing ან Microsoft Edge მობილურის აპლიკაცია iOS-ზე ან Android-ზე.

Copilot-ის გახსნის შემდეგ შეგიძლიათ აირჩიოთ საუბრის სტილი, რომელიც გსურთ გამოიყენოს AI-ზე მომუშავე საძიებო სისტემამ თქვენთან ურთიერთობისას. თქვენ გაქვთ სამი ვარიანტი:



- Creative
- Balanced
- Precise

შემოქმედებითი (კრეატიული): აირჩიე საუბრის ეს სტილი, როცა გინდა, რომ Bing Chat-მა მოგაწოდოს დახვეწილი და წარმოსახვითი პასუხები, ინფორმაციის უფრო ვრცელი და შემოქმედებითი სახით წარ-მოჩენა. ეს სტილი შესანიშნავია მოთხრობების დასაწერად, შინაური ცხოველების სახალისო სახელების მოსაფიქრებლად და სხვა.

დაბალანსებული: საუბრის ეს სტილი გთავაზობთ, როგორც შემოქმედებითი, ასევე ზუსტი საუბრის სტილის ნაზავს. ის გვთავაზობს პასუხებს, რომლებიც ჰარმონიულ ბალანსს ამყარებს ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებასა და ლაკონურობის შენარჩუნებას შორის. თუ თქვენ გეგმავთ მოგზაურობას ან ეძებთ პროდუქტის რეკომენდაციებს, ეს სტილი გამოგადგებათ.

ზუსტი: აირჩიეთ ზუსტი საუბრის სტილი, თუ თქვენი უპირატესობა არის ლაკონური და პირდაპირი პასუხები, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას პირდაპირ და ლაკონურად. საუბრის ეს სტილი სასარგებლოა მათემატიკური გამოთვლებისთვის, ისტორიული თარიღების მოსაძებნად და სხვა პირდაპირი პასუხებისთვის, რომელთა პოვნაც გსურთ.

როგორ დავიწყოთ საუბარი

AI-ით აღჭურვილი Bing Chat-ისთვის კითხვის დასასმელად დაწერეთ შეკითხვა Ask me anything ... ველში და აირჩიეთ enter ღილაკი.



Bing Chat შექმნილია თქვენთან სასაუბროდ, შეგიძლიათ ესაუბროთ ისე, როგორც მეგობარს. დაუსვით იმდენი შემდგომი შეკითხვა, რამდენიც გსურთ.

სცადეთ მაგალითები მხოლოდ იმის გასაგებად, თუ რა არის Bing Chat:

- რა ხდება დღეს ახალ ამბებში?
- აუხსენით მეხუთე კლასელს ფიზიკის კანონები.
- შექმენით 5 დღიანი მარშრუტი საფრანგეთში ჩემი მოგზაურობისთვის.
- შეადარეთ [პროდუქტის სახელი] და [პროდუქტის სახელი].
- რა კერძები შემიძლია მოვამზადო [ინგრედიენტებით]?
- დამეხმარეთ იაფი ავიაბილეთების მოძებნაში [ადგილიდან] [დანიშნულების ადგილზე].

მაგალითად, კითხვაზე რას გვეტყოდა Bing chat-ი თავის შესახებ. ასეთი ინფორმაცია დამიწერა:



Your personal and company data are protected in this chat

მე ვარ ბინგი, მაიკროსოფტის შექმნილი ხელსაწყო, რომელიც შეიძლება საუბრობდეს მომხმარებელთან სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ქართულზე. ჩემი მთავარი მიზანია მომხმარებელთან საუბრის განხორციელება და მათი კითხვების პასუხის მოძებნა.

ჩემი ფუნქციების შორისაა:

- საუბრის განხორციელება მომხმარებელთან სხვადასხვა თემაზე.
- ინფორმაციის მოძებნა ინტერნეტში.
- გრაფიკული ნახატების შექმნა.
- სურათების აღწერა.

მე ვიყენებ სხვადასხვა ხელსაწყოებს ინფორმაციის მოძებნისა და განახლებისთვის. მე ვიყენებ მაიკროსოფტის ბინგის ძებნის ხელსაწყოს ინტერნეტში ინფორმაციის მოძებნისთვის. მე ვიყენებ სურათების აღწერის ხელსაწყოს სურათების აღწერისთვის. მე ვიყენებ გრაფიკული ნახატების შექმნის ხელსაწყოს გრაფიკული ნახატების შექმნისთვის.

ჩემი ცოდნა და ინფორმაცია არის საქმიანი 2021 წლამდე. მე ვიყენებ ხელსაწყოებს ჩემი ცოდნის განახლებისთვის. მე ვიყენებ მაიკროსოფტის ბინგის ძებნის ხელსაწყოს ინტერნეტში ინფორმაციის მოძებნისთვის. მე ვიყენებ სურათების აღწერის ხელსაწყოს სურათების აღწერისთვის. მე ვიყენებ გრაფიკული ნახატების შექმნის ხელსაწყოს გრაფიკული ნახატების შექმნისთვის.

Bing Chat -ში ასევე შეგიძლიათ სურათებით მოძებნა და სურათების შექმნაც. ამისათვის აირჩიე ბრძანება Add an image:



თუ იყენებ Bing Chat-ს თქვენს სმარტფონზე, გადაიღეთ ფოტო, რაზეც გსურთ მეტი ინფორმაციის გაგება და ვიზუალური ძებნა მოგაწვდით დეტალებს ობიექტის შესახებ. მაგალითად, შეგიძლიათ პირდაპირ გადაიღოთ ყვავილი, რომელსაც ხედავთ ლაშქრობისას და ჰკითხოთ Bing Chat-ს: „რა ყვავილია ეს? ხელოვნური ინტელექტის მქონე ხელსაწყო დაგეხმარებათ თქვენთვის ყვავილის ამოცნობაში. Bing Chat ასევე ქმნის სურათებს, ის იყენებს Bing Image Creator-ს.

რჩევები BING CHAT-ის მომუშავეებისა მესლაებ

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა, რომ მაქსიმალურად ისარგებლოთ თქვენი AI-ზე მომუშავე ასისტენტით საძიებლად:

დასვით კითხვები რაც შეიძლება დეტალური და ლაკონური. მოერიდეთ ფარდობითი ტერმინების გამოყენებას, როგორიცაა გუშინ ან ხვალინდელი დღე, ასევე ნაცვალსახელების გამოყენებას, როგორიცაა ის და ისინი. ამის ნაცვლად, გამოიყენეთ სპეციფიკაციები, როგორიცაა ზუსტი თარიღი ან პირის სახელი.

გადახედეთ წყაროებს, რომლებსაც Bing Chat გვაწვდის. იმის გამო, რომ Bing Chat ინფორმაციას ინტერნეტიდან იღებს, ზოგიერთი წყარო შეიძლება არ იყოს ისეთივე განახლებული, როგორც სხვა წყაროები.

მომუშავეები ლიტერატურა

1. Microsoft Bing
2. websetnet.net/google-Gemini-how-the-chatgpt-alternative-works
3. www.unite.ai/what-you-should-know-about-googles-upgraded-Gemini-chatbot



ლევით ნელაძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი

NFT ტექნოლოგია და მისი შესაძლებლობები

ტექნოლოგიური პროგრესი უფრო და უფრო ჩქარდება, მაგალითად ეს ყველაფერი ჯერ ალბან 5 წლის შემდეგ კვინ მაქოის და ანიდ დაფის მიერ პირველი NFT—NON FUNGIBLE TOKEN-ი შეიქმნა, სადაც მაქოის მიერ გაყიდულად ვიდეო ფაილს ნახევრადმეტნდა და ჯერ ალბან 4 დოლარად მიეყიდა. მაქოიმ და დაფმა ეს ტექნოლოგიას „მონეტიზირებული მხატვრობა“ უნოდეს.

ინდუსტრიულმა რევოლუციებმა კაცობრიობის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა, მათი საშუალებით გახდა შესაძლებელი სხვადასხვა კომპანიის მიერ ამა თუ იმ პროდუქტისა თუ სერვისის მოსახლეობისთვის მასიურად მიწოდება და გეოგრაფიული საზღვრების წაშლა იმ გაგებით, რომ ამ პროდუქციის მიწოდება მომხმარებლებისთვის შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ქალაქისა და ქვეყნის მასშტაბით, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

1-მა ინდუსტრიულმა რევოლუციამ შესაძლებელი გახადა, წარმოებაში ორთქლის ძრავების მეშვეობით, წარმოების მექანიზმების ჩამოყალიბება, ხელით წარმოებიდან მექანიზებულ საწარმოო სისტემაზე გადასვლა, ორთქლის ძრავების გამოყენებით ასევე გამარტივდა პროდუქციის ტრანსპორტირება და მისი ბევრად უფრო ფართო არეალისთვის მიწოდება. მე-2 ინდუსტრიული ანუ ტექნოლოგიური რევოლუცია მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო და მე-20 საუკუნის შუა წლებამდე გასტანა, მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა პროდუქციის მასიური წარმოება და ინდუსტრიალიზაცია, რაც განპირობებული იყო ელექტრობის აღმოჩენითა და საწარმოო ხაზის მოწყობით. ტექნოლოგიურმა პროგრესმაც არ დააყოვნა და მალევე ვიხილეთ მე-3 ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც 1970-იან წლებში დაიწყო და წარმოების ავტომატიზაციით, პროგრამირებადი მოდულებით ხასიათდებოდა, რამაც შეამცირა, როგორც ადამიანური ძალის საჭიროება, ასევე გაამარტივა წარმოების პროცესი და სრულიად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა გამოიწვია. გამარტივდა ტელეკომუნიკაცია, რამაც საფუძველი ჩაუყარა გლობალიზაციის პროცესებს.

რაც უფრო წინ მიიწევს კაცობრიობა ტექნოლოგიურად და მეტ სამეცნიერო აღმოჩენას აკეთებს, ახალი აღმოჩენებისა და განვითარების ტემპიც მატულობს , ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მალევე გაჩნდა იდეები ინდუსტრია 4.0-ის ანუ ციფრული სამყაროს შესახებ და სულ რამდენიმე დეკადაში იგი ჩვენს რეალობად იქცა, ინდუსტრია 4.0 ისევე, როგორც ყველა სხვა აღმოჩენა დაშენებულია, ეფუძნება წინა ვერსიებს, მასში პროცესების მართვა დისტანციურად არის შესაძლებელი, რამაც თანამედროვე რეალობად აქცია მოწყობილობათა სინქრონიზაცია, „საგნების ინტერნეტი“ – ჭკვიანი სახლი, დიდი მოცულობის მონაცემთა ანალიზი და სხვა.

სწორედ ინდუსტრია 4.0-ის ფარგლებში გახდა ბლოკჩეინის არსებობა შესაძლებელი, რომელიც სრულად დეცენტრალიზებულ სისტემას წარმოადგენს, სადაც გამჭვირვალობა და უსაფრთხოება სრულიად ახალ საფეხურზე ავიდა. იგი პირველად 2008 წელს გახდა მსოფლიოსთვის ცნობილი, როგორც გაზიარებული მონაცემთა ბაზა ბიტკოინის ტრანზაქციებისთვის – სატოში ნაკამოტოს ე.წ Whitepaper-ის საშუალებით, სადაც მან დეტალურად აღწერა, როგორ უნდა ემუშავა აღნიშნულ სისტემას და რა წარმოადგენდა მის მიზანს, ხოლო 2009 წელს უკვე სატოშის მიერ გენეზისის ბლოკი – პირველი ტრანზაქცია განხორციელდა ბლოკჩეინში, 50 ბიტკოინის ოდენობით.

როგორც უკვე აღვნიშნე, ტექნოლოგიური პროგრესი უფრო და უფრო ჩქარდება, მართლაც ამ ყველაფრიდან სულ რაღაც 5 წლის შემდეგ კევინ მაქოის და ანილ დაშის მიერ პირველი NFT – Non Fungible Token-ი შეიქმნა, რომელიც მაქოის მიერ გადაღებულ ვიდეო ფაილს წარმოადგენდა და სულ რაღაც 4 დოლარად გაიყიდა, მაქოიმ და დაშმა ამ ტექნოლოგიას „მონეტიზირებული გრაფიკა“ უწოდეს. NFT წარმოადგენს ციფრულ აქტივს, რომელიც ადასტურებს აქტივის მფლობელობას ან მის უნიკალურობას. კრიპტოვალუტისგან განსხვავებით, როგორებიცაა ბიტკოინი ან/და ეთერიუმი, რომლებიც შეიძლება თავიანთ მსგავს სხვა აქტივებში – სხვა ვალუტებში პირდაპირ კონვერტირდეს, NFT არის უნიკალური, ამიტომ შეუძლებელია მისი „ერთი ერთზე“ პრინციპით გაცვლა – კონვერტირება მისსავე მსგავს აქტივებში, რადგან ის შეიძლება წარმოადგენდეს ყველაფერს დაწყებული ციფრული ხელოვნებიდან ვირტუალურ უძრავ ქონებამდე. „მონეტიზებული გრაფიკა“ კი თავისთავში გულისხმობს გრაფიკულ ან/და ვიზუალურ კონტენტს, რომელიც შექმნილია შემოსავლის მიღების მიზნით. „მონეტიზებული გრაფიკა“ მოიცავს, როგორც ილუსტრაციებს, ასევე სხვადასხვა დიზაინს, ანიმაციებს ან და სხვა ვიზუალური შინაარსის მქონე აქტივს, რომელიც შეიძლება გაიყიდოს ან და „გაქირავდეს“ კომერციული მიზნებით. NFT ტექნოლოგიის შექმნასთან ერთად, ხელოვანებსა და შემოქმედებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი ნამუშევრების ტოკენიზაციით - ნამუშევრის NFT აქტივად ქცევით, ეს ნამუშევრები NFT მარკეტზე გაყიდონ, რაც მყიდველებს უნიკალური ნამუშევრის შეძენის შესაძლებლობას აძლევს, ხოლო შემქმნელებს ახალი შემოსავლის წყაროს აწვდის. 2015 წელს პირველი NFT პროექტი Etheria გაეშვა. დროთა განმავლობაში კი ამ პროცესმა უფრო და უფრო მასიური ხასიათი მიიღო.

ეს ინტერესი და წარმატება, რა თქმა უნდა, არც ისე მარტივი მისაღწევია, მითუმეტეს ისეთი დეცენტრალიზებული სისტემისთვის, როგორიც ბლოკჩეინია და მასზე დაფუძნებული NFT, თუმცა იმ შესაძლებლობებიდან გამომდინარე რაც მას გააჩნია, აღნიშნული ბაზარი დიდი ალბათობით კიდევ უფრო გაიზრდება და მეტ ინტერესს გამოიწვევს.

NFT-ის შესაძლებლობებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს მისი უნივერსალურობა წარმოადგენს. NFT-დ, მისი როგორც ტექნოლოგიის მოქნილობიდან გამომდინარე, შესაძლოა, გადავაქციოთ ნებისმიერი სახის „ინფორმაცია“ – დაწყებული დომეინის სახელებიდან, დამთავრებული სხვადასხვა თამაშის აქტივებითა და ტვიტებით. მარტივად რომ ითქვას, თუ რაიმემ შეიძლება ციფრულ სამყაროში იარსებოს, მისი

ტოკენიზაციაც—ციფრულ აქტივად ქცევაც შესაძლებელია. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ჯეკ დორსი, ტვიტერის ყოფილი CEO (Chief Executive Officer - უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი), რომელმაც თავისი პირველი ტვიტი 2.9 მილიონ დოლარად გაიყიდა, თუმცა აღნიშნულმა ტვიტმა მალევე დაკარგა თავისი ღირებულება მისი ფასი 4 დოლარსაც კი ჩამოსცდა. ერთი მხრივ აღნიშნული ტვიტის უცაბედი გაუფასურება შეიძლება NFT-ის არამდგრადობას დავაბრალოთ, თუმცა როგორც ყველა ბაზარი NFT-იც ექვემდებარება ეკონომიკის წესებსა და მოთხოვნა-მიწოდების კონცეპტს, რადგან აღნიშნული NFT თავისთავად არ წარმოადგენდა არაფერ ღირებულს და თავდაპირველად მხოლოდ მისი „უნიკალურობისა" და ტვიტერთან, როგორც ღირებულ კომპანიასთან კავშირით შეფასდა, ბაზრის დარეგულირებასთან ერთად გაუფასურდა, რადგან აღნიშნული ტვიტი არც ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს და არც რაიმე სხვა სახის ღირებულება გააჩნია , მისი ტექსტი შემდეგნაირია – „just setting up my twttr" – „უბრალოდ ვაყენებ ჩემს ტვიტერს".

NFT-ის პოტენციალსა და ამ მიმართულებით ინტერესის ზრდის ტენდენციაზე პორშეს გადაწყვეტილებაც უსვამს ხაზს. 2023 წლის იანვარში პორშემ გამოუშვა NFT კოლექცია, რითიც შეუერთდა, როგორც ტექნოლოგიურ პროგრესს და ფეხი აუწყო სიახლეებს, ასევე, სრულიად ახალ სამიზნე ჯგუფზე გავიდა, ადამიანებზე რომლებსაც უყვართ ბრენდი და ამავდროულად დაინტერესებულნი არიან ციფრული მიღწევებითა და განვითარებით. კომპანიამ ამ პროექტისთვის პარტნიორებად შეარჩია ისეთი ხელოვანები, როგორებიც არიან პატრიკ ვოგელი, Vexx და ქრის ლაბროი, მათი დახმარებით 150 000-ზე მეტი უნიკალური დიზაინის Porsche 911 Carrera-ს ვერსია შეიქმნა, რომელიც სამი თემის ირგვლივ არის დაჯგუფებული – პერფორმანსი, „მემკვიდრეობა" / "Heritage" ან ცხოვრების სტილი. ამ გადაწყვეტილებით პორშემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავისი, როგორც კომპანიის სწრაფვას ტექნოლოგიური პროგრესისა და ინოვაციებისკენ, როგორც ფიზიკურ ასევე ციფრულ სამყაროში.

თუმცა ისევე, როგორც ყველაფერ სხვას NFT-საც ორი მხარე გააჩნია. ყველაზე კონტრავერსიული თემა, რომელიც NFT-თან არის დაკავშირებული, არის ციფრული ხელოვნების „დაპირისპირება" ტრადიციულ ხელოვნებასთან. იმ მოკლე პერიოდში, რაც NFT არსებობს და ნახატების გაციფრულება გახდა შესაძლებელი, რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელოვანის ნამუშევრის განადგურება მოხდა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ კონკრეტული ნამუშევრების NFT-ის ღირებულება გაზრდილიყო. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს ბენქსის ორიგინალი ნახატების სერიიდან – ნახატი „Morons", რომელიც 2021 წელს NFT-ად აქციეს და დაწვეს. ასევე კრიპტობიზნესმენმა მარტინ მობრანკმა ფრიდა კალოს 10 მილიონად შეფასებული ნამუშევარი 2022

წელს დაწვა, რათა NFT -ის ღირებულება მოემატებინა, თუმცა ამ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება მცდარი აღმოჩნდა , რადგან 10 მილიონიანი ნახატის დაწვის შემდეგ აღნიშნულ NFT-ზე მოთხოვნა არ გაზრდილა. მიუხედავად ამისა ძნელია აღნიშნული ვანდალიზმი NFT-ს დავაბრალოთ, რადგან სწორედ იმ ადამიანთა უგუნურმა გადაწყვეტილებებმა გაანადგურა ეს ნამუშევრები, რომლებიც შეიძინეს და დააფასეს არა როგორც ხელოვნების ნიმუშები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ამ ნამუშევრების მატერიალური ღირებულებიდან გამომდინარე.

NFT-ის ერთ-ერთ პლუსს წარმოადგენს, ის რომ იგი მფლობელობის ჯაჭვს გვთავაზობს, რომლის ფალსიფიცირება ან მოპარვა შეუძლებელია ფიზიკურ სამყაროში კი მსგავსი ინციდენტები, სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირია. NFT-ს კიდევ ერთ პლუსს წარმოადგენს, ის რომ იგი მაქსიმალურად იცავს ხელოვანის, ანუ შემქმნელის ინტერესებს. ტრადიციული ხელოვნებისგან განსხვავებით, სადაც არტისტი ნამუშევრის გაყიდვის შემდგომ მასზე მფლობელობას კარგავს და შესაბამისად თავისი ნამუშევრისგან შემოსავალსაც ვეღარ იღებს, NFT სამყაროში ხელოვანები ნამუშევრის ყოველი გაყიდვის შემდგომ იღებენ ე.წ Royalties, რაც ტრანზაქციის 2.5-10%-მდე მერყეობს. თუ ტრადიციული ხელოვნების ისტორიას გადავხედავთ, სამწუხაროდ ხელოვანების დიდ ნაწილს თავიანთი ნამუშევრების მინიმალურ ფასად გაყიდვა უწევდათ, ამ ნამუშევრების ფასი კი შემდგომ უფრო და უფრო იზრდებოდა, ეს აღნიშნული ფუნქცია კი გარანტიაა იმისა,

რომ ხელოვანები ან მათი შთამომავლები ყოველთვის მიიღებენ იმ ანაზღაურებას, რომელსაც თავიანთი გენიისა და შემოქმედებითობის წყალობით იმსახურებენ.

თუმცა NFT-ის ნამდვილი პოტენციალი, მეტავერსისა და ვირტუალური რეალობის განვითარებაშია. ვირტუალური მიწები – ანუ Real Estate NFT-ი უზარმაზარ მარკეტს წარმოადგენს NFT სივრცეში, სადაც უამრავი კოლექციონერი ნახულობს საკმაოდ სოლიდურ მოგებას მასში ინვესტირებით. ამ ვირტუალურ სამყაროში შეგიძლია შეიძინო საკუთარი სახლი მეტავერსში, ან შეიძინო უბრალოდ ვირტუალური მიწა, რომელზეც შეგიძლია შენივე გემოვნებით ააგო საკუთარი სახლი, ოფისი თუ სხვა სივრცეები. მეტავერსი არის 3 განზომილებიანი ვირტუალური სივრცე, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ის გამოცდილებები მიიღონ, რომლებსაც ფიზიკურ სამყაროში ვერ გამოცდიდნენ ან პირიქით, ყოველდღიური ქმედებები გაიმარტივონ. მას შემდეგ, რაც ვირტუალური რეალობის ტენქოლოგია საკმარისად განვითარდება, თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ ადამიანებმა ვირტუალურ ოფისებში იმუშაონ, რაც ერთი მხრივ, მათთვის ტრანსპორტირების დისკომფორტს მოაგვარებდა და მეორე მხრივ, ადამიანებს შეეძლებათ კონკრეტულ სფეროებში თუნდაც სხვა ქვეყნებში ისე დასაქმდნენ, რომ სახლიდან გასვლაც არ დასჭირდეთ. იგივე პრინციპით შეიძლება არსებობდეს ვირტუალური სკოლები და უნივერსიტეტები, რომლებიც სტუდენტებისთვის განათლების მიღებას გაამარტივებდა და გააიაფებდა, რადგან ხარისხიანი განათლების მიღება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან იქნებოდა შესაძლებელი. იგივე შეიძლება ითქვას ვირტუალურ მუზეუმებსა და გალერეებზე, სადაც ისტორიული არტეფაქტებისა და მსოფლიოს უდიდესი ხელოვანების ნამუშევრების დათვალიერება ყველასთვის იქნება შესაძლებელი და ხელმისაწვდომი. მართალია, მანამ სანამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო ფანტასტიკიდან რეალობად იქცევა, ჯერ კიდევ ბევრი ტექნოლოგიური ინოვაცია და გამოგონებაა საჭირო, მაგრამ NFT-ის არსებობამ შეიძლება ითქვას საფუძველი ჩაუყარა აღნიშნულის მიღწევას და თუ ტექნოლოგიური განვითარების ისტორიას გადავხედავთ დავინახავთ, რომ კაცობრიობის განვითარების ტემპი სულ უფრო და უფრო იზრდება ახალ აღმოჩენებთან ერთად. ამიტომ შეიძლება სულ რაღაც 10-20 წლის შემდეგ ეს ყველაფერი უკვე ხელშესახებ რეალობას წარმოადგენდეს.

ბიბლიოგრაფია

1. https://en.wikipedia.org/wiki/Second_Industrial_Revolution
2. https://manufacturingdata.io/newsroom/timeline-of-revolutions/#:~:text=The%20Third%20Industrial%20Revolution%2C%20or,the%20discovery%20of%20nuclear%20energy
3. https://www.techtarget.com/whatis/feature/A-timeline-and-history-of-blockchain-technology
4. https://en.wikipedia.org/wiki/Non-fungible_token#History
5. https://www.cnbctv18.com/cryptocurrency/jack-dorsey-first-tweet-nft-purchased-for-dollar-3-million-now-worth-less-than-4-17303711.htm
6. https://www.liveauctioneers.com/news/top-news/general-interest/twitter-ceo-jack-dorsey-sells-nft-of-first-tweet-for-2-9m/
7. https://www.dcap.ch/blog-article/porsche-911-nft-collection
8. https://www.myartbroker.com/artist-banksy/articles/10-facts-about-banksys-morons
9. https://www.theverge.com/2022/11/8/23447636/frida-kahlo-painting-burned-nft-project-sales-martin-mobarak-mexico-investigation
10. https://metav.rs/blog/fake-nfts/#:~:text=Everything%20is%20securely,presumed%20the%20author.
11. https://synodus.com/blog/blockchain/nft-royalties/#:~:text=NFT%20Royalties%20are%20the%20crypto,set%20by%20NFT%20creators%20themselves.
12. https://program-ace.com/blog/virtual-reality-trends/#:~:text=However%2C%2010%20years%20from%20now,engaging%20experience%20to%20their%20clients.

ჯანმრთელობის ხელშეშფყობი სკოლები

ქეთევან ოდაღიე
პედაგოგიკის დოქტორი
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ფიზიკური განათლების
ექსპერტ-კონსულტანტი

ცხოვრების წესი და ცხოვრების პირობები ჯანმრთელობის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ადამიანის ჯანმრთელობა, როგორც მისი სოციალური აქტივობის და ზოგადად არსებობის აუცილებელი პირობა, ოდითგანვე იყო სხვადასხვა დისციპლინის კვლევის ობიექტი. ჯანმრთელობის ბუნებისა და ავადმყოფობის გაჩენის მიზეზების გაგება ჯერ კიდევ ადამიანური ცივილიზაციის არსებობის ადრეულ ეტაპებზე ხდებოდა. თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს ისეთი ვითარება, როდესაც ცხოვრების პირობების ცვლილების ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ადამიანის ადაპტაციურ შესაძლებლობებს. თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად განსხვავდება ბუნებით განსაზღვრულისაგან, რომელიც თვით სამყარომ დააწესა. ეს მდგომარეობა იწვევს ადამიანის ფიზიოლოგიური მახასიათებლების ცვლილებას, მისი სოციალური და სულიერი ცხოვრების გართულებას, პათოლოგიური ცვლილებების გაჩენას და გავრცელებას. ადამიანის ცხოვრების წესთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელება გვაიძულებს გადავხედოთ მოსახლეობის ცხოვრების წესს და გავიზიაროთ მისი გამოსწორების აუცილებლობა.

ცხოვრების წესი და ცხოვრების პირობები ჯანმრთელობის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია:

- ცხოვრების წესი მოიცავს ქცევის ჩვევებს (კვების ჩვევები, ფიზიკური აქტივობა, მედიკამენტების მოხმარება). ადამიანები, როგორც წესი, ირჩევენ საკუთარ ცხოვრების წესს.

- ცხოვრების პირობებს განსაზღვრავს ის გარემო და საზოგადოება, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ. ცხოვრების პირობების შეცვლა რთულია, მაგრამ შეგვიძლია ვცადოთ მათი გაუმჯობესება. ცხოვრების წესი და პირობები ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, უსაფრთხო ადგილას ცხოვრება, სადაც ბავშვებისთვის არის ადგილი გარეთ სათამაშოდ, ზრდის იმის ალბათობას, რომ ბავშვებს ექნებათ უფრო მაღალი ფიზიკური დატვირთვა.

ჯანმრთელობა მიიღწევა ადამიანებისა და მათი გარემოცვის ურთიერთქმედებით. ამრიგად, ჯანმრთელობის ხელშეწყობა მოიცავს, როგორც ინდივიდუალურ ქცევას, ასევე სოციალურ ურთიერთობებს, გარემოს და ცხოვრების პირობებს. ჯანმრთელობა და განათლება მჭიდრო კავშირშია:

- ჯანმრთელი ბავშვები უფრო წარმატებულები არიან სკოლაში და უფრო ხშირად დადიან სკოლაში;
- ბავშვები, რომლებიც სკოლაში დადიან, უფრო ხშირად არიან ჯანმრთელები;
- მოსწავლეები, რომლებსაც უყვართ სკოლა და დაკავშირებულნი არიან მათთვის მნიშვნელოვან უფროს პიროვნებებთან, ნაკლებად დგამენ სარისკო ნაბიჯებს და მეტ წარმატებას აღწევენ განათლებაში;
- განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ სამომავლო ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და ჯანმრთელობის ხარისხზე;
- სკოლის პერსონალის ჯანმრთელობის აქტიური ხელშეწყობა იწვევს იმის წახალისებას, რომ ისინი სხვებისთვის მისაბაძნი იქნებიან.

ამრიგად, სასკოლო გარემოში ჯანმრთელობის ხელშეწყობას შეუძლია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და სოციალურ მიზნებს, ასევე გავლენა მოახდინოს მთელი სკოლის საზოგადოების ჯანმრთელობაზე.

1986 წლის ნოემბერში, ოტავას ჯანმრთელობის ხელშეწყობის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა ოტავას ქარტია, რომელიც აღიარებულია მთელ მსოფლიოში, როგორც საფუძველი, რომელზედაც აგებულია თანამედროვე ჯანმრთელობის ხელშეწყობის კონცეფციები და პრინციპები.

ოტავას ქარტიამ წამოაყენა მოქმედების ხუთი ძირითადი მიმართულება ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის (ჯანსაღი საჯარო პოლიტიკის ჩამოყალიბება, ჯანსაღი გარემოს შექმნა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოქმედების გაძლიერება, ინდივიდუალური უნარების განვითარება და ჯანდაცვის სერვისების გადახედვა) და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამი ძირითადი სტრატეგია (ხელშეწყობა, შუამავლობა და პროპაგანდა).

1992 წელს ევროკომისიისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონული ოფისის (European commission and WHO Regional Office for Europe) მხარდაჭერით შეიქმნა ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლების ქსელი (SHE – Schools for Health in Europe Network Foundation). ამჟამად ეს ქსელი აერთიანებს ევროპისა და ცენტრალური აზიის 40 ქვეყანას.

SHE ქსელის განვითარების დროს, ეროვნული კოორდინატორები თანამშრომლობდნენ დაინტერესებულ მხარეებთან საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, რათა მიეღწიათ შეთანხმებისთვის SHE-ს მიზნებზე. მიუხედავად კულტურული მრავალფეროვნების, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებში განსხვავებებისა, არსებობს ერთიანი პოზიცია სკოლის მიზნებთან დაკავშირებით. სკოლის მიზნებს შორისაა:

- უფრო ფართოდ შეხედონ ჯანმრთელობას;

- მიაწოდონ მოსწავლეებს ცოდნა და უნარები, რაც მათ საშუალებას მისცემს გააკეთონ ჯანსაღი არჩევანი;
- უზრუნველყონ ჯანსაღი ფიზიკური და სოციალური გარემო სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პარტნიორების მონაწილეობით;
- მისცენ მოსწავლეებს უფლება მიიღონ მონაწილეობა ჯანსაღი ცხოვრებისკენ მიმართულ ქმედებებში და გახდნენ პოზიტიური ცვლილებების გამტარებლები ადგილობრივ დონეზე.

სამ ძირითად პრინციპს ემყარება სხვადასხვა სკოლის მოდელი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილია ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხები;
2. სკოლის სოციალური და ფიზიკური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა კეთილდღეობას არაფორმალური და ფორმალური აქტივობებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, ღირებულებებითა და დამოკიდებულებით;
3. სკოლები ავითარებენ ურთიერთკავშირს საზოგადოებასთან, რთავენ მშობლებს და ჯანდაცვის დაწესებულებებს ბავშვების ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროცესში.

ეს პრინციპები, რომლებიც სათავეს იღებს ოტავას ქარტიის წესდებაში (1986), ახასიათებს სკოლის კონცეფციას და მთელი სკოლის მიდგომას. ამრიგად, სასკოლო სისტემების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება დაკავშირებულია ამ პრინციპების სასკოლო პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვის გზებსა და მასშტაბებთან. ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სოციალური და ფიზიკური გარემოს დაცვას, უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის ითვალისწინებს, რომ ჯანმრთელობა არ ყალიბდება მხოლოდ ინდივიდების ჯანსაღი ჩვევებითა და ცხოვრების წესით, არამედ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს ფიზიკური და სოციალური გარემო, რომელშიც ადამიანები აღმოჩნდებიან და რომ მორალურმა ღირებულებებმა და სხვებთან ურთიერთობამ შეიძლება გააუმჯობესოს ან გააუარესოს ჯანმრთელობა.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლა იყოს ახლის სწავლის და თვითგანვითარების მსურველთა ერთიანობა.

ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლის ძირითადი კომპონენტები

ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლები ფოკუსირებულია არა მხოლოდ სწავლებაზე, არამედ სკოლის სულისკვეთებასა და კულტურაზე, კერძოდ, პიროვნულ ურთიერთობებზე, სკოლის ადმინისტრაციაზე, სასწავლო გეგმაზე, სკოლის გარემოზე. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლა იყოს ახლის სწავლის და თვითგანვითარების მსურველთა ერთიანობა,

სადაც მოსწავლეები ავითარებენ თავიანთ შესაძლებლობებსა და თვისებებს და აუმჯობესებენ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, როგორც საკლასო ოთახში, ასევე ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. გარდა ამისა, სკოლა მნიშვნელოვანი ადგილია იქ დასაქმებული პერსონალის პროფესიული განვითარების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) შეიმუშავა SHE-ს მიდგომა, რომელიც შედგება ექვსი ძირითადი კომპონენტისგან:

ფიზიკური სასკოლო გარემო

ეს კომპონენტი მოიცავს არა მხოლოდ საკლასო ოთახებისა და გარე ტერიტორიების სიდიდეს, არამედ შიდა კლიმატს, მათ შორის განათებას, ხმაურს, ჰიგიენას, არქიტექტურას, ინტერიერის დიზაინს, ავეჯსა და აღჭურვილობას.

სოციალური სასკოლო გარემო

ეს კომპონენტი პასუხისმგებელია მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლის სხვა პერსონალისა და მენეჯმენტის ურთიერთობის ხარისხზე. ის, ასევე, მოიცავს სკოლის პოლიტიკას, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან და კეთილდღეობასთან, უსაფრთხოებასთან, ინკლუზიასთან, თანასწორობასა და მრავალფეროვნებასთან. ამავდროულად, ეს კომპონენტი მოიცავს სოციალურ მედიას და ვირტუალურ გარემოს, რადგან ციფრულ და ანალოგიურ კომუნიკაციის საშუალებებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ეს კომპონენტი ასახავს თანამშრომლობას მშობლებთან, ოჯახებთან და პარტნიორებთან, მათ შორის, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (NGO), სპორტულ და დასასვენებელ ორგანიზაციებთან და კერძო საწარმოებთან, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ სათამაშო და სწავლის შესაძლებლობების განვითარება სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ.

ჯანსაღი სკოლის სიბრძნე

ამ კომპონენტს შეესაბამება სტრატეგიები და სკოლის მართვის მეთოდები, ასევე პროფესიული თანამშრომლობა მასწავლებლებს, სკოლის ექთნებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის საერთო მიზნის მკაფიო გაგების უზრუნველსაყოფად ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის.

ჯანმრთელობის ინდივიდუალური უნარები და კომპეტენციები

ეს კომპონენტი აღწერს კომპეტენციებს, რომლებიც ხშირად ვითარდება სასწავლო გეგმის მეშვეობით და მოიცავს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შინაარსს, კლასის სწავლის მიზნებსა და მეთოდებს, ინტერდისციპლინურ სწავლებას და სკოლის კლასგარეშე აქტივობებს.

ჯანდაცვის სერვისები

ეს კომპონენტი მოიცავს წვდომას სკოლის ჯანდაცვის სერვისებზე ან სკოლასთან დაკავშირებულ სერვისებზე, რომლებიც მიმართულია ჯანმრთელობის ხელშეწყობისკენ.

მონაწილეობითი პროცესები და სწავლის შედეგები

დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა არის მნიშვნელოვანი ღირებულება და სკოლის, როგორც საზოგადოების ცხოვრების ძირითადი კომპონენტი. ბავშვთა ხმა უნდა იყოს გაგონილი და გათვალისწინებული შესაბამისად მათი ასაკისა და განვითარებისა. ბავშვებს აქვთ უნიკალური გაგება საკუთარი გამოცდილების, სურვილებისა და პრეფერენციების შესახებ და ბავშვებთან დაკავშირებული მიდგომებით, მათი ხმის მოსმენა, გაზიარება და პასუხის გაცემა შესაძლებელია. Save the Children-ისა და UNICEF-ის მიხედვით, ერთობლივი მონაწილეობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბავშვების შეხედულებების გამოხატვა და მათი აქტიური ჩართვა სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში იმ სფეროებში, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე. ეს მოითხოვს ბავშვებსა და უფროსებს შორის ინფორმაციის გაცვლას და დიალოგს ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, ბავშვების შეხედულებების მიღებას, მათი ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით.

> მოსწავლეთა ნახალისებას ჯანსაღი ცხოვრების წესის ღირებულებას და ჯანმრთელობის ხელშეწყობაში სარგებელი მოაქვს არა მხოლოდ ცალკეული მოსწავლეებისათვის, არამედ მთლიანად სკოლისათვის.

სკოლა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურა მოსწავლეთა ცხოვრებაში. აქ ისინი დიდ დროს უთმობენ ურთიერთობების შექმნასა და შენარჩუნებას, სწავლობენ ღირებულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ სჭირდება. გარდა ამისა, სკოლა გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.



მაშასადამე, სკოლა არის გარემო, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომ-ლებიც აუმჯობესებს ან აზიანებს მათ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, დასახონ მიზნები, დაგეგმონ და მიიღონ გადაწყვეტილებები შემდგომი თვითგანვითარებისათვის.

მოსწავლეთა წახალისებას ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობაში სარგებელი მოაქვს არა მხოლოდ ცალკეული მოსწავლეებისათვის, არამედ მთლიანად სკოლისათვის. მონაწილეობა ხელს უწყობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უნარების, მათ შორის, მოქალაქეობის, მოტივაციის, ჩართულობის უნარების განვითარებას, მიკუთვნებულობის გრძნობის, თვითშეფასებისა და თვითეფექტურობის ზრდას. თანამშრომლობითი აქტივობები აუმჯობესებს მოსწავლეთა ურთიერთობას ერთმანეთთან და სკოლის პერსონალთან. გარდა ამისა, სკოლაში ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაში მონაწილეობა ხელს უწყობს სკოლის კულტურის პოზიტიურ განვითარებას.

საკითხებში მოსწავლეთა ჩართულობის მხარდაჭერა სხვადასხვა სკოლაში განსხვავებულია. იმისათვის, რომ მოსწავლეთა უფლებები დაცული იყოს, მათ უნდა შეეძლოთ პასუხისმგებლობის აღება და გავლენის მოხდენა. მაგალითად, ისინი შეიძლება ჩაერთონ სკოლის კეთილდღეობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფი-ცირებისა და ამ პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა გზის განხილვის პროცესში. დაწყებითი საფეხურის მოსწავ-ლეებს შეუძლიათ გამოხატონ აზრი, თუ რას ნიშნავს მათთვის სკოლის კეთილდღეობა და უფროსებთან ერთად დაგეგმონ და მოაწყონ სასკოლო ღონისძიებები ამის განსახორციელებლად. სკოლის პოლიტიკამ და პრაქტიკამ უნდა წაახალისოს და მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა მონაწილეობას. იქ, სადაც ეს არ ხდება, მოსწავლეებს უჩნ-დებათ შეგრძნება, რომ ისინი არ არიან სასკოლო ცხოვრების მონაწილეები და მათი აზრი უგულებელყოფილია.

მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ მოსწავლეთა ჩართულობის სხვადასხვა გზის განსაზღვრა, რათა შევაფასოთ სკოლის მიდგომა ამ პროცესისადმი და განვავითაროთ მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის პრაქტიკა. მონაწილეობის პროცესი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვანაირად. განვიხილოთ ერთ-ერთი კლასიფიკაციის მაგალითი:

1. **პონანიშვილის ასკერნ:** მოსწავლეებს არ ეძლევათ უფლება გამოხატონ თავიანთი სურვილები და შეხედულებები, სკოლის ყველა სტრატეგიას ახორციელებენ უფროსები;
2. **უფროსული პონანიშვილზე:** მოსწავლეებმა შეიძლება გამოხატონ თავისი აზრი, მაგრამ მისი გათვალისწინება არ ხდება; ამ შემთხვევაშიც უფროსები იღებენ გადაწყვეტილებებს;
3. **კონსულტაციაზე:** მხედველობაში მიიღება მოსწავლეების თვალსაზრისი სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენისას, მიზნების დასახვისას და შესაბამისი ზომების მიღებისას, მაგრამ გადაწყვეტილებებს იღებენ უფროსები;
4. **მეჯლის:** მოსწავლეებს აქვთ რეალური და აქტიური როლი დისკუსიებში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებებს უფროსები იღებენ;
5. **ძალაუფლების მეორე:** მოსწავლეები იყოფენ ძალაუფლებას უფროსებთან, შესაბამისად გადაწყვეტილებები მიიღება დემოკრატიულად. მოსწავლეები, ასევე, პასუხისმგებელნი არიან თავიანთ გადაწყვეტილებებზე ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით.

მონაწილეობის ეს ხუთი ვარიანტი შეიძლება ორგანიზებული იყოს სხვადასხვა გზით. წრიული დიაგრამა (სქემა 1) ცხადყოფს, რომ თითოეულ ვარიანტს თანაბარი ღირებულება აქვს და ერთ-ერთის არჩევა ხდება კონტექსტიდან გამომდინარე. მონაწილეობის „კიბისებრი გზით“ (სქემა 2) გამოსახვა გულისხმობს მონა-წილეობის იერარქიულობას: „კიბის“ ქვედა საფეხურებზე მონაწილეობა ნაკლებად მოწინავე ან მარტივ მიდგომას წარმოადგენს, ხოლო იერარქიის ზევით მყოფები – უფრო მოწინავე და რთულ მიდგომას.

სქემა 1.



სქემა 2.



სკოლებს შეუძლიათ მონაწილეობის პროცესს მიუდგნენ სხვადასხვა გზით. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მასშტაბით ყველა მოსწავლეს მიეცეს რეალური შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ასაკის შესაბამისი ფორმით. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების აზრიც კი უნდა იყოს მოსმენილი, გათვალისწინებული და დაფასებული.

ლასლისაური მეგრელი ნოდარი

ბიბლიოგრაფია

1. European standards & indicators for health promoting schools. 2019. https://www.schoolsforhealth.org/sites/default/files/editor/Teachers%20resources/european_standards_and_indicators_on_hps_en.pdf
2. Materials for teachers. Learning about health and health promotion in schools. Key concepts and activities. 2019. https://www.schoolsforhealth.org/sites/default/files/editor/Teachers%20resources/materials-for-teachers-2019-english.pdf
3. SHE school manual 2. A methodological Guidebook to become a health promoting school. 2019. https://www.schoolsforhealth.org/sites/default/files/editor/health-promoting-school/she_school_manual_2.0.pdf



ლევან სვანისკვილაძე
ისტორიკოსი, ჟურნალისტი

მოზაარდობაზე ასახული დიდი სპორტული წარმატებები

> საქართველო სპორტული ქვეყანაა. ჩვენი ნახლო სხვა მამაცითები, ჩოდესაც მოსახლეობის ჩაოდენობით მეოცე ნაკლებად მამოჩრეულ ქვეყანაში სპორტის ამდენ სახეობაში ამდენი და ასეთი წარმატებული და მალული ლონის სპორტსმენი ჰყავდეთ.

მსაჯმა საფინალო სასტვენი მისცა და ჯერ მოედანი, შემდეგ მთელი სტადიონი, მერე ქალაქი და ბოლოს სრულიად ქვეყანა სიხარულის ზეიმმა მოიცვა. ადამიანები დარბოდნენ დროშებით, მღეროდნენ ეროვნულ ჰიმნს, ერთმანეთს ულოცავდნენ წარმატებას, კოცნიდნენ, ცეკვავდნენ, იღებდნენ დასამახსოვრებელ ფოტოებსა და ვიდეოს, ურეკავდნენ ტელეფონზე მეგობრებსა და ახლობლებს და ყველა ხვდებოდა, რომ ეს წუთები მრავალი წლის მანძილზე დარჩებოდა ადამიანთა მეხსიერებაში.

26 მარტის ისტორიული მატჩის მამოძახილი

როგორც მიხვდით, ყველაზე მოკლედ და მარტივად აღვწერეთ ის ემოციები და ზოგადად ის ამბები, რაც საქართველოში ჩვენი ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას მოჰყვა და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრებთა შორის 2024 წლის 26 მარტს გამართული ევროპის ერთა თასის ფინალის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ყველა ეს ემოცია და განცდა საქართველოს მოქალაქეებს ჯერ კიდევ თან დაჰყვებათ. დიდი და ისტორიული სპორტული წარმატებები ყველგან სწორედ ასე აღინიშნება და რაც მთავარია, ამგვარ წარმატებებს დიდ სიხარულთან ერთად, თან სპორტით ახალგაზრდობის მასობრივი დაინტერესებაც სდევს ხოლმე, რის მაგალითებიც მსოფლიო სპორტის ისტორიაში არაერთი ყოფილა. ჩვენი წერილიც სწორედ ამ თემას ეხება.

საქართველო სპორტული ქვეყანაა. ამ მოცემულობას წყალი არ გაუვა, რადგან რთულია ნახო სხვა მაგალითები, როდესაც მოსახლეობის რაოდენობით მუდამ ნაკლებად გამორჩეულ ქვეყანაში სპორტის ამდენ სახეობაში ამდენი და ასეთი წარმატებული და მაღალი დონის სპორტსმენი ჰყავდეთ. ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ფარიკაობა, ხელბურთი, ძალოსნობა, ჩოგბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, კრივი, ნიჩბოსნობა მხოლოდ ნაწილია სპორტის იმ სახეობათა გრძელი ჩამონათვალიდან, რომლებშიც ადრეც გვქონია წარმატებები და წარმატებათა სასიამოვნო ტრადიციები დღემდე გრძელდება. ყველა მნიშვნელოვან წარმატებას კი, რა თქმა უნდა, თან სპორტის კონკრეტული სახეობებით ბავშვებისა და მოზარდების დიდი დაინტერესება სდევს ხოლმე.

ქალთაბურთელების ისტორიული ნაბიჯები

როდესაც თბილისის საკალათბურთო „დინამომ“ 1962 წლის 29 ივნისს ევროლიგის ფინალში მადრიდის „რეალი“ დაამარცხა, სპორტის ეს სახეობა მეტ-ნაკლებად ნორმალურად, საქართველოს სულ რამდენიმე ქალაქში (განსაკუთრებით თბილისსა და ქუთაისში) იყო განვითარებული და კალათბურთზე შვილის შეყვანა საქართველოში მაშინ იმდენმა მშობელმა მოინდომა, რომ დიდ თუ პატარა ქალაქებში არსებული დარბაზები აღარ იყო საკმარისი კალათბურთის სექციებზე მისული ბიჭუნებისა და გოგონების დასატევად. ამიტომაც, თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში ადგილობრივ მწვრთნელებს ბავშვების მომზადება ხშირად სამ და ოთხ ცვლად უწევდათ, რაც, რა თქმა უნდა, რუტინულ შრომას მოითხოვდა.

კალათბურთზე ბავშვების მიყვანა დაიწყეს განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სოფლად მცხოვრებმა და საამისოდ მაგალითად, სოხუმის ადგილობრივი ბავშვთა საკალათბურთო სექცია იძულებული გახდა ორი ავტობუსი ექირავებინა, რათა სხვადასხვა ასაკის ბავშვები სოხუმის გარშემო მდებარე სოფლებიდან ყოველდღიურად სოხუმში რამდენიმე წყებად ჩაეყვანათ და შემდეგ უკან დაებრუნებინათ. კალათბურთით მაშინ პირველად დაინტერესდნენ თელავსა და გორში და დაიწყეს ფიქრი დარბაზების აშენებაზე. ხოლო მცხეთაში, ერთი საერთო დარბაზი ააშენეს კალათბურთის, ხელბურთის და კრივის სექციებისათვის.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ჯერ ევროპის ჩემპიონატებზე გასვლამ და 2023 წელს უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშმა მკვეთრად გამოაცოცხლა ეს სახეობა (პირველყოვლისა ახალგაზრდებში პოპულარობის კუთხით) და განსაკუთრებით დედაქალაქ თბილისში, ისევ მიმზიდველი გახდა კალათბურთი მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი სამწუხაროდ, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ შორსაა სასურველი დონისგან.

თბილისის „დინამოს“ ღაუვინყური მამაცობები

არანაკლებ ისტორიული და დაუვიწყარი გაგრძელებები ახლდა თან ამჯერად უკვე საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ მიერ 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის პირველად მოპოვებას. როგორც მაშინდელი ფეხბურთის მესვეურები იხსენებენ, თბილისში იმდენმა ბავშვმა მოინდომა ამ გამარჯვების

შემდეგ ფეხბურთზე მისვლა, რომ „დინამოს“ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა საჯაროდ და საქალაქო პრესაშიც კი გამოეცხადებინა, რომ არ იყო საჭირო ბავშვების და მათი მშობლების საწვრთნელ ბაზასთან ყოველდღიური მოზღვავება და ბავშვთა ასაკობრივი გუნდების მწვრთნელები თავად ივლიდნენ სკოლებსა თუ სპორტულ ინტერნატებში და იქვე აარჩევდნენ საუკეთესო მოზარდებს. ყოველწლიურად, ამგვარ „შემოვლებს“ თბილისის „დინამო“ პრინციპში ისედაც აკეთებდა და მსგავსი მეთოდითაა შერჩეული არაერთი ბავშვი, რომლებიც შემდგომში ცნობილი და ზეწარმატებული ფეხბურთელი გახდა.

დიდი ამბები ხდებოდა 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში მოპოვებული ლეგენდარული გამარჯვების შემდეგაც, როდესაც ფეხბურთით უამრავი ბავშვის დაინტერესების კვალად, თბილისის რამდენიმე უბანში დაიწყეს სპორტული მანეჟების აშენება, რათა სპორტის სხვა სახეობებში მოვარჯიშე ახალგაზრდებთან ერთად, ნორჩ ფეხბურთელებსაც შესძლებოდათ ზამთარში სათანადო პირობებში მომზადება. როგორც ცნობილია, მანამდე საქართველოში და მათ შორის თბილისში არ იყო საკმარისი რაოდენობის გადახურული დიდი და შესაბამისად აღჭურვილი შენობა, სადაც თოვლის, სიცივის და წვიმის პირობებშიც მოხერხდებოდა, როგორც დიდი გუნდებისა და დუბლშემადგენლობების, ასევე იუნიორების და რაც მთავარია ბავშვების სრულფასოვანი მომზადება.

ოლიმპიადებზე ნაჩქარევის ეფექტი

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზაფხულის ოლიმპიადებზე საქართველოდან წარგზავნილი ათლეტების წარმატებები, რამაც სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარობა ჩვენს ქვეყანაში განუხრელად გაზარდა.

მაგალითად, შიდა ქართლელი მოჭიდავეების მიერ მსოფლიოს დიდ ტურნირებზე და პირველყოვლისა, რა თქმა უნდა, ოლიმპიადებზე მოპოვებული მაღალი სინჯის მედლები გახდა იმის წინაპირობა, რომ დღემდე გორის და ქარელის საჭიდაო სკოლები მოზარდებში ძალიან პოპულარულია და შიდა ქართლის სოფლებში მცხოვრები არაერთი ოჯახი ცდილობს ჭიდაობის და ძიუდოს ნიჭით გამორჩეული ბავშვები სწორედ, ამ ორ ქალაქში არსებულ სახელგანთქმულ საჭიდაო სკოლებში მიიყვანონ. ასევე, უნდა აღინიშნოს კახეთი და განსაკუთრებით კი საგარეჯო, რომლის საჭიდაო სკოლამაც ჩვენს ქვეყანას არაერთი, აწ უკვე ლეგენდად ქცეული ათლეტი აჩუქა.

ქართველი ოლიმპიელების წარმატებები ყველა თაობისთვის ლეგენდარულ ამბებადაა ქცეული, თუმცა რაკი ჩვენი ქვეყანა 70 წლის მანძილზე უზარმაზარ საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკა იყო, იმ ეპოქის სპორტსმენების მიერ მოპოვებული მედლებიც რასაკვირველია, საბჭოეთის ერთ დიდ „ყულაბაში“ ილექებოდა და ქართველების პროტესტი და სურვილი რაიმენაირად ხაზი გასმოდა მათ წარმომავლობას, უმეტეს შემთხვევაში არაფრით მთავრდებოდა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ყველაფერს ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ მაგალითად თბილისელი ან ცხინვალელი ძალოსნების მიერ მოპოვებულ მედლებს სწორედ ახალგაზრდებში აღეძრა სპორტსმენობის სურვილი და ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში ადგილობრივმა მესვეურებმა სწორედ ხალხის სურვილითა და ახალგაზრდების განსაკუთრებული მოზღვავების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება აეშენებინათ ახალი არენები თუ დარბაზები.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲑᲘ

ლელა მესხის და ალექსანდრე მეტრეველის შემდეგ, ქართულ ჩოგბურთში ყველაზე დიდ წარმატებებს ნიკოლოზ ბასილაშვილმა მიაღწია, რამაც საქართველოში ჩოგბურთი თანამედროვე ახალგაზრდობაში განსაკუთრებულად პოპულარული გახადა. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ეს სახეობა სამართლიანად ითვლება ხარჯიანად და როგორც სპორტული ინვენტარი, ასევე მოსამზადებელი პროცესი საკმაო თანხებს საჭიროებს, ჩოგბურთით ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდების დაინტერესება უკანასკნელ წლებში არ განელეებულა და ეს ქვეყნის რამდენიმე წერტილში თანამედროვე, ახალი საჩოგბურთო აკადემიების მოწყობაშიც გამოიხატება.

„ევროპის ექვს ერზე“ მუდმივმა გამარჯვებებმა, მსოფლიოს თასებზე კი ღირსეულმა გამოსვლებმა და მიღწეულმა რეალურმა წარმატებებმა ბოლო ორი ათწლეულია რაგბი საქართველოში პოპულარული სპორტის სახეობა გახდა, რომელიც ფინანსურად განსაკუთრებით მიმზიდველი სახეობა ნამდვილად არაა, (არც ყოფილა) თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ათასობით მოზარდის მიზიდვაში. ამას მოჰყვა საქართველოს თითქმის ყველა დიდ თუ პატარა ქალაქში ახალი სარაგბო არენების აშენება, რაც იმედს იძლევა, რომ რაგბით სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ბავშვი დაინტერესდება. რაგბი თავიდან კალათბურთის მსგავსად, საქართველოში ძირითადად რამდენიმე დიდ ქალაქში იყო განვითარებული. ახლა კი თითქმის ყველა დიდ თუ პატარა ქალაქს ჰყავს საკუთარი სარაგბო კლუბი, თავის ახალგაზრდული სპორტსკოლით, რაც სამომავლო განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია.

ᲡᲐᲮᲬᲘᲠᲘ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ქალაქი საჩხერე საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, ქართული ძალოსნობის მექად ჩამოყალიბდა. საჩხერელი გიორგი ასანიძისა და ლაშა ტალახაძის ოლიმპიურმა ოქროს მედლებმა ეს პატარა ქალაქი და მუნიციპალიტეტი მსოფლიოს სპორტულ რუკაზე სულ სხვა ელვარებით წარმოაჩინა და ამას ის მოჰყვა, რომ დღეს საჩხერელი ახალგაზრდები, თუკი აქვთ შესაბამისი უნარები, სპორტის ამ სახეობით უმრწემესი ასაკიდანვე ინტერესდებიან.

ძალოსნობა მუდამ პოპულარული იყო დედაქალაქ თბილისში და ეს პოპულარობა განსაკუთრებით ლაშა ტალახაძის მიერ დამყარებული უამრავი რეკორდის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. ძალოსნობის სექციები ჩამოყალიბდა ისეთ ქალაქებშიც კი, სადაც ეს სახეობა განვითარებული არასოდეს ყოფილა. არადა უწინ, ძალოსნობის ცენტრად ქალაქი ცხინვალიც ითვლებოდა და ჩვენს ქვეყანას სწორედ ცხინვალის ძალოსნობის სკოლა აწვდიდა შესანიშნავ ათლეტებს. იმედია, ეს ტრადიცია სამომავლოდ კვლავ გაგრძელდება და ცხინვალელი სპორტსმენები კიდევ მრავალგზის ასახელებენ საქართველოს.

სულ ახლახან ილია თოფურიასა და მერაბ დვალიშვილის მიერ შერეულ ორთაბრძოლებში – MMA მიღწეულმა წარმატებამ სპორტის ამ ახალი სახეობით ვაჟებთან ერთად გოგონებიც დააინტერესა და სასიხარულოა, რომ ბოლო დროს საქართველოსა თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის რინგებზე სულ უფრო და უფრო მეტ ქართველ ქალ მებრძოლს შეხვდებით.

სპორტული ნაკრებების ეფექტი უსაფეხურში

დიდ სპორტულ წარმატებებს ახალგაზრდობისთვის ტალღის ეფექტი აქვს მთელს მსოფლიოში და დედამიწის ორივე ნახევარსფეროში ამის უამრავი მაგალითი არსებობს. დიდი ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნებშიც კი, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი სპორტული წარმატება ყოფილა, ახალგაზრდობისთვის გაჩენილი დიდი მოტივაცია ეკონომიკურ წინსვლაშიც კი გამოხატულა და შემდეგ ეს ყველაფერი ახალგაზრდობაში სპორტით არნახულ დაინტერესებაში ითარგმნება ხოლმე. მსგავსი მაგალითი უამრავია, თუმცა ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდებით და მხოლოდ სამხრეთ ამერიკით და აზიით შემოვიფარგლებით.

1930 წელს, რბილად რომ ვთქვათ, მკვეთრად გაჭირვებული ურუგვაის მსოფლიოს პირველ საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებამ და ფინალში უმთავრესი მეტოქის – არგენტინის ნაკრების დამარცხებამ, ურუგვაიში ფეხბურთის არნახული ბუმი გამოიწვია. სწორედ 1930 წელი შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან წყალგამყოფად, რადგან სწორედ ამ წლის შემდეგ მეტი გასაქანი მიეცა საკლუბო ფეხბურთს, აშენდა უამრავი სტადიონი, ეროვნული ნაკრებისთვის

> არგენტინის ნაკრების დამარცხებამ, უსაფეხურში ფეხბურთის არნახული ბუმი გამოიწვია.

კეთილმოწყობილი (მაშინდელი პირობებით) საწვრთნელი ბაზა გაკეთდა და ახლადგახსნილ სპორტულ აკადემიებსა თუ კლუბებს იმდენი ბავშვი მიაწყდა, რომ ამ პატარა, თითქმის საქართველოს ხელა ქვეყანაში ფეხბურთი არნახულად სწრაფად განვითარდა და ეს ყველაფერი საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრაზილიაში გამართულ 1950 წლის მუნდიალზე კვლავ ურუგვაელებმა გაიმარჯვეს.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲘᲡ ᲮᲛᲐᲕᲔᲡ

ურუგვაის ნაკრების ხსენებული გამარჯვება ბრაზილიელთათვის დღემდე მძიმედ გასახსენებელი ამბავია და თავის მხრივ ბრაზილიასაც ბევრი სიხარული და ჭირ-ვარამი აქვს გავლილი, თუმცა ამან იქაურ ახალგაზრდობაზე და მათი მხრიდან სპორტთან დამოკიდებულებაზე ნაკლები გავლენა მოახდინა.

თუკი არგენტინელებს მიაჩნიათ, რომ ფეხბურთი საუკეთესო გართობაა, ბრაზილიელთათვის მთავარი, კონკრეტული მატჩები და თამაშის დროს არსებული განწყობებია. სწორედ ამიტომ, როდესაც ბრაზილიის ნაკრები თამაშობს, თამაშის დროს სტადიონზე ფანტასტიკური ატმოსფეროა. გულშემატკივარი ისეთივე აქტიურია, როგორიც ინგლისში. თან ეს ხალხი მხოლოდ თავისი გუნდის მხარეს კი არ არის, არამედ - ფეხბურთის მხარეს. მთელი ამ ამბის უცნაურობა კი ისაა, რომ ბრაზილია ალბათ ერთადერთი საფეხბურთო ქვეყანაა, სადაც ნაკრების წარმატებასა და მარცხს ყველაფერზე აქვს გავლენა – ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, ხალხის ცხოვრების დონეზე, მაგრამ არამც და არამც იმაზე, ივლიან თუ არა ბრაზილიელი ბავშვები ფეხბურთზე. ბრაზილიაში ფეხბურთს ისედაც ყველა თამაშობს და თუკი ვთქვათ 12 წლის ბიჭუნა მშობელმა არ მიიყვანა პროფესიონალურ კლუბში სინჯებზე, ეს მაინც არ შეცვლის მისი ცხოვრების წესს და იგი ისევე გააგრძელებს ეზოში, ქუჩასა თუ პლაჟზე ბურთის გორებას, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა და ცხადია აკეთებდა შესანიშნავად.

მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე საყვარელი ნაკრები თამაშობს, ბრაზილიელი მოზარდი არ კარგავს პატივისცემას თავისი კონკრეტული გუნდისა და კონკრეტული ფეხბურთელის მიმართ. მათ აცვიათ ფეხბურთელების მაისურები ზურგზე ფეხბურთელის გვარით. თანაც, როდესაც ჯარიმას ურტყამენ ბრაზილიელები, მაყურებელი ამ საქმეში სერიოზულად ერევა. ან თუ ვინმემ ფეხების შუაში გაუძვრინა ბურთი, მთელი სტადიონი ინგრევა ყიჟინისაგან. ამას ბრაზილიელი მოზარდი ბავშვობიდან უყურებს, აკვირდება და იცის, რომ თუკი საქმეს პროფესიონალურად მიუდგება, მარცხიც კი ეპატიება.

ᲧᲝᲤᲐ ᲩᲐᲛ ᲔᲖᲘᲐᲖᲔ

2002 წელს, როდესაც მსოფლიოს ფეხბურთის მმართველმა ორგანო ფიფამ პირველად ჩაატარა საფეხბურთო მუნდიალი, ევროპისა და ამერიკის კონტინენტების გარეთ (კორეა-იაპონიაში), ბევრი საუბრობდა, რომ ეს იქნებოდა აზიაში ფეხბურთის ხელახლა დაბადების წინაპირობა და სულ მალე დადგებოდა დრო, როდესაც აზიის ქვეყნების ნაკრებები ევროპისა და ამერიკის ნაკრებებს ტოლ-სწორად ეპაექრებოდნენ. მოზარდებში კი დაიწყებოდა ფეხბურთის ნამდვილი ბუმი, ისე როგორც ბევრგან მოხდა.

ზოგადად, აზია უცნაურობების მხარეა და ის, რაც ჩვენთვის დაუჯერებელი და წარმოუდგენელია, აზიაში არავის აკვირვებს.

დრო გადის, აზიის ქვეყნები ვითარდებიან, ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის საფეხბურთო პირველობებში დიდი ფულიც იდება, მაგრამ ეს საბოლოო ჯამში ჯერჯერობით დიდ გავლენას მაინც ვერ ახდენს ამ ქვეყნების სანაკრებო წარმატებებზე და არც ფეხბურთით დაინტერესებული ბავშვების რაოდენობა გაზრდილა განსაკუთრებულად. პროგრესი სახეზეა, მაგრამ ეს ნამდვილად არაა „ის“, რასაც ველოდით.

ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ტრადიციებსა და ისტორიულ გამოცდილებას დიდი ძალა აქვს და რაკი აზიაში ფეხბურთი ტრადიციის ნაწილი ვერ გახდა, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ აზიის საუკეთესო გუნდებს – იაპონიის ან ირანის ნაკრებს ყოველთვის უჭირდათ ევროპელებთან (და სხვებთანაც) თანაბრად პაექრობა. თუმცა, ტრადიცია მხოლოდ გუშინ მოგონილი ამბავი არაა და ის შეიძლება დღეს შეიქმნას, ხვალ ჩამოყალიბდეს და ზეგ თავისი ნაყოფი გამოიღოს. მაგალითად, 30 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ისტორიულად სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული ჩინეთი დღეს ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი ქვეყანა გახდებოდა და რიგითი ჩინელები ბრინჯის მოყვანის ნაცვლად, ულტრათანამედროვე ტექნიკური სისტემების აწყობას დაიწყებდნენ.

ზოგადად, აზია უცნაურობების მხარეა და ის, რაც ჩვენთვის დაუჯერებელი და წარმოუდგენელია, აზიაში არავის აკვირვებს. გასული საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ და ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთის განვითარების პროგრამა წარმოადგინა და მათი გეგმით, სადღაც ჩვენს დროში (21-ე საუკუნის 20-იან წლებში) სამხრეთ კორეის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გამხდარიყო. კორეელებმა როგორც წესი სიტყვის საქმედ ქცევა იციან და ეს მრავალი რამით დადასტურდა, თუმცა გამონაკლისი როგორც ჩანს მაინცდამაინც ფეხბურთი აღმოჩნდა.

ფეხბურთის რიგითი ქომაგი უყურებს იაპონიაში აშენებულ ერთმანეთზე მაგარ სტადიონებსა და საწვრთნელ ბაზებს, ჩინეთის საფეხბურთო ჩემპიონატში დახარჯულ აურაცხელ თანხას, ხედავს ირანელი ხალხის ფეხბურთისადმი ფანატიკურ სიყვარულს, თეირანში გადაძეძგილ სტადიონებს (რაც სხვათა შორის არაერთხელ დამთავრებულა პოლიტიკური მოთხოვნებით) და უკვირს, რატომ ვერ წავიდა აზია წინ თუნდაც იმ დონემდე, რომ საშუალო ევროპული ნაკრებების ტოლ-სწორობა შეძლონ.

www.tpdc.ge